პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მეშვიდე

# კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე,
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ. ) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში—ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

ხუთშაბათი, 28 ივლისი 1927 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 169 (1914)

### დღიური

- —ინგლისის მემამულეთა ყრილობა.
- —პრიმა დე რივერას საწინააღმდეგო მანიფესტაცია მადრიდში.
- —კომუნისტების პროცესი პოლონეთში.
- —საკკო და ვანცეტი განაჩენის [illegible]
- —მოლაპარაკება საფრანგეთის საპარლამენტო ფრაქციათა შორის.
- —ომის საშიშროებასთან ბრძოლის დღე ჰამბურგში.
- —ექსპედიცია ვრანგელის კუნძულზე.

„კომუნისტი"
მიიღება ხელის მოწერა
აგვისტოსათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

## ანტი-საბჭოთა კამპანია და გერმანია

ჩვენ უკვე გვქონდა გამოქვეყნებული გერმანელ კაპიტალისტ რეიხბერგის წერილი, რომელიც მან მოათავსა მილიერანის გაზ. „ავენირ"-ში. რეიხბერგის წერილი ორი მხრითაა საყურადღებო. პირველ ყოვლისა ის აშკარავებს გერმანიის დამოკიდებულებას საფრანგეთისადმი; იგი არაჩვეულებრივი გულახდილობით სიტყვა-სიტყვით შემდეგს სწერდა: „გერმანელი ხალხი მეომარი ხალხია და არასოდეს არ სცნობს ვერსალის ხელშეკრულებას. 1918 წლის პაციფიზმი თითქმის სავსებით მოისპო და ეხლა გერმანიის სოციალ-დემოკრატია მთელ ხალხთან ერთად შეიძლება გამოვიდეს ომში საფრანგეთის წინააღმდეგ. როცა გერმანიას ექნება საშუალება წარმატებით აწარმოოს ომი, ლოკარნოს ხელშეკრულება გადაიქცევა ქაღალდის ნაგლეჯად, რომელსაც დაფხრეწავს გერმანიის ხალხის ნებისყოფა. ძლევა-მოსილი გერმანია ქვას-ქვაზე არ დასტოვებს". ამგვარად, ვერსალის ლიკვიდაციის მოთხოვნა, და თუ ამაზე საფრანგეთი „ნებაყოფლობით" არ დასთანხმდა,—რევანშის იდეა, ომის ლოზუნგი, გარკვევითაა წამოყენებული.

მეორე, ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანი მომენტი რეიხბერგის გამოსვლაში ის არის, რომ იგი ლაპარაკობს ინგლის-საფრანგეთ-გერმანიის ბლოკის საჭიროებაზე საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. მაგრამ ამ ბლოკის შექმნას ხელს უშლის გერმანია-საფრანგეთის ინტერესთა წინააღმდეგობა, რომლის დაძლევის შემდეგ სამივე სახელმწიფოს „შეეძლებათ თავისი ყურადღება მიაპყრონ აღმოსავლეთისაკენ, საშინელ ბოლშევიკურ საფრთხისაკენ"-ო. რეიხბერგი ადასტურებს იმ საყოველთაოთ ცნობილ ფაქტს, რომ კონსერვატიული ინგლისი, რომელიც სათავეში უდგას ანტი-საბჭოთა კამპანიას, მოწადინებულია მიიმხროს გერმანია, ამიტომ ის, სხვათა შორის, „გამოიყენებს მთელ თავის გავლენას, რომ გერმანიას მისცეს შესაძლებლობა თავისი არმია აღადგინოს"-ო.

საგულისხმო ის არის, რომ საფრანგეთის პრესა ჯერ-ჯერობით სდუმს რეიხბერგის წერილის გამო. მხოლოდ „ავენირ"-მა, დაპირების თანახმად, დაბეჭდა პასუხი, ისიც არა სარედაქციო, არამედ შვობის და ადმირალ დეგუის. ეს ავტორებიც უმთავრესად ეხებიან არა იმ საკითხს, რომელსაც გადამჭრელი მნიშვნელობა აქვს საფრანგეთისათვის, სახელდობრ, გერმანიის რევანშის პოლიტიკას, რაზედაც რეიხბერგი ლაპარაკობს, არამედ უფრო საფრანგეთ-გერმანიის დამოკიდებულებას იხილავენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბლოკის შექმნის თვალსაზრისით.—სამხედრო კავშირში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ უნდა მიიღონ მონაწილეობა ბელგიამ და პოლონეთმაც, საარის ოლქი შეიძლება გერმანიას დაუბრუნდეს, თუ საფრანგეთის ეკონომიური ინტერესები უზრუნველყოფილი იქნება. „დანცინგის კორიდორის" მოსპობა დამოკიდებულია პოლონეთისათვის მემელის გადაცემაზე და პოლონეთ-ლიტვის ფედერაციის შექმნაზე"-ო. ასეთია მათი მოსაზრებები.

ისე გამოდის, თითქო საფრანგეთი არსებითად ხელს იღებდეს ვერსალით მოპოვებულ მდგომარეობაზე, ოღონდ გერმანიასთან მიაღწიოს შეთანხმებას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. მაგრამ ეს ოდნავადაც არ შეეფერება სინამდვილეს და შვობი-დეგუის თვალსაზრისი არ გამოხატავს პუანკარეს პოზიციას. ჩვენ ვიცით, რომ ბოლო დროს პუანკარე გერმანიის მიმართ „საომარ გუნებაზეა", მასში კვლავ მოსჩანს რურის ოკუპაციის „გმირი". უკანასკნელად საფრანგეთის პრემიერმა რამოდენიმეჯერ წარმოსთქვა მუქარით აღსავსე უხეში სიტყვები, რომლებითაც ის აფრთხილებს გერმანიის მესვეურებს, რომ ზედმეტია ფიქრი ვერსალით შექმნილ რეჟიმის შერბილებაზეო. საფრანგეთის აგრესიულ პოლიტიკის გაძლიერებას გერმანიის მიმართ მოწმობს, სხვათა შორის, ბელგიის მთავრობის გამოსვლა გერმანიის წინააღმდეგ: ის ბრალს სდებს გერმანიას, რომ უკანასკნელს არ შეუსრულებია მოკავშირეების დადგენილება განიარაღების შესახებ, პირიქით, ის იარაღდებაო; ამასთან, ბელგიის მეფის გარეშე საქმეთა მინისტრმა, „სოციალისტმა" ვანდერველდემ გაილაშქრა რეინის ოლქის ვადამდე დაცლის წინააღმდეგ. აშკარაა, ბელგიის მთავრობა ამას ვერ გაბედავდა, რომ ამაზე პუანკარეს არ წაექეზებია ის. გარდა ამისა, საჭიროა გავიხსენოთ, რომ ამას წინად გერმანია მოკავშირეთა მოთხოვნით იძულებული შეიქნა დაენგრია თავის აღმოსავლეთის საზღვრებზე აგებული ციხე-სიმაგრენი.

ყველაფერი ეს გვიჩვენებს, რომ შტრეზემანს უნდა გაუცრუვდეს ლოკარნოზე დამყარებული იმედი, „დასავლეთის ორიენტაციის" საშუალებით, ვერსალით გერმანიაზე დადებულ ტვირთის მოხსნის იმედი. საქმეს ოდნავადაც ვერ შეველის ჩემბერლენის დაპირებები საფრანგეთთან სადაო საკითხების გადაჭრაში გერმანიისათვის მხარის დაჭერის შესახებ, რომელ დაპირებებს ის იძლევა, ოღონდ გერმანია ჩაითრიოს ანტისაბჭოთა ფრონტში. ჯერ ერთი, ინგლისს არ გააჩნია იმდენი ძალა, რომ საფრანგეთი გერმანიის მიმართ არსებით დათმობებზე აიძულოს. შემდეგ, ის არ არის დაინტერესებული საფრანგეთ-გერმანიის მკვიდრ შერიგების და თანამშრომლობის განხორციელებაში: ეს იქნებოდა ინგლისის ჰეგემონიის აღსასრული ევროპაში. ლონდონი მხოლოდ სცდილობს მიაღწიოს მათ შორის დროებით შეთანხმებას, რომ შესაძლებელი გახდეს ერთიანი ანტი-საბჭოთა ბლოკის შექმნა. გარეშე ამისა, ინგლისი მოწადინებულია გერმანია-საფრანგეთს შორის საკონფლიქტო მდგომარეობა არსებობდეს, რაც მას საშუალებას მისცემს რამოდენიმეთ მაინც ხელმძღვანელი როლი შეინარჩუნოს მსოფლიო პოლიტიკაში. ბოლოს, ინგლისის „მეგობრობა" გერმანიისადმი სრულებითაც არ არის გულწრფელი. მას იმდენად სურს გერმანიის გაძლიერება, რამდენადაც უკანასკნელი საფრანგეთს დაუპირდაპირდება, ხოლო რამდენადაც ძლიერი გერმანია დაემუქრება ინგლისის ინტერესებს, როგორც ეს ამას წინედ იყო, იმდენად იგი ცდილობს ბერლინის მადის შეკვეცას. მაგ.; ჩემბერლენი წინააღმდეგ იყო გერმანიის მიღებისა ერთა ლიგის საბჭოს სამანდატო კომისიაში, რომელიც კოლონიების განაწილების საკითხს განაგებს. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ ინგლისი ეუფლება გერმანიის აფრიკულ კოლონიებს და მათგან ცალკე დომინიონს აარსებს. ამან გერმანიის პრესა აღაშფოთა. „დეიტშე ტაგეს ცეიტუნგ" სწერდა: „ლონდონს საჭიროდ არ დაუჩნია ნიღაბი ატაროს მას შემდეგ, რაც მან მოახერხა გერმანიის მიზიდვა ერთა ლიგაში და მიაღწია მის მიერ ლოკარნოს ხელშეკრულებაზე ხელის მოწერას". ამნაირად ლოკარნოს პოლიტიკამ გერმანიას არაფერი მოუტანა, პირიქით—შებორკა იგი და თავისი ინტერესების საზიანოთ ინგლის-საფრანგეთის გავლენაში მოაქცია.

მიუხედავათ ამისა, გერმანიაში მაინც მოიპოვებიან პოლიტიკოსები, რომელნიც კვლავ „დასავლეთისაკენ" იყურებიან. ჩვენ აქ მხედველობაში არ გვაქვს გერმანიის სოც.-დემოკრატია, რომელიც, პროლეტარიატის დიქტატურისადმი სიძულვილით დაბრმავებული ლოკარნოს მზეს ლოცულობს. აქ ვლაპარაკობთ ბურჟუაზიის ზოგიერთ წრეებზე. მათგან რეიხბერგს მკითხველი უკვე იცნობს. აი, კიდევ გრაფი ვესტარპი, გერმანიის ნაციონალისტების ლიდერი. ის ამბობს: „გერმანია შეიძლებოდა გამხდარიყო მუდმივ მტკიცე დასაყრდენად ბოლშევიზმის წინააღმდეგ, რომ გერმანიის ხალხი არ იყოს უაღრესად დასუსტებული მისი ეხლანდელი საერთაშორისო მდგომარეობის გამო". „ბოლშევიკურ საფრთხეზე მითითებით ვესტარპი ცდილობს მოკავშირეებზე გავლენის მოხდენას.—მიეცით გერმანიას წართმეული „პოლიტიკური და ეკონომიური თავისუფლება" და მაშინ ის „აღმოსავლეთიდან მომდინარე საფრთხის" აღმოფხვრაში დაგეხმარებათო,—აი, რას ეუბნება ვესტარპი ინგლის-საფრანგეთის ხელმძღვანელებს.

მაგრამ ამ „პოლიტიკურ და ეკონომიურ თავისუფლებას" ისინი არ აძლევენ. მიუხედავათ ვესტარპის ასეთი არგუმენტაციისა. ამასთან, ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ ვესტარპის აზრს იზიარებდეს გერმანიის მთავრობა. მისთვის ცხადი უნდა იყოს, რომ გერმანია პოლიტიკურ და ეკონომიურ თავისუფლებას მოიპოვებს არა ინგლის-საფრანგეთისათვის დამორჩილებით, არამედ უმთავრესად საბჭოთა კავშირთან ნორმალური დამოკიდებულების განმტკიცებით. უკანასკნელ დროის ამბებმა ეს ნათელი გახადეს.

## როგორ ემსახურება ბურჟუაზიული „მართლმსაჯულება" ანტი-საბჭოთა პოლიტიკას

გამასწორებელი პოლიციის პარიზის სასამართლომ მკაცრი განაჩენი გამოუტანა შვიდ ფრანგ კომუნისტს და ორ უპარტიო უცხოელს, მათ რიცხვში საბჭოთა მოქალაქეს მხატვარ ბერნშტეინსაც; ყველა ამათ ბრალდებოდათ ჯაშუშობა საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ.

ამ საქმის შინაარსი, რომელიც ჯერ კიდევ აპრილში აღიძრა, მდგომარეობდა შემდეგში: საიდუმლო პოლიციის აგენტებმა დააპატიმრეს ბერნშტეინი იმ დროს, როდესაც ლიტვის ქვეშევრდომი სტეფანე გროდნიცკი აძლევდა მას რაღაც შეხვეულ ქაღალდებს, რომლებიც, როგორც პოლიცია ამტკიცებს, აღმოჩნდა „საიდუმლო დოკუმენტები თავდაცვის შესახებ". ბერნშტეინისა და გროდნიცკის დაპატიმრებამ გამოიწვია, აგრეთვე, კომუნისტური პარტიის ხუთი მუშაკის, უმეტეს შემთხვევაში რევოლიუციონურ პროფესიონალური მოძრაობის მოღვაწეთა დაპატიმრება, რომლებსაც ბრალდებათ „საბჭოთა აგენტობა". დაბოლოს გაცემულ იქნა ბრძანება ცნობილი ფრანგ კომუნისტის კრემეს და მისი მდივნის ლუიზა კლარაკის დაპატიმრების შესახებ. რეაქციონურმა, [illegible] გაზეთებმა დიდის რიხით გამოაქვეყნეს ცნობა კომუნისტური შეთქმულების აღმოჩენის შესახებ, შეთქმულების, რომელსაც თურმე, მათი აზრით, მიზნათ ჰქონია ქვეყნის უშიშროების დარღვევა და სამხედრო საიდუმლოების გადაცემა საბჭოთა მთავრობისათვის.

სულ ოდნავ მიუდგომელმა გაზეთებმაც კი თავიდანვე უდიდესი ეჭვის თვალით შეხედეს ამ „შეთქმულებას", რომლის გახსნის დროც რაღაც უცნაურად მოხვდა საფრანგეთის მთავრობის მიერ კომუნისტების წინააღმდეგ დაწყებულ კამპანიას. როგორც საყოველთაოდ ცნობილია, არც ერთი ანტიკომუნისტური კამპანია არ ჩაივლის ხოლმე „შეთქმულებისა" და „კომინტერნის დოკუმენტების" გარეშე. მაგრამ საფრანგეთის პოლიციას, ბულგარეთის, ესპანეთის და სხ. პოლიციებისაგან განსხვავებით, როდი ესაჭიროება დრუჟელოვსკებისა და კუტეპოვების დახმარება. მის მიერ დამზადებული შეთქმულება მთლიანად აგებულია სამშობლოში შეთითხნილ დოკუმენტებსა და საკუთარი პროვოკატორების ჩვენებებზე. 25 ივლისს დასრულებულმა პროცესმა მთელი სიცხადით დაამტკიცა ეს.

პირველ ყოვლისა დამტკიცდა, რომ ბრალდებულებს თავის განკარგულებაში არავითარი საიდუმლო დოკუმენტები არ ჰქონიათ. თუ ზოგიერთი მათგანი დაინტერესებული იყო ქვეყნის თავდაცვის საკითხებით, ამისათვის ისინი სარგებლობდენ ხმარებაში მყოფ და საიდუმლოებას მოკლებულ აღწერებით და დოკუმენტებით. და, გარდა ამისა, ამ წყაროებს ისინი არ აყენებდენ საბჭოთა სრულუფლებიან წარმომადგენლობისათვის. ეს დოკუმენტები მათ უმთავრესად იმისათვის სჭირდებოდათ, რომ დაებეჭდათ მუშათა ტეხნიკურ ჟურნალში და პროფესიონალურ ორგანოების დავალებით შეესწავლათ წარმოების დაყენება სახელმწიფო სამხედრო ქარხნებში. რაც შეეხება გროდნიცკის მიერ ბერნშტეინისათვის გადაცემულ ქაღალდების დასტას, აღმოჩნდა, რომ ეს ისტორია თავიდან ბოლომდე მოწყობილი ყოფილა დამცველი პოლიციის მიერ, რომელმაც თავისი აგენტების საშუალებით გადასცა გროდნიცკის ქაღალდების დასტა. გროდნიცკიმ არ იცოდა ამ ქაღალდების შინაარსი, ხოლო მათში იყო დოკუმენტები, რომლებიც პოლიციამ ამ მიზნით მიიღო სამხედრო სამინისტროს რომელიღაც დიდ მოხელისაგან, უფრო შესაძლებელია თვით სამხედრო მინისტრისაგან „რესპუბლიკანური სოციალისტის" პოლ პენლევესაგან.

პროცესმა ფარდა ახადა პროვოკატორ-აგენტების უაღრესად მრავალფეროვან მუშაობას, რომლებსაც პოლიცია გზავნიდა კომუნისტურ ორგანიზაციებში, ხოლო ისინი იპყრობდნენ კომპარტიის მუშაკების ნდობას და უგდებდენ მათ ჩირქის მომცხებ ქაღალდებს ან და სთხზავდენ სრულიად ფანტასტიურ ისტორიას კომუნისტების მუშაობის შესახებ. რესპუბლიკანური საფრანგეთის „დემოკრატიული" მთავრობა არავითარ საშუალებებს არ ერიდება, ოღონდ ჩირქი მოსცხოს თავის შეურიგებელ მტრებს—კომუნისტებს. როგორც თვით საქმე საბჭოთა კავშირის სასარგებლო ჯაშუშობის შესახებ, ისე განსაკუთრებით საბრალმდებლო განაჩენის დასაბუთება, განაჩენის, რომელიც გამოტანილია მიუხედავათ ბრალდების სრული ჩაფუშვისა და პროცესის გამომჟღავნებულ შავი მიზნებისა, მოწმობს იმას, რომ თუ მთლიანად საფრანგეთის მთავრობა არა, ყოველშემთხვევაში მისი უკიდურესი რეაქციონური ფრთა, რომელსაც ეკუთვნის იუსტიციის მინისტრი ბარტუ, რომელიც განაგებს ვითომ და „დამოუკიდებელ" მოსამართლეებს, ამ შემთხვევაში ხელმძღვანელობდა არა მარტო საშინაო პოლიტიკის მიზნებით, არამედ ის უფრო შორს უმიზნებდა.

არც წინასწარი გამოძიების მსვლელობაში და არც პროცესის დროს, რომელიც საჯაროთ სწარმოებდა, არ ყოფილა აღმოჩენილი, რომ საბჭოთა მთავრობას ან საბჭოთა კავშირის პარიზის წარმომადგენლობას ჰქონოდა მცირეოდენი დამოკიდებულება მაინც დაპატიმრებულ ფრანგ კომუნისტების საქმიანობისადმი. პოლიციის ერთად-ერთ „არგუმენტს" წარმოადგენდა ის გარემოება, რომ ბერნშტეინის ცოლი მსახურობს რაღაც მცირე თანამდებობაზე საბჭოთა კავშირის წარმომადგენლობაში. მიუხედავათ ამისა სასამართლომ ნება მისცა თავს დაესაბუთებია განაჩენი მკაცრი ანტისაბჭოთა ხასიათის მოტივებით და ამგვარად დაადასტურა თავის სოლიდარობა და მჭიდრო კავშირი საიდუმლო პოლიციის და იმ რეაქციონურ წრეების მახინაციებთან, რომლებიც აწარმოებენ პროპაგანდას საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გასაწყვეტად.

დიდი ხანი არაა მას შემდეგ, რაც პარიზის იმავე სასამართლოს საქმე ჰქონდა ინგლისის შპიონაჟის არა ფანტასტიურ, არამედ ნამდვილ ორგანიზაციასთან საფრანგეთის საზღვაო და საავიაციო ცენტრებში. რაღაც სავაჭრო ფირმის წარმომადგენლობის სახით ინგლისელ ჯაშუშების კამპანია იღებდა ფრანგ ოფიცრებისაგან ცნობებს, რისთვისაც უგზავნიდა მათ ჯაშუშური სააგენტოს მიერ საამისოდ შერჩეულ მსუბუქ ყოფაქცევის ქალებს. ჩვენ არ გვახსოვს, რომ მოსამართლეთ ამის გამო მკაცრი კრიტიკით გაელაშქრებიათ „მეგობრულ" სახელმწიფოს ასეთ მოქმედების წინააღმდეგ. კომუნისტების პროცესში კი არა თუ არ იყო დამტკიცებული საბჭოთა მთავრობის რაიმე დამოკიდებულება ჯაშუშობის აქტებთან, არამედ გადაჭრით უარყოფილია თვით ჯაშუშობის ფაქტი. ფრანგ მოსამართლეთა საქციელი ამტკიცებს, რომ მათი როლი მდგომარეობს არა იმდენად მართლმსაჯულების შესრულებაში, რამდენადაც იმაში, რომ სასამართლოს ავტორიტეტით ხელი შეუწყოს საფრანგეთის მთავრობის რეაქციონურ წრეების ანტი-კომუნისტურ და ანტი-საბჭოთა პოლიტიკას.

„პრავდა"

მოსკოვი, 27 ივლისი.

## გაიხსნა ავსტრიის პარლამენტი.—ზეიპელის და ბაუერის გამოსვლა

### ბაუერმა განაცხადა: „მე არასოდეს ისე არ ვამაყობდი ავსტრიის სოციალ-დემოკრატიის სახელით, როგორც იმ ღამეს, როდესაც სოციალ-დემოკრატებმა უარი სთქვეს გაფიცვაზე"

## უთანხმოება ნანკინსა და კანტონს შორის.—ჩან-კაი-შის მომხრეების დათხოვნა კანტონში

### შანდუნელებმა აიღეს სუჩჟოუ.—თავდასხმა კანტონის დიქტატორზე

## საბჭოთა დაკვეთები ლატვიაში

## ავსტრიის პარლამენტში

ვენა, 26 ივლისი. პარლამენტის შენობა ვენაში 25 ივლისს გარსშემორტყმული იყო თოფებით შეიარაღებულ პოლიციელების რაზმებით.

პარლამენტის ზედა ქანდარაში და ჟურნალისტების ლოჟაში ბლომად არიან სამოქალაქო ტანისამოსში გადაცმული პოლიციელები.

ზეიპელის და ბაუერის სიტყვები წარმოთქმული იყო საერთოდ მშვიდობიან ატმოსფერაში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ადგილიდან წამოძახებებს და სიტყვიერ შეტაკებებს პარტიათა შორის.

თავის სიტყვაში ზეიპელმა აღნიშნა, რომ ვენის მოვლენები იყო „მეტი, ვიდრე დემონსტრაცია". ზეიპელმა გამოსთქვა ის აზრი, რომ სისხლისღვრა ნაკლები იქნებოდა, თავიდანვე, რომ გამოეყვანათ ჯარები. ზეიპელი აქებდა პოლიციას და აღნიშნავდა, რომ ყველა პოლიციელმა, განურჩევლად პარტიულ მიმართულებისა, შეასრულეს თავისი ვალი. დასასრულ ზეიპელმა მოუწოდა ყველა პარტიებს და პარლამენტს „იმუშაონ წესრიგის აღსადგენათ".

განსაკუთრებული მოწოდებით მან მიმართა სოციალ-დემოკრატებს, რომელთაგანაც მოითხოვდა, რომ ისინი „დარჩენ დემოკრატიულ ოპოზიციად არ დაიცვან აჯანყებულნი და არ მოითხოვონ ამნისტია იმათთვის, ვისაც შეუძლია კვლავ გაიმეოროს ვენის მიერ განცდილი საშინელი დღეები".

შემდეგ გამოსულმა ბაუერმა აღნიშნა, რომ სოციალ-დემოკრატებმა ვერ შესძლეს „დაემორჩილებიათ ბრბოს მოძრაობა" და გაიხსენა 1918—1919 წლები. როდესაც სოციალ-დემოკრატებმა მოსახლეობის სინდისისა და კეთილგონიერებისადმი მიმართვით შესძლეს შეეკავებიათ იგი უაზრო გამოსვლებისაგან".

შემდეგ ბაუერმა აღნიშნა, რომ შატენდორფის ფაშისტურ მკვლელობების დროს სოციალ-დემოკრატებმა, მიუხედავათ მასების განწყობილებისა დააწყნარეს მათი აღშფოთება და დაეუფლენ მდგომარეობას.

გაუკეთა რა ანალიზი გამოსვლის მიზეზებს, ბაუერმა აღნიშნა პროლეტარიატის უკიდურესად მძიმე მდგომარეობა. უმუშევრობას საშინელი სახე აქვს მიღებული, მუშები სამ-სამი წელი რჩებიან უმუშევრათ.

შემდეგ ბაუერი შეეხო პოლიციის „ანტიმორალურ" საქციელს; პოლიცია ხალხს გაუფრთხილებლად უშენდა სახეთქ ტყვიებს.

„უდიდესი უბედურება იყო ის,—განაცხადა ბაუერმა—რომ პოლიცია დაიბნა. მხოლოდ სოციალ-დემოკრატები იყვენ თავის ადგილზე. „შუცბუნდ"-მა მოაწყო მთავრობის შენობების დაცვა, აქრობდა ხანძრებს და წინააღმდეგობას უწევდა არეულობას. თითონ ზეიცი დადიოდა სახანძრო მანქანით. იმ დროს მთავრობას და სოციალ-დემოკრატებს უნდა გაეღოთ მსხვერპლი. მთავრობამ არ ისურვა მსხვერპლის გაღება და ეს მოიმოქმედეს სოციალ-დემოკრატებმა.



ოტტო ბაუერი
ავსტრიის მენშევიკების ბელადი

„მე არასდროს ისე არ ვამაყობდი სოციალ-დემოკრატიის სახელით, როგორც ორშაბათ ღამეს, როდესაც სოციალ-დემოკრატებმა უარი სთქვეს გაფიცვაზე".

შემდეგ ბაუერმა მიმართა პარლამენტს თხოვნით, რათა მოწყობილ იქნას დახმარება ივლისის დღეების მსხვერპლთათვის. დასასრულ ბაუერმა სოციალ-დემოკრატების სახელით შეიტანა წინადადება გამოეცხადოს მთავრობას უნდობლობა და დაინიშნოს მომხდარ ამბების პირუთვნელი გამოძიება". (ადს).

## ბრძოლა ჩინეთში

### ჩან-პინ-სიანის და სიუ-ჩჟაო-ჩჟენის განცხადება

ხანკოუ, 26 ივლისი. გარდა კომპარტიის დეკლარაციისა—უხანის მთავრობის შემადგენლობიდან კომუნისტების გამოსვლის შესახებ, ტან-პინ-სიანმა და სიუ-ჩჟო-ჩჟენმა თავიანთი ხელმოწერით გამოაქვეყნეს ცალკე მოწოდება გომინდანის წევრებისადმი. მოწოდება ხაზს უსვამს კომუნისტების გადაწყვეტილებას მთავრობიდან გამოსვლის შესახებ.

„ხუნანის პროვინციაში მომხდარი ამბები—ნათქვამია მოწოდებაში—გარდატეხის მომენტი გახდა კომუნისტების და გომინდანის ურთიერთ დამოკიდებულებაში. გლეხთა მოძრაობის განვითარებამ ხუნანში განსაკუთრებული სიმკაცრით გამოამჟღავნა კლასობრივი წინააღმდეგობანი. გლეხობა ბრძოლაში ჩაება ფეოდალიზმის ნარჩენების აღმოსაფხვრელად. გომინდანის ცეკას ზოგიერთი წევრები წინადადებას იძლეოდენ ხუბეის პროვინციაში კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების შესახებ. სურდათ რა, რევოლიუციონური ფრონტის მთლიანობის შენარჩუნება, კომუნისტები დათანხმდენ მშვიდობიან გადაწყვეტილებაზე. ეს ამტკიცებს, რომ კომუნისტები გომინდანთან ერთად მიდიოდენ მანამდე, სანამ იყო გომინდანის მთლიანობის შენარჩუნების მცირეოდენი იმედი. მაგრამ ამ მშვიდობიანმა საშუალებებმა შემდეგ მიიღო მუშათა და გლეხთა დახვრეტის და მკვლელობის სახე. კომპარტიის კომიტეტებს ანიარაღებენ, მუშათა და გლეხთა ორგანიზაციებს სდევნიან, მათ მცველებს ანიარაღებენ და სხ. გომინდანის ცეკას ზოგიერთ წევრებს სუნ-იატ-სენის მოძღვრება ისე ესმით, თითქოს უკანასკნელი, კლასობრივი ბრძოლის უარყოფა იყოს ჩინეთში. სინამდვილეში კი—ჩინეთის ნაციონალურ-რევოლიუც. მოძრაობის მთელი ისტორია არის მშრომელთა მასების კლასობრივი ბრძოლის ისტორია ფეოდალებისა და სავაჭრო ბურჟუაზიის წინააღმდეგ. კლასობრივი ბრძოლა—მთავარი დამხმარე ძალაა ნაციონალური რევოლიუციის განვითარებაში. ამრიგად, გომინდანის ცეკას წევრთა შორის გამოჩნდენ ისეთი პირებიც, რომლებმაც გადასწყვიტეს სახალხო რევოლიუციონური მოძრაობისათვის და რევოლიუციონური გომინდანისათვის ბრძოლის გამოცხადება. ამის გამო გომინდანი იარაღი ხდება მილიტარისტების ხელში. ჩვენ გამოვდივართ ნაციონალური მთავრობიდან. რევოლიუციონური გომინდანელები ალბად მიხვდებიან ჩვენი გამოსვლის მიზეზს. ჩვენი მოქმედება ნაკარნახევია ნაციონალური რევოლიუციის ინტერესებით, როგორც ის ესმოდა სუნ-იატ-სენს. ჩვენ ერთგული ვრჩებით ჩვენი პარტიის".

მიმართავენ რა გომინდანის რევოლიუციონურ წევრებს, ტან-პინ-სიანი და სიუ-ჩჟაო-ჩჟენი ფიცს სდებენ, რომ მათთან ერთად იბრძოლებენ რევოლიუციისათვის. (ადს).

### კანტონი ნანკინის წინააღმდეგ

შანხაი, 26 ივლისი. იაპონიის სააგენტოს ტოხოს კორესპონდენტი იუწყება, რომ კანტონის დიქტატორი ლი-ტი-სენი სულ უფრო და უფრო მეტ ოპოზიციონურ განწყობილებას იჩენს ნანკინის მთავრობის მიმართ. ეს აიხსნება იმით, რომ ჩან-კაი-შიმ, ჩრდილოეთთან მოლაპარაკების შემდეგ დაკარგა თავისი პრესტიჟი. ამას წინეთ, ლი-ტი-სენმა დაითხოვა სამსახურიდან არსენალის უფროსი და პოლიტგანყოფილების გამგე, რომლებიც ჩან-კაი-შის მომხრეებათ ითვლებოდენ. შანხაის ზოგიერთ წრეებში ფიქრობენ, რომ შესაძლებელია კანტონი გამოეყოს ნანკინს. გარდა ამისა, გავრცელდა ხმები იმის შესახებ, რომ შესაძლებელია ლი-ტი-სენს მიემხროს ხუ-ხან-მინი იმ მიზნით, რომ შექმნან ცალკე მთავრობა გუანსის, გუანდუნის და იუნანის პროვინციებისათვის. (ადს).

### თავდასხმა კანტონის დიქტატორზე

შანხაი, 26 ივლისი. ჩინური გაზეთები იუწყებიან კანტონიდან, რომ როდესაც კანტონის დიქტატორი ლი-ტი-სინი გამოდიოდა გომინდანის კანტონის ორგანიზაციის სადგომიდან მისგან რამდენიმე ნაბიჯის მანძილზე, აფეთქდა ყუმბარა. გაზეთები გამოსთქვამენ აზრს, რომ ამ შემთხვევაში ადგილი ქონდა არა თავდასხმას, არამედ „უბედურ შემთხვევას". (ადს).

### ხმები სუ-ჩჟოუს აღების შესახებ დადასტურდა

პეკინი, 26 ივლისი. ტოხოს სააგენტოს ცნობით, მუკდენის ჯარების სარდლობამ წარუდგინა ჩან-კაი-შის მოთხოვნილება სუჩჟოუს ევაკუაციის შესახებ; თავის მოთხოვნილებას მუკდენის სარდლობა ხსნის იმით, რომ მას სურს ლუნხაის რკინის-გზის გამოყენება ჯარების გადასაყვანად უხანის მთავრობის წინააღმდეგ სამოქმედოთ. სააგენტო იუწყება, რომ ჩან-კაი-შის არ გაუცია დადებითი პასუხი, რის გამო მოლაპარაკებას შეთანხმების შესახებ კვლავ გადაეღობა მოულოდნელი დაბრკოლება. იმავე საღამოს, სააგენტოს ცნობით. შანდუნელები გადავიდენ შეტევაზე და დაიკავეს ლინჩენი. ტყვეთ ჩაიგდეს 100 ნანკინელი ჯარისკაცი და ხელთ იგდეს 13 ზარბაზანი და 3.000 თოფი. შემდეგ შანდუნელებმა განავითარეს შეტევა და დაიკავეს სუჩჟოუ. შანდუნის ჯარების მეორე ნაწილმა-კი საზღვაო ძალების დახმარებით ხელთ ჩაიგდო ხაიჩჟოუ. (ადს).

### კომპრომისული შეთანხმება

შანხაი, 26 ივლისი. შანხაის მუნიციპალიტეტმა დასდო კომპრომისული შეთანხმება ჩინელ ხარკის გადამხდელებთან ქალაქის ფრანგულ ნაწილში გადასახადის 2 პროცენტით გადიდების გამო. ჩინელმა მოხარკეებმა განაცხადეს თანხმობა იხადონ აღნიშნული ხარკი 6 თვის განმავლობაში, დაწყებული ივლისიდან. საფრანგეთის კონსულმა აღუთქვა ჩინელ მოხარკეთ, რომ ფრანგულ კონცესიის ორგანოებში მიიღებს მათ წარმომადგენლებს.

## მსოფლიო ომის 13 წლის თავისათვის

### გერმანიის კომპარტიის მოწოდება

ბერლინი, 27 ივლისი. მსოფლიო ომის წლის თავის (4 აგვისტო) მოახლოვების გამო გერმანიის კომპარტიის ცეკა აქვეყნებს, მოწოდებას გერმანიის მშრომელთადმი. „გერმანიის მუშებმა უნდა შეიგნონ—ნათქვამია მოწოდებაში,—რომ ბრძოლა რუსეთის და ჩინეთის რევოლიუციის დასაცავად უდრის ბრძოლას იმპერიალისტურ ომის წინააღმდეგ. მოწოდება თავდება შემდეგი ლოზუნგებით: „ძირს. ბურჟუაზიასთან თანამშრომლობის პოლიტიკა! ყველა პროლეტარული ძალები — რუსეთის და ჩინეთის რევოლიუციების დასაცავად". (ადს)

### სოციალ-დემოკრატები არ ახდენენ დემონსტრაციას საბჭოთა რუსეთის სასარგებლოდ

ბერლინი, 27 ივლისი. გერმანიის კომპარტიამ მიმართა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას და სრულიად-გერმანიის პროფკავშირთა გაერთიანებას წინადადებით, რათა 4 აგვისტოს გაემართათ საერთო დემონსტრაციები შემდეგი ლოზუნგებით: „იმპერიალისტური ომის საფრთხის წინააღმდეგ. საბჭოთა კავშირის დასაცავად"

სოციალ-დემოკრატებმა უარყვეს ეს წინადადება და განაცხადეს თავის პასუხში:

„ჩვენ არ შეგვიძლია მოვახდინოთ დემონსტრაცია საბჭოთა რუსეთის სასარგებლოდ". პროფკავშირთა სრულიად გერმანიის გაერთიანებამ უარყო საერთო დემონსტრაციებში მონაწილეობა ფორმალურ მოსაზრებებით.

ბერლინი, 27 ივლისი. ბერლინის მიწისქვეშა რკინის გზის მუშებმა მიიღეს კომპარტიის წინადადება საერთო დემონსტრაციების მოწყობის შესახებ 4 აგვისტოს და სოციალ-დემოკრატების და კომუნისტების შემადგენლობით. დელეგაცია გაუგზავნეს სოც.-დემოკრატიულ პარტიის ცეკას. რომელმაც ახლაც უპასუხა: „გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას არ შეუძლია დემონსტრაცია მოახდინოს საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ". (ადს).

## პილსუდსკის რესპუბლიკაში

### ლოძის ფეიქრები გაფიცვის წინ

ვარშავა, 26 ივლისი. ლოძის ფაბრიკანტებისა და ფეიქრების შორის ლოძაში სწარმოებს გადამწყვეტი მოლაპარაკება. იმ შემთხვევაში, თუ მწარმოებლები არ დააკმაყოფილებენ ფეიქართა მოთხოვნილებებს, მუშებს გადაწყვეტილი აქვთ გაფიცვის გამოცხადება (ადს).

### მასიური დაპატიმრება

ვარშავა, 26 ივლისი. ვარშავასა და ლვოვში მასიური დაპატიმრება ხდება. პოლიციის განცხადებით, მან (პოლიციამ) თითქოს აღმოაჩინა „აღმოსავლეთ უკრაინის კომპარტიის სამდივნო" (ადს).

### კონფლიქტი რკინისგზელებს და მინისტრის შორის

ვარშავა, 26 ივლისი. რკინისგზელების და გზათა მიმოსვლის მინისტრის—რომოცკის შორის მომხდარი კონფლიქტი მოგვარებულია. რომოცკიმ წინანდელი შემადგენლობით მიიპატიჟა რკინისგზელთა დელეგაცია, ბოდიში მოიხადა მათ წინაშე და განაცხადა, რომ პირველ სექტემბრიდან რკინისგზელთა ხელფასი გადიდებული იქნება (ადს).

## პროფინტერნის მიმართვა

მოსკოვი, 27 ივლისი. აგვისტოს რიცხვებში ჰელსინგფორსში მოწვეულია ლიუცერნის საპორტო ინტერნაციონალის კონგრესი. ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელები დღის წესრიგში სვამენ ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხს ამის გამო, პროფინტერნის აღმასრულებელი ბიურო ყველა ქვეყნის მუშებისადმი მიმართვაში აღნიშნავს რომ:

„ლიუცერნის ინტერნაციონალის ხელმძღვანელებმა, მუშების ძალდატანებით დასვეს რა ფაშიზმთან ბრძოლის საკითხი, მთელ რიგ მაგალითებით დაამტკიცეს, რომ ისინი არ დგებიან ბრძოლის იმ გზაზე, რომელსაც პროლეტარიატი მოითხოვს. ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, ყველა იმ ორგანიზაციების გაერთიანების მაგიერ, რომელნიც კლასობრივი ბრძოლის საფუძველზე დგანან, რეფორმისტული ხელმძღვანელები უთანხმდებიან ბურჟუაზიულ და ნახევრად ბურჟუაზიულ ორგანიზაციებს.

პროფინტერნის აღმასრულებელი ბიურო მუშებს მოუწოდებს, რომ გამოაშკარავონ მშრომელთა მასსების წინაშე ბელადების ის შეთანხმებითი ტაქტიკა, რომლითაც უკანასკნელი პოლიტიკურ შეხედულებათა სხვადასხვაობის განურჩევლათ ბურჟუაზიასთან კავშირს არჩევენ მუშათა ყველა ორგანიზაციების კავშირს (ადს).

## საბჭოთა შეკვეთები ლატვიაში

რიგა, 26 ივლისი. გაზეთები აქვეყნებენ საუბარს ფინანსთა მინისტრის ამხანაგთან ბოკაიდერთან საბჭოთა შეკვეთების შესახებ.

„სრულებით უნიადაგოა „ლატვის ტევიას" ჭორები იმის შესახებ, სთქვა ბოკაიდერმა, თითქოს საბჭოთა კავშირს განზრახული ქონდეს თავისი შეკვეთების საშუალებით შექმნას ისეთი პირობები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ლატვია-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ხელშეკრულების რატიფიკაციას. ვინც იცნობს საბჭოთა კავშირის ეკონომიურ ცხოვრებას, მან იცის, რომ საბჭოთა კავშირს დიდი ხანია ესაჭიროება ის საქონელი, რომელსაც დღეს ყიდულობს ლატვიაში. ბუნებრივია ისიც, რომ ამ საქონელს ყიდულობს ის სწორედ ლატვიაში, ვინაიდან ეს ტრანზიტის მხრივ უფრო ხელსაყრელია საბჭოთა კავშირისათვის. თუ დღევანდელი შეკვეთები არ იყო მიღებული ადრე, ამის მიზეზია ლატვიის ყოფილი მთავრობების აგრესიული პოლიტიკა საბჭოთა კავშირის მიმართ. (ადს).

## ლატვია და საბჭ. კავშირი

რიგა, 26 ივლისი. „მემელის გაზეთი" აქვეყნებს საუბარს ლატვიის გარეშე საქმეთა მინისტრთან ცელენსთან.

ანტი-საბჭოთა ფრონტის შესახებ მოცემულ კითხვაზე ცელენსმა უპასუხა:

„ლატვიას არ მიუღია არავითარი მოწვევა ასეთ ფრონტში მონაწილეობის მიღების შესახებ. და რომ მიეღო კიდეც ასეთი წინადადება, ის მას დაუყოვნებივ უარყოფდა. ბოლშევიკურ რუსეთთან ჩვენ მშვიდობიან დამოკიდებულებაში ვართ უკვე 8 წლის განმავლობაში, რეაქციონურ რუსეთთან-კი ვერ გავსძლებდით ერთ დღესაც. (ადს).

## საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისიის პლენუმი

მოსკოვი, 27 ივლისი. 26 ივლისს კრემლში ამხ. ორჯონიკიძის თავმჯდომარეობით გაიხსნა საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-14 ყრილობაზე არჩეული საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრ. საკონტრ. კომისიის მეექვსე პლენუმი. ამხ. ორჯონიკიძის წინადადებით მოხსენება საბჭოთა კავშირის ცენტრ. საკონტრ. კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობის შესახებ გადატანილ იქნა საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას და ცენტრ. საკონტრ. კომისიის უახლოეს გაერთიანებულ პლენუმზე. პლენუმმა დაამტკიცა შემდეგი დღის წესრიგი:

მოხსენება უკრაინის ცენტ. საკონტრ. კომისიის და უკრაინის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატის მუშაობის შესახებ; მოხსენება მოსკოვის საკონტროლო კომისიის და მოსკოვის მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობის შესახებ.

რეგლამენტის დამტკიცების შემდეგ მოხსენება უკრაინის კომპარტიის ცენტრ. საკონტრ. კომისიის და უკრაინის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატის მუშაობის შესახებ გააკეთა ამხ. ზატონსკიმ.

მოხსენების დასაწყისში ამხ. ზატონსკი შეჩერდა უკრაინის პარტიული ორგანიზაციების მდგომარეობაზე: უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში უკრაინის ორგანიზაცია სამჯერ მეტად გაიზარდა და ეხლა მას ჰყავს 180.000 წევრი. უკრაინის კომპარტიაში მუშათა რიცხვი აღემატება საშუალო დონეს მთელ კავშირში და უკანასკნელი გამოანგარიშებით შეადგენს 65,2 პროცენტს. მუშათა პროცენტი საკავშირო კომპარტიაში შეადგენს 57. უკანასკნელი ნახევარი წლის განმავლობაში უკრაინის ორგანიზაციაში მუშათა შემადგენლობა შემცირდა 67-დან 65 პროცენტამდე, მაგრამ ეს მოხდა უმთავრესად იმის გამო, რომ წევრებად იქნენ გადაყვანილი გლეხი კანდიდატები, რომლებმაც საკანდიდატო სტაჟი გაიარეს.

შეეხო რა ოპოზიციის მუშაობას უკრაინაში, ამხ. ზატონსკიმ აღნიშნა, რომ ოპოზიცია უკრაინაში აწარმოებს იმავე ანტიპარტიულ მუშაობას, რომელსაც ადგილი აქვს მოსკოვსა და სხვა ქალაქებში. ოპოზიციის მუშაობა განსაკუთრებით გაძლიერდა უკანასკნელ ხანებში. ამხ. ზატონსკის მოჰყავს ზოგიერთი დოკუმენტები, რომელნიც მოწმობენ, რომ ოპოზიცია შეეცადა დაემყარებია კავშირი პარტიისადმი მტრულად განწყობილ ელემენტებთან.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში (1 წელი და 5 თვე) პარტიულ პასუხისმგებლობაში იქნა მიცემული სულ 27 ოპოზიციონერი, აქედან 12 გამორიცხული იქნება პარტიიდან. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ოპოზიცია მასებში არ სარგებლობს ავტორიტეტით და დაბალი საფეხურის პარტიული ორგანიზაციები ბრალს სდებენ ცენტრ. საკონტრ. კომისიას იმაში, რომ იგი მეტად რბილად ეპყრობა პარტიული დისციპლინის დარღვევას ოპოზიციონერების მხრივ.

შემდეგ ამხ. ზატონსკი შეჩერდა უკრაინის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატის მუშაობაზე, შეეხო მისი შემდგომი მუშაობის პერსპექტივებს და აღნიშნა, რომ 1) აუცილებელია ჯეროვან ნიადაგზე იქნას დაყენებული იმ პროცესების შესწავლა, რომელნიც პარტიის შიგნით ხდება და აუცილებელია აგრეთვე ბრძოლა პარტიული ხაზის დამახინჯების წინააღმდეგ; 2) აუცილებელია მუშებისა და გლეხების უფრო ფართოდ ჩაბმა მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობაში, მათი მუშაობის აღრიცხვა და უნარიანი მუშაკების დაწინაურება; 3) გავრცელებული უნდა იქნეს მუშაობა მთელი აპარატის გარდაქმნისა და გამარტივებისათვის; 4) საჭიროა ყურადღების ცენტრის გადატანა რაციონალიზაციის პროცესებზე.

საღამოს სხდომაზე პლენუმმა მოისმინა ამხ. იაროსლავსკის თანამოხსენება.

ამხ. ზატონსკის მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს შემდეგმა ამხანაგებმა: გორჩაევმა, ბუშუევმა, კარიპოვმა, გორკოვმა და ტერეხოვმა. შემდეგ საბოლოო სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ზატონსკიმ.

უკრაინის კომპარტიის ცენტრ. საკონტრ. კომისიის და უკრაინის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატის მოხსენების შესახებ რეზოლიუციის საბოლოოდ შესამუშავებლად არჩეულ იქნა კომისია შემდეგი შემადგენლობით: ამხ. ზატონსკი, იაროსლავსკი, გორჩაევი, პერეხოვი და სმოროდინი (ადს).

## საბჭოთა ნავთის გარშემო

### „ნიუ-იორკ ტაიმს"-ის წერილი

ნიუ-იორკი, 26 ივლისი. „ნიუ-იორკ ტაიმს"-ი ათავსებს პირველ გვერდზე წერილს, რომელშიაც აცხადებს, რომ გარიგებები საბჭოთა ნავთზე ქმნიან მსოფლიო კონფლიქტის საფრთხეს ნავთის ბაზრების გამო.

„დეტერდინგი (ინგლის-ჰოლანდიის ტრესტ „როიალ დეტჩ"-ის მეთაური),—აცხადებს გაზეთი—„ნიუ-იორკის სტანდარტ ოილ კომპანი"-ზე გავლენის მოხდენის მიზნით იმუქრება, რომ შეესევა ამერიკულ კამპანიების ბაზრებს ევროპაში, ახლო აღმოსავლეთში და თვით ამერიკაშიც კი. თავის მხრივ „ნიუ-იორკის სტანდარტ ოილ კომპანი" ამზადებს იერიშს ინგლისის ტრესტის წინააღმდეგ. „ნიუ-ჯერსის სტანდარტ ოილ კომპანი"-ს თავმჯდომარე ტიგლი, რომელიც ჩავიდა ლონდონში, ალბათ შეეცდება, დაითანხმოს დეტერდინგი შემარიგებელ პოლიტიკაზე".

გაზეთი აცხადებს, რომ თუ ტიგლმა ვერ შესძლო დეტერდინგთან შეთანხმება. „ნიუ-ჯერსის სტანდარტს ოილ კომპანი"-მ უნდა გასწყვიტოს კავშირი „როიალ დეტჩ"-თან.

შელლი მხარს უჭერს იმ კამპანიებს, რომლებიც ყიდულობენ საბჭოთა ნავთს, დეტერდინგის წინააღმდეგ.

აივი ლის წინადადება ამერიკის სავაჭრო პალატის განყოფილების გახსნის შესახებ მოსკოვში უნდა გახილულ იქნას, როგორც როკფელერის მიერ „ნიუ-იორკის სტანდარტ ოილ კომპანი"-სა და აგრეთვე „ვაკუუმ ოილ კომპანი"-სათვის მხარის დაჭერა დეტერდინგის და „ნიუ-ჯერსის სტანდარტ ოილ კომპანი"-ს წინააღმდეგ საბჭოთა კავშირთან ვაჭრობის საკითხში.

დეტერდინგის ნიუ-იორკის ბიურო ისევ აქვეყნებს განცხადებებს, რომლებშიაც ილაშქრებს „ვაკუუმ ოილ"-ის და „ნიუ-იორკის სტანდარტ ოილ კომპანი"-ს წინააღმდეგ და სცდილობს დაამტკიცოს, რომ საბჭოთა ნავთის შესყიდვა წარმოადგენს ამერიკელ მწარმოებელთა ინტერესების შელახვას. (ადს).

### ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის ჩაშლის შედეგები"

ლონდონი, 26 ივლისი. „მორნინგ პოსტი" კომენტარიებს უკეთებს „სტანდარტ ოილი კამპანიებს ნიუ-იორკში" და „სტანდარტ ოილი კამპანიის ნიუ-ჯერსიში" შორის დაწყებულ პოლემიკას საბჭოთა ნავთის გარშემო.

„ინგლისის პოლიტიკამ—სწერს გაზეთი—ხელი უნდა შეუშალოს საბჭოთა ნავთის გაყიდვას კონსტანტინეპოლში, პორტ-საიდში და კოლომბოში".

ამავ საკითხს იხილავს „დეილი ტელეგრაფი". ის სწერს, რომ საბჭოთა მთავრობის შეთანხმება „სტანდარტ ოილის კამპანიასთან" ნიუ-იორკში და „ვაკუმ ოილის კამპანიასთან" არა პირდაპირი შედეგი არის ინგლის - საბჭოთა ურთიერთობის ჩაშლის. (ადს).

## იმპერიალისტების ანტი-საბჭოთა ზრახვები

პარიზი, 26 ივლისი. საფრანგეთის პრესა, თითქოს შეთანხმებული ყოფილიყოს, ერთის სიტყვით არ გამოეხმაურა, ცნობილ გერმანელ მრეწველის, საბჭოთა კავშირის მტრის არნოლდ რეიხბერგის, „ავენირში" მოთავსებულ წერილს, სადაც გატარებულია იდეა ინგლისის, საფრანგეთის და გერმანიის კავშირის დაარსების შესახებ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. პრესამ უყურადღებოთ დასტოვა რეიხბერგის ისეთი განცხადებაც, სადაც ის ლაპარაკობს, რომ გერმანიაში ძლიერია სურვილი რევანშის. მარტო „ავენირი" უპასუხებს რეიხბერგს ორი წერილით ერთის ავტორია შვობი, მეორეს—ადმირალი დეგუი. შვობის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბურჟუაზიული სახელმწიფოების გაერთიანება საჭიროთ მიაჩნია. სამხედრო კავშირში ბელგიის და პოლონეთის მონაწილეობა ძალთა წონასწორობისათვის. და შემდეგ შვობი აცხადებს, რომ სარიის ოლქი შეიძლება დაუბრუნდეს გერმანიას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაცული იქნება საფრანგეთის ეკონომიური ინტერესები. დანციგის კორიდორის მოსპობა, შვობის აზრით, მოსახერხებელია იმ შემთხვევაში, თუ პოლონეთს გადაეცა მანდატი მემელზე და თუ მოეწყო პოლონეთ - ლიტვას ფედერაცია, ეს კი, თავის მხრივ დამოკიდებულია იმაზე, თუ რა პოზიციას დაიკავებს გერმანია.

დეგუი თავის პასუხში აცხადებს, რომ გერმანიას შეიძლება მიეცეს საშუალება აღმოსავლეთისაკენ ექსპანსიის გზით აინაზღაუროს ზარალი, რომელიც მას მიაყენა რაპალოს ხელშეკრულებამ. (ადს).

## საბჭოთა კავშირი და ფინეთი

### ამხ. ალექსანდროვსკიმ ჩააბარა რწმუნების სიგელი

ჰელსინგფორსი, 26 ივლისი. საბჭოთა კავშირის ახლად დანიშნულმა სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ფინეთში ალექსანდროვსკიმ რწმუნების სიგელი ჩააბარა პრემიერ ტანერს, რომელიც რესპუბლიკის პრეზიდენტის მოადგილედ არის.

ალექსანდროვსკიმ წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც აღნიშნა, რომ საბჭოთა მთავრობა მიისწრაფვის განამტკიცოს ორთავე ქვეყნის შორის არსებული კეთილმეზობლური ურთიერთობა. დასასრულ ალექსანდროვსკიმ გამოსთქვა რწმენა, რომ ყველა საკითხები, რომელნიც მომავალში წარმოიშობა ორთავე ქვეყნის შორის გადაწყდება ორივე მხარის ინტერესთა თანხმობით.

საპასუხო სიტყვაში ტანერმა განაცხადა, რომ ფინეთის ხალხს გულწრფელად სურს მეგობრული ურთიერთობის განმტკიცება საბჭოთა კავშირთან. მტკიცე ბაზა კეთილმეზობლური ურთიერთობისათვის იქნება უკვე დადებული ხელშეკრულებანი. ტანერმა გამოსთქვა რწმენა, რომ ახალი სრულუფლებიანი წარმომადგენლის მომავალი მუშაობა რეალურ შედეგებს გამოიღებს. (ადს).

## უკანასკნელი ცნობები

### ამხ. რაკოვსკი მოსკოვში

მოსკოვი, 27 ივლისი. მოსკოვში ჩამოვიდა ამხ. რაკოვსკი. (ადს).

### აჯანყება პორტუგალიაში

პარიზი, 26 ივლისი. „იუმანიტე" იუწყება, რომ გავრცელდა ხმები, პორტუგალიაში ახალი აჯანყების დაწყების შესახებ. პორტუგალიის მთავრობა ამ ხმებს უარყოფს და აცხადებს, რომ ის დარწმუნებულია, რომ ჯარი მას მხარს უჭერს. (ადს)

### ავსტრიის პარლამენტმა განაახლა მუშაობა

ვენა, 26 ივლისი. 26 ივლისს გაიხსნა პარლამენტის სხდომა, რომელზედაც მოხდება მომხდარი ამბების გარჩევა. მთავრობის დეკლარაციით გამოვიდა კანცლერი ზეიპელი. (ადს)

### რემედასიდან დახმარების მიღების გამო

რომი, 26 ივლისი. ბარში დააპატიმრეს 8 კომუნისტის ცოლები, რომლებსაც იტალიის სასამართლომ მიუსაჯა 20 წლიდან — 30 წლამდე თავისუფლების აღკვეთა. დაპატიმრებულებს ბრალი ედებათ რემედასის იტალიის განყოფილებისაგან, რომელიც თითქოს მარსელში იმყოფება, ფულის სახით დახმარების მიღება. (ადს)

### „შეერთებული შტატების უკანასკნელი სისაძაგლე"

ნიუ-იორკი, 26 ივლისი. მექსიკის კონსერვატორული გაზეთი „ექსცელსიორი" სასტიკათ გმობს შეერთებულ შტატების მოქმედებას ნიკარაგუაში. ოკტალაში მომხდარ უკანასკნელ მასიურ მკვლელობას გაზეთი უწოდებს „შეერთებული შტატების მთავრობის უკანასკნელ დიდ სისაძაგლე"-ს. (ადს)

### კანონპროექტი სამრეწველო კონფლიქტების შესახებ

ლონდონი, 26 ივლისი. რეიტერის სააგენტოს ცნობით კანონპროექტი სამრეწველო კონფლიქტების შესახებ მიღებულია ლორდთა პალატის მიერ მესამე წაკითხვის შემდეგ 86 ხმის უმეტესობით 17-ის წინააღმდეგ. (ადს)

### პიკის განთავისუფლება

ვენა 26 ივლ. განთავისუფლებულია გერმანიის კომპარტიის ცეკას წევრი პიკი, რომელიც პოლიციელის თანხლებით გაძევებულია გერმანია - ავსტრიის საზღვრით". (ადს)

### ლატვია - საბჭოთა სავაჭრო ხელშეკრულება

რიგა, 26 ივლისი. ლატვია-საბჭოთა სავაჭრო ხელშეკრულების რატიფიკაცია, პრესის ცნობით, სექტემბერში მოხდება როცა სეიმი შეიკრიბება. (ადს)

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართველ მენშევიკების გასამართლება ხარკოვში

## 26 ივლისის დილის სხდომა *)

(მეთერთმეტე)

ჯამუშ-კოლონაშვილის დაკითხვა

(ტელეგრაფით ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

### მაჭანკალას როლში

პრიგოვი განაგრძობს შეკითხვების მიცემას კოლონაშვილისათვის.

კოლონაშვილი ყოველ მხრივ ცდილობდ გაეტყუებია არეშიძე საზღვარგარეთ. ალუთქვამდა მას დაქორწინებას ერთ მის მდიდარ ნაცნობ ქალზე, უქებდა მის ახალგაზრდობას, სილამაზეს, ჭკუას და ენერგიას.

ვარშავაში კოლონაშვილს ჰყავს ნაცნობი პოლკოვნიკი ვაშაძე, რომელსაც ჰყავს მიმდიდარი გასათხოვარი ქალი, არეშიძის მომავალი საპატარძლო. ეს კოლონაშვილს დასჭირდა იმისათვის, რომ რესტორანის მეპატრონე არეშიძე გამოეყენებია, როგორც ფულიანი კაცი. არეშიძემ მას უპასუხა, რომ „მე თვითონ ავანტიურისტი ვარ და ვერ მომატყუებთ".

კოლონაშვილი უარყოფს ამას. პრიგოვი კითხულობს კოლონაშვილის წერილობით ჩვენებას.

კოლონაშვილი თითქოს პოულობს „თავის დასაძვრენს" და აცხადებს:—„მიაქციეთ ყურადღება ჩვენების სტილს, ის ისეთია, რომ არ შეიძლება სიმართლედ ჩაითვალოს". (დარბაზში კვლავ ხანგრძლივი სიცილია).

შემდეგ კოლონაშვილი აჩვენებს, რომ არეშიძის საცოლე, პოლონელი ქალი, რომელიც ვარშავაში ცხოვრობს; ძალიან ბებერია და საეჭვოა, რომ ვინმემ ცოლად შეირთოს.

— მაშ, რატომ გინდოდათ თქვენი მეგობრის დაქორწინება ბებერ ქალზე?—ეკითხება პრიგოვი.

კოლონაშვილი კვლავ წერილობითი ჩვენების „სტილს" მიაქცევს ყურადღებას (დარბაზში სიცილია).

ტოლუმბაში, მაჭანკალი, ეკლესიის მგალობელთა გუნდის წევრი მონარქისტი, რომელმაც ოთხი პარტია მოიარა მენშევიკურ, ჯაშუშურ ხროვის ღირსეული წევრი; ყოველივე ეს ერთმანეთს ჰგავს.

პოლკოვნიკ ვაშაძეს კოლონაშვილი მოეწონა კიევში, სადაც ისინი შეხვდნენ ერთმანეთს ვინმე რეხვიაშვილის მიერ გამართულ სადილზე. კოლონაშვილი იყო თამადა, მღეროდა „მოძახილით".

— ქართველები ჭირშიაც და ლხინშიაც მღერიან.—ფრიად სერიოზული სახით განმარტავს კოლონაშვილი. (კვლავ სიცილი).

— თამადა „მოძახილით" უნდა მღეროდეს,— განმარტავს კოლონაშვილი.

— გოგლიანოვსკი არ არის საშიში მონარქისტი, ის სულ 24 წლის არის—ლაპარაკობს კოლონაშვილი, რომელიც ცდილობს მისი დანაშაულის შემსუბუქებას.

— ერთი მოგვახსენეთ, რამდენი წლის არის კავერდა?—ეკითხება პრიგოვი.

— ოცდაოთხის,—თავჩაღუნული უპასუხებს კოლონაშვილი.

— მაშ, არ ყოფილა საშიში?—

— დასძენს პრიგოვი.

კოლონაშვილი სდუმს.

— შემდეგ კოლონაშვილი ლაპარაკობს, რომ პარიზიდან მიღებული არალეგალური ლიტერატურა ასტრახანში უნდა გადაგვეთარგმნა, ყველა ეროვნების ენაზე, ვფიქრობდით კავშირი დაგვეჭირა პოლიტიკურ გადასახლებულებთან. რომლებიც მოთავსებული არიან თურქესტანის და ცარიცინის ციხეებში.

აკ. ჭუღნია.

---

*) დასასრული.

## 26 ივლისის საღამოს სხდომა

(მეთორმეტე)

შექმეშვილის დაკითხვა

(ტელეგრაფით ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

### ანჯაფარიძის „ორეული"

დაბოლოს კოლონაშვილი ჩამოდის სცენიდან. დარბაზი დამშვიდებულია. ეხლა დაკითხულ იქნება ფედერალისტი სიმონ შექმეშვილი. სახე მოღუშული და გაბოროტებული აქვს. არც ერთი ღიმილი სახეზე, საშუალო ტანისა. ლაპარაკობს ძალიან ცოტას, ეშინია ზედმეტი რამ არ წამოსცდეს. რუსულს ლაპარაკობს დიდის გაჭირვებით, მაგრამ სწორად. იგი ხასიათით კოლონაშვილის ანტიპოდია. პროცესზე იგი წარმოდგენილია თავისი მეუღლით — სოფიოთი. იშვიათი ცოლ-ქმრული სოლიდარობაა. შექმეშვილს მიუღია სპეციალური საშუალო განათლება, ის არის ლეჩხუმის მაზრის აგრონომი.

ლაპარაკობს თითქმის ჩურჩულით, იგი აცხადებს, რომ სტკივა ყელი. სასამართლოს უამბობს საქმის ვითარებას, შექმეშვილის ჩვენების მეთოდი ანჯაფარიძისებურია. უარყოფა, დუმილი, თავისი წერილობითი ჩვენების გაბათილება. იგი უარჰყოფს, რომ იგი გაემგზავრა კამენეც - პოდოლსკში საქართველოში გადასაგზავნი ფულის მისაღებად. „არ ახსოვს" პაროლები. სცდილობდა დახმარებოდა იმნაძეს საზღვარზე გადასვლაში, მოინდომა გადასვლის მოწყობა, ნამდვილად კი ვითომ არ ეხმარებოდა. სოფიოს საშუალებით მას მოლაპარაკება ქონდა ბრაკონთან, მან გოგლიჩიძესთან ერთად მოაწყო იმნაძის გადასვლა საზღვარზე. იმნაძეს ის დაეხმარა მხოლოდ როგორც ქართველს. იგი ანჯაფარიძის ორეულია.

დაკითხვას აწარმოებს პრიგოვი. პრიგოვი ბრალდებულს ეკითხება: უთხარით თუ არა თქვენს ცოლს თქვენი პარიზში წასვლის შესახებ? — პარიზში წასვლა არ მინდოდა, ჩემი ცოლისათვის არაფერი არ მითქვამს არალეგალური მუშაობის შესახებ, ქალებს ასეთ საქმეებს არავინ გაანდობს.

შემდეგ ირკვევა, რომ კიევის ორგანიზაციაში არა ერთხელ გაირჩა საკითხი ჯაშუშობის შესახებ. შეხენ ჯაშუშ ბელავინის პროცესს, რომელიც მაშინ ხდებოდა კიევში, მათ ეშინოდათ, რომ იგივე ამბავი არ განმეორებულიყო იმათ მიმართაც. შექმეშვილი თავისი წინასწარ განზრახული დუმილით თითქმის აჭარბებს დანარჩენებს.

დამცველის თხოვნით სასამართლოს სხდომაზე კითხულობენ ცალკე ადგილებს თ. ღლონტის ბროშურიდან: „მენშევიკური და ბოლშევიკური საქართველო". დამცველის კითხვაზე. ეთანხმება თუ არა შექმეშვილი ბროშურაში გამოთქმულ დებულებებს აგრარული და ეროვნული საკითხის შესახებ შექმეშვილი აძლევს დადებით პასუხს.

### „ავადმყოფი" სტუდენტი

შემდეგ კითხვას აძლევს პოპოვი. რას აკეთებდით მენშევიკური საქართველოში? შექმეშვილი უპასუხებს: მე ვიყავი პარტიული პროპაგანდისტი, დავდიოდი სოფლებში. 1919 წელში შექმეშვილი გაემგზავრა ბერლინში, მაგრამ ავადმყოფობის გამო გემიდან გადმოსხეს ოდესაში. შექმეშვილი, როგორც სახელმწიფო სტიპენდიანტი, 80 სტუდენტთან ერთად მიემგზავრებოდა ევროპაში. ავადმყოფი შექმეშვილი გამოფხიზლდა ოდესის საავადმყოფოში. ეს იყო ის დრო, როცა ოდესა დაიჭირეს ბოლშევიკებმა.

ამით თავდება შექმეშვილის დაკითხვა. საერთო შთაბეჭდილება მისგან ასეთია: იგი ყველაზე უფრო უფერული პიროვნებაა უფერულ ბრალდებულთა შორის. მხოლოდ იმით აჭარბებს კოლონაშვილს, რომ შექმეშვილი ლაპარაკობს ცოტას, ეშინია არ გასცეს თავისი თავი, კოლონაშვილი და დაუსრულებლად ლაყბობს.

### ერთმანეთს აბეზღებენ

საინტერესოა აღინიშნოს შექმეშვილის არა ამხანაგური საქციელი სხვა ბრალდებულთა მიმართ. შექმეშვილმა გამოგონილი გვარით (ახნაზაროვი) სახელმწ. პოლიტსამმართველოში გაგზავნა ანონიმური წერილი, რომელშიაც იგი აბეზღებდა გოგლიჩიძეს, უშარაულს, სამხარაძეს და აცხადებდა, რომ ისინი პოლიტიკური ბოროტმოქმედნი არიან. ეს შექმეშვილმა ჩაიდინა იმ მიზნით რომ თავიდან აეცილებია პასუხისმგებლობა დაპატიმრების შემთხვევაში. ეს არის ქართველის მიერ ქართველისათვის დახმარება? — ეკითხება პრიგოვი. შექმეშვილი გაყვითლებულია სანთელივით, მას არ სურს, არ შეუძლია პასუხის გაცემა.

უნდა აღინიშნოს, რომ ბრალდებულთა უმრავლესობა თავიანთ ცოდვებს ერთიმეორეს აზვევდენ თავზე, რომ ამით დაეცვათ საკუთარი თავი.

## არეშიძე გოგორიშვილის დაკითხვა

### „ჭიათურელი მუშა"

შემდეგ დაკითხეს არეშიძე - გოგორიშვილი. მაღალი და წარმოსადეგი კაცია, ულვაშები გადაგრეხილი აქვს; იგი არის სტუდენტი, დამთავრებული აქვს კლასიკური გიმნაზია ქუთაისში. თავის თავს უწოდებს ჭიათურელ მუშას, თუმცა გარეგანი შეხედულება ამტკიცებს, რომ უსაქმური კაცია. გასამართლებული იყო ერთხელ: ხელისუფლების გადაჭარბებისათვის, მიესაჯა სამი წლის ციხე. მისი ნამდვილი გვარია გოგორიშვილი.

უნდა აღინიშნოს, რომ მას კიევში ჩასვლის პირველ დღეებში დაეხმარა იგივე გოგლიჩიძე, კიევში მყოფი ყველა ქართველებისათვის „მზრუნველი", მეტად „გულშემატკივარი ადამიანი. გოგორიშვილს ჩარკვიანთან ერთად კიევში ქონდა ღვინის სარდაფი. აქ სცხოვრობდა ანჯაფარიძე საქართველოდან ჩამოსვლის შემდეგ. სარდაფი იყო შესახვედრი ადგილი არალეგალურად მომუშავეთათვის გოგორიშვილი სასამართლოს უამბობს პოლონელ მოხუც ქალზე დაქორწინების ამბავს, რომელიც კოლონაშვილის წინადადებით მოხდა, იგი უამბობს აგრეთვე კოლონაშვილთან ერთად ასტრახანში გამგზავრების ისტორიას.

### საზღვარ - გარეთ გადასვლა

გოგორიშვილი მოუთხრობს სასამართლოს საზღვარ - გარედ გაქცევას. როცა საზღვარზე გადავიდენ, ჩარკვიანი წაიყვანეს ლვოვის დეფენზივაში, სადაც მივიდა იმნაძე და გაანთავისუფლა ისინი.

დეფენზივაში გააკეთეს ვრცელი მოხსენება კიევის ორგანიზაციის ჩავარდნის შესახებ, რასაც იქ დიდის მწუხარებით შეხვდენ. მოხსენებას დაესწრო იმნაძე, რომელიც ქართულად ეკითხებოდა და დეტალურად უთარგმნიდა დეფენზივას ოფიცრებს.

პრიგოვი გოგორიშვილს უჩვენებს წერილს. სთქვით: ვისია ეს წერილი, ვისი მისამართით არის გაგზავნილი. გოგორიშვილი უპასუხებს: ეს არის იმნაძის წერილი, ჩემი მისამართით გამოგზავნილი. პრიგოვი გოგორიშვილს აჩვენებს უბის წიგნაკის ნაგლეჯებს. გოგორიშვილი სცნობს, რომ ეს ფურცლის ნაგლეჯი მისი არის, ამასთანავე გოგორიშვილი აწყვეტინებს პრიგოვს და სთხოვს სასამართლოს დართოს მას ნება, რომ გულწრფელად სთქვას ყველაფერი, ვინაიდან სახელმწ. პოლიტსამმართველოში ჩვენების მიცემის დროს ბევრი რამ ვსთქვი ისეთი, რაიც სიმართლეს არ შეეფერებოდა. გოგორიშვილი იწყებს ლაპარაკს.

### ლვოვში

როცა საზღვარზე გადავედით, ჩვენ მივედით არა ლვოვში, როგორც ეს პირველად უჩვენე, არამედ ტარნოპოლში, სადაც ჩვენ მიგვიღო კაპიტანმა ლოზინსკიმ. აქ გვასვეს, გვაჭამეს, გვიყიდეს პაპიროსი. ლოძინსკიმ გადაიცვა სამოქალაქო ტანთსაცმელი და ისინი წაიყვანა ლვოვში. იქ მათთვის მზად იყო სასტუმროს ნომერი. ღამის პირველ საათზე მივიდა კაცი სამოქალაქო ტანსაცმელში, მონოკლით და სთხოვა მათ ეამბნათ, თუ როგორ ჩავარდა კიევის ორგანიზაცია. ჩარკვიანმა და გოგორიშვილმა ყველაფერი უამბეს. სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილმა კაცმა წასვლის წინ გააფრთხილა ისინი, რომ ხვალ დილით მოვა. დილით იგი მოვიდა სამხედრო ფორმაში და ბოდიში მოიხადა, რომ ვერ მოიყვანა მაიორი იმნაძე. ნახევარი საათის შემდეგ მოვიდა იმნაძე. ჩარკვიანმა და გოგორიშვილმა მთელი სული და გული გადაშალეს. გოგორიშვილი აქ იწყებს ბორძიკს, იგი აცხადებს, რომ ჩარკვიანმა კარგად არ იცის წერა-კითხვა, ჩვენებას აძლევდა ის, მე კი ვსწერდი. ლაპარაკი იყო კიევის ორგანიზაციის ჩავარდნაზე. იმნაძე დიდის მწუხარებით ამბობდა, რომ საბჭოთა ხელისუფლების მოთხოვნილებით სტამბოლიდან გადაასახლეს ცინცაძე. ცინცაძე იყო კავშირი, ეს კავშირი ჩავარდა, ეხლა ჩავარდა მეორე ორგანიზაცია. სადილის დროს მოვიდა სოლოდკოვსკი, რომელმაც ერთხელ კიდევ გამოკითხა გოგორიშვილს ყველაფერი. სალამოთი ლაპარაკი იყო ისევ ორგანიზაციის ჩავარდნაზე. იმნაძემ სთხოვა არ შეწუხებულიყო ხარჯებისათვის და დაპირდა მოლაპარაკებოდა შტაბს. სოლოდკოვსკი ძალიან დაინტერესდა გოგორიშვილის პიროვნებით.

### სალაყაიას ბინაზე

მესამე დღეს ორთავეს უყიდეს ბილეთები, მისცეს ფული ხარჯისათვის და გაგზავნეს ვარშავაში სალაყაიასთან; ამასთანავე გააფთხილეს, რომ ვარშავაში გარეშე პირებისათვის არაფერი არ ეთქვათ. სალაყაიას ბინაზე მივიდა ზაქარიაძე, რომელსაც გადასცეს პაკეტი ლვოვიდან. ზაქარიაძე სასოწარკვეთილებას მიეცა და სთქვა. საწყალი იოსები ამას ვერ გადაიტანსო. მალე მოვიდა სალაყაია, რომელმაც ყველაფერი გაიგო. ისიც შეშფოთდა. ვარშავაში საქართველოს კომიტეტში შევხვდით გენერალ ვაჩნაძეს. ჩვენ [illegible] ასეთი რამ: ხარკოვიდან გამოვიქეცით ბოლშევიკებისაგან. აქ ჩვენ დაგვეხმარა ოფიცერი ბაგრატიონი. ჩვენ მივიღეთ პოლონური დოკუმენტები. სალაყაიამ წინადადება მისცა მათ დარჩენილიყვენ ვარშავაში ჟორდანიას დირექტივის მიღებამდე პარიზიდან. შემდეგ ჩვენ გადავედით ნაცნობ ოფიცერთან ვარშავაში — შოთა ნიკოლაძესთან. ჩვენ გვიმალავდენ ვარშაველი ქართველებისაგან, ვინაიდან ეშინოდათ, რომ არ გამომჟღავნებულიყო კიევის ორგანიზაციის ჩავარდნა.

### უკან გამომგზავრება

მალე ზაქარიაძემ აცნობა გოგორიშვილს, რომ მისით დაინტერესებული არიან ლვოვის შტაბში. გადასწყვიტეს ჩარკვიანი დაებრუნებიათ საქართველოში კიევის მარშრუტით. ვინაიდან ოსმალეთ - სპარსეთის გზა საბოლოოდ დაილუპა. გენერალურ შტაბს ეცოდინება თქვენი წასვლის შესახებ, იგი დახმარებას გაგიწევთ.

ზაქარიაძემ მოგვცა 500 ზლოტი, ლიტერატურა: „ბრძოლა", „რა მოხდა"; იმნაძემ მისცა მათ ვილაც დევალდის მისამართი ლვოვში. ლვოვში მათ ელოდენ, სასტუმრო „როიალ"-ში მათ მოუმზადეს ნომერი. იმნაძემ მისცა არალეგალური ცეკას მისამართი თბილისში — ფრეილინის № 1, უფიახი. მეორე დღეს უნდა მოსულიყო პოლკოვნიკი მატჩეკი. რომელთანაც უნდა ყოფილიყო განხილული საზღვარზე გადასვლის ტეხნიკა. ჩვენ და ჩარკვიანი შევთანხმდით, რომ მიმოწერა გვქონოდა იმნაძესთან, ამ მიზნით შევადგინეთ შიფრის კოდი, რომელიც (ვითომც) არის უბის წიგნაკის სწორედ ის ნაგლეჯები, რომლითაც დაინტერესებული იყო პრიგოვი.

მეორე დღეს მოვიდენ მატჩეკი და ლოზოვსკი, რომლებმაც გააფრთხილეს, რომ არ ჩავარდნილიყვენ ანჯაფარიძეს და პენკოვის მსგავსად. მოგვცეს ორასი დოლარი. იმნაძემ გადმოგვცა შიფრიანი წერილი, და გვთხოვეს გადაგვეცა ცეკასათვის. გოგორიშვილმა მიიღო ყალბი საბჭოთა დოკუმენტი აპტალიდის სახელზე.

ვოლოჩინსკში საზღვრის მახლობლად ჩვენ გამოგვეცვალეს ტანისამოსი, მოგვცეს გამცილებელი ვილაც ვასია მელნიკი, რომელმაც გადაგვიყვანა საზღვარზე. ვასიამ ჩაგვაცვა თეთრი პლაშჩები, რათა თოვლში ვერ შევენიშნეთ. შტაბმა ჩვენ შეგვაიარაღა. საზღვარი ჩვენ უმტკივნეულოდ გადავიარეთ; ვაცნობეთ იმნაძეს. რომ უვნებლად გადავედით საზღვარზე. ჩარკვიანი გაემგზავრა საქართველოში. იგი დაბრუნდა ორი კვირის შემდეგ და ჩამოიტანა საქართველოს მენშევიკების შიფრიანი წერილი. საქართველოს ცეკამ ჩარკვიანის სიტყვით უკვე იცოდა ანჯაფარიძის დაპატიმრება. შემდეგ მე მალე დამაპატიმრეს. ჩარკვიანი გაემგზავრა პოლონეთში. კიევში ყოფნის დროს იმნაძე იწერებოდა, რომ გაეგზავნათ შიკრიკი. ასეთია ჩემი დანაშაულის ნამდვილი ისტორია.

სახელმწ. პოლიტსამმართველოში მე ამის შესახებ ვსდუმდი. ეხლა პროლეტარული სასამართლოს წინაშე გულწრფელად ვაღიარებ: დამსაჯეთ როგორც გსურთ.

გოგორიშვილის გრძელ ლაპარაკს მთელი დარბაზი ყურადღებით ისმენს. ეს არის მენშევიკების ჯაშუშური მოქმედების სრულიად მოულოდნელი პეიზაჟი, რომელსაც გულმოდგინეთ მალავდა ანჯაფარიძე. არეშიძეს აპატიმრებენ იგი წინად თავისუფალი იყო. მის გულწრფელობა გამოწვეულია იმით, რომ საქმეში აღმოჩნდა ახალი ცნობები, რომელნიც მოწმობენ მის აშკარა ჯაშუშურ მუშაობას.

სხდომა გათავდა ღამის 12 საათზე.

## პროცესის მესამე მთავარი „გმირი"

### მოწმიდან ბრალდებულის სკამზე

26 ივლისის საღამოს სხდომა მოულოდნელად გაჭიანურდა შუაღამის 12 საათამდე. ყველა ფიქრობდა, რომ შექმეშვილის დაკითხვით დამთავრდა საქმის მთავარი გმირების დაკითხვა და შემდეგ დაიწყებოდა წვრილმანები, რომელიც არაფერს საინტერესოს არ მოგვცემდა კიევის ორგანიზაციის ჯაშუშური მუშაობის სურათის შევსებისათვის. მაგრამ სინამდვილეში სულ სხვა აღმოჩნდა.

ჩვენებას იძლეოდა ბრალდებული გოგორიშვილი, რომელსაც საბრალმდებლო დასკვნით ასეთი ბრალდება აქვს წარდგენილი: მან ხელისუფლებას არ აცნობა ანჯაფარიძის ჩამოსვლა, რომლის მუშაობის მიზნები გოგორიშვილმა იცოდა. მას ბრალი ედება აგრეთვე იმაში, რომ არალეგალურად გადმოვიდა საზღვარზე, რათა იმნაძისათვის ეცნობებია კიევის შაიკის ჩავარდნა. ყოველივე ეს იმდენად სუსტად იყო დასაბუთებული გამოძიების მიერ, რომ გოგორიშვილს შეეცვალა ალკვეთის ზომაც კი, იგი თავისუფალი იყო და სასამართლოს სხდომებს ესწრებოდა თითქმის როგორც სტუმარი. პროცესის დარბაზში იგი მიდიოდა ცოლით, ბავშვებით, ძმით და მთელი ჯალაბობით. დადგა გოგორიშვილის დაკითხვის რიგი. დაკითხვა პირველად კარგად მიდიოდა. გოგორიშვილი დამშვიდებით უამბობდა სასამართლოს ყოველივე იმას, რაც ნათქვამია წინასწარი გამოძიების მასალებში. მაგრამ უცებ მოხდა გოგორიშვილისათვის მოულოდნელი გარდატეხა. პრიგოვი შლის დოკუმენტების ტომს, რომელნიც ბრალდებულთ ჩამოერთვა დაპატიმრების დროს. ამ დოკუმენტებს შორის არის გოგორიშვილის უბის წიგნაკის ქართულ ენაზე დაწერილი ფურცლის ნაგლეჯები. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ფურცლის ნაგლეჯების შინაარსი პროცესის დაწყებამდე სისწორით არ იყო გადათარგმნილი. თარგმანში არაფერი იყო ნათქვამი ქაღალდის ნაგლეჯების ჯაშუშური შინაარსის შესახებ. ამან მისცა საშუალება გოგორიშვილს შეცდომაში შეეყვანა საგამომძიებლო ორგანოები. მაგრამ სწორმა თარგმანმა გოგორიშვილის შენიშვნებისა, სადაც ლაპარაკია კიევის გარნიზონის შემადგენლობაზე: რომელი ნაწილებისაგან არის შედგენილი გარნიზონი, როგორი იარაღი აქვს გარნიზონს, სავსებით შესცვალა ყოფილი ოფიცრის, უკანასკნელ ხანებში მიკიტანის — გოგორიშვილის ბოროტმოქმედების აზრი. თვითონ ბრალდებულმა არ იცოდა შენიშვნების სწორი თარგმანის შესახებ.

### გამანადგურებელი ჩვენება

როცა პროკურორმა დაიწყო მასთან ლაპარაკი შენიშვნებზე, ყველაფერი ნათელი გახდა. დარჩა ერთი გზა ხსნისა — გულწრფელობა. დიაი, გულწრფელობით გატაცებულმა გოგორიშვილმა აამოძრავა ენა, დაიწყო კიევის ორგანიზაციის ჯაშუშური საქმიანობათა ახალი ისტორია. გენერლები, პოლკოვნიკები, მაიორები, ზაქარიაძეები, ჟორდანიები, ბაგრატიონები, ვაჩნაძეები, მატჩეკები, მაგერები, სოლოდკოვსკები აირიენ ერთმანეთში. აქ მჟღავნდება მენშევიკების მოლაპარაკება პოლონეთის ექსპოზიტურასთან ერთმანეთისათვის სამსახურის გაწევის შესახებ, აქ ირკვევა შტაბის დახმარებით შეიარაღებული გადასვლა საბჭოთა საზღვარზე, აქ აშკარავდება, რომ ჟორდანიას დავალებით ერთად მენშევიკურ შიკრიკებს ქონდათ სპეციალური დავალებანი პოლონეთის შტაბის ექსპოზიტურის მიერ, აქ ჩნდება დოლარები და ზლოტები, რომლებსაც მენშევიკები იღებდენ პოლონეთის გენშტაბის სალაროდან...

პროკურორის მიერ ჩაჭერილი გოგორიშვილი უამბობს სასამართლოს ყველაფერს — განსაკუთრებულის სისწრაფით მოიგონებს ბნელი, გაუგონარი სკანდალური ისტორიის დეტალებს. მას ხომ „გულწრფელობით" უნდა თავი შეაბრალოს სასამართლოს. თითქმის ერთი საათი გრძელდა მისი ლაპარაკი, რომელიც არსებითად იყო არაჩვეულებრივი სასიკვდილო განაჩენი გამცემლობის ქაოზში ჩახრჩობილი ქართველი მენშევიკებისათვის, ხალხით გაჭედილი დარბაზი განსაკუთრებულის ყურადღებით უსმენდა. ხან და ხან ისმოდა გამოძახილი ზიზღისა და აღშფოთების გამოძახილი ჟორდანია - რამიშვილის მიმართ. დაბოლოს მან დაამთავრა თავისი „გულწრფელი" აღსარება და მიმართავს წითელი სასამართლოს სინდისს, ემყარება რა თავის გულწრფელობას. მაგრამ სასამართლომ კარგად იცოდა ამ გულწრფელობის ფასი. პროკურორი წამოდგა, იქვე მოითხოვა გოგორიშვილის დაპატიმრება, დამცველი იძულებული შეიქნა სავსებით შეერთებოდა პროკურორის მოთხოვნილებას. გოგორიშვილს მუხლები ეკეცება, იგი გაფითრებული დგას. სასამართლო ადგენს დაპატიმრებულ იქნას გოგორიშვილი და წარედგინოს მას ბრალდება ჯაშუშობაში. მაშინვე გამოჩნდებიან წითელ არმიელები. აშიშვლებული ხმლებით, რომელთაც გოგორიშვილი მიჰყავთ დაპატიმრებულ ბრალდებულთა მოაჯირისაკენ. დარბაზში სამარისებური დუმილია. ანჯაფარიძე, პენკოვი, კოლონაშვილი, გოგლიჩიძე სხედან როგორც მკვდრები. კიევის პროცესის ორ დიდ ფიგურასთან ერთად გამოჩნდა მესამე, ეხლა ჩვენ გვაქვს ტრიუმვირატი— ანჯაფარიძე, პენკოვი, გოგორიშვილი.

აკ. ჭუღნია.

## 27 ივლისის დილის სხდომა

(მეცამეტე)

(ტელეგრაფით ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

### გამომჟღავნებული ჯაშუში

როგორც სჩანს, დილის სხდომა საინტერესო იქნება. გრძელდება საღამოს სხდომაზე გამომჟღავნებული ჯაშუში გოგორიშვილის დაკითხვა. მას მოქანცული შეხედულება აქვს. სჩანს, მთელი ღამე არ უძინია. არ ელოდა ასეთ სიურპრიზს. დიდხანს იცქირება აუდიტორიისაკენ, იგი თანაგრძნობის გამომეტყველებას ეძებს აუდიტორიაში, სადაც იგი ჯერ კიდევ გუშინ თავისუფლად სეირნობდა, საუბრობდა ბევრ დამსწრეთაგან, სახავდა თავის თავს საბჭოთა ხელისუფლების მეგობრად და ამბობდა, რომ შეცდომით მოხვდა პროცესში. აუდიტორიაში პირს იბრუნებენ ან ზიზღით უყურებენ. საღამოს სხდომის სენსაციამ დილის სხდომაზე ჩვეულებრივზე მეტი ხალხი მოაგროვა.

დაკითხვას აწარმოებს თავმჯდომარე. იგი უჩვენებს იმნაძის წერილს, რომელზედაც არის რომელიღაც შენიშვნა. გოგორიშვილი განმარტავს, რომ შენიშვნა არის ოფიცერ ლოძინსკისა, რომელსაც კონსპირატიულად ლოძიაშვილი ეწოდებოდა. გულითადი სიყვარული მქონია ლოძინსკის ქართული გვარებისადმი! მე მქონდა პოლონეთის შტაბის „იავკა" კიევში, მე ვიყავი ექსპოზიტურის რეზიდენტი. — ამბობს გოგორიშვილი, განმარტავს რა „მეცენიერული", სიტყვის ნამდვილ შინაარს. გოგორიშვილი გრძნობს, რომ შორს შესტოპა, იგი იწყებს „გულწრფელობიდან" უარყოფაზე გადასვლას: მას არაფერი არ გადაუგზავნია პოლონეთში. მას უნდოდა მხოლოდ მისი ამხანაგის ჩარკვიანის გადმოყვანა პოლონეთიდან, ამიტომ სწერდა იქ წერილებს, მაგრამ გოგორიშვილი ისე გაება მახეში, იმდენად გასცა თავისი თავი, რომ ყველა დასახევი ხიდები დამწვარია. იმნაძის ტიპის სოციალისტებს იგი უწოდებს სოციალ-გამცემლებს, რომლებმაც საქართველო აგვისტ. ტრაგედიამდე მიიყვანეს. კომპლიმენტებს საბჭოთა ხელისუფლებისადმი სულ უფრო და უფრო ხშირად იმეორებს გოგორიშვილი.

დაკითხვას აწარმოებს პოპოვი.

### სალაყაიას „მოღვაწეობა"

**პოპოვი:** რას აკეთებს სალაყაია ვარშავაში?

**გოგორიშვილი:** ოფიციალურად ქართველი კომიტეტის თავმჯდომარეა.

**პოპოვი:** აქვს თუ არა სალაყაიას კავშირი პოლონეთის ხელისუფლებასთან.

**გოგორიშვილი:** სალაყაია ჩვენ გვაგზავნიდა პეტლიურელების მდივანთან დახმარების აღმოსაჩენად, სალაყაია დამფუძნებელი კრების წევრია, ეხლა საზღვარგარეთელი ბიუროს წევრი არის. როცა ჩვენ მივედით ვარშავაში, სალაყაიამ გამოგვკითხა კიევის ორგანიზაციის ჩავარდნის ამბავი, ყველაფერი დაწვრილებით მისწერა ჟორდანიას და აღნიშნა ჩვენი განცხადება, რომ კიევის ორგანიზაცია ჩავარდა პროვოკაციის გამო კოლონაშვილის მხრივ. ამით უნდა აიხსნას ჟორდანიას წერილი ცეკასადმი, სადაც ლაპარაკია იმის შესახებ, რომ ანჯაფარიძე ჩავარდა გაუფრთხილებლობის გამო. იგი წააწყდა ქართველ პროვოკატორს.

შემდეგ პოპოვი კითხულობს მოწმობას პოლონურ ენაზე, რომელსაც ხელს აწერენ სალაყაია, ზაქარიაძე, მოწმობაში ნათქვამია, რომ ჩარკვიანი და გოგორიშვილი ენერგიული პოლიტიკურ ემიგრანტებია, რომელნიც პოლონეთის ხელისუფლების ორგანოების დიდი ყურადღების ღირსნი არიან.

### შიფრის ოსტატები

დაკითხვას აწარმოებს პრიგოვი. პრიგოვი ეკითხება შიფრის პირობითი კოდის შესახებ. გოგორიშვილი განმარტავს, რომ დაპატიმრება აღინიშნებოდა ქართული სიტყვით—სიკვდილი, შიკრიკი — საქონლით, ყველაფერი კარგად-აღინიშნებოდა ცნობით იმის შესახებ, რომ ვქეიფეთ, დოკუმენტები მიღებულია —აღინიშნებოდა სიტყვებით: წამალი ჯანმრთელობის სახ. კომისარიატიდან მივიღეთ. შემდეგ გოგორიშვილი განმარტავს, რომ აგროვებდა სამხედრო—დაზვერვითი ცნობებს ექსპოზიტურისათვის გაგზავნის მიზნით, ურთიერთთან თანამშრომლობის ნიადაგზე. პენკოვს, ანჯაფარიძეს და სხვებს ექსპოზიტურასა და გოგორიშვილს შორის მიმოწერაში ეწოდებოდა ძია. შიფრის კოდი, გოგორიშვილის სიტყვით, შეიმუშავა მან, იმნაძემ და ჩარკვიანმა. კოდის ავტორი იყო იმნაძე. გოგორიშვილი ერთხანს უარყოფდა. მაგრამ შემდეგ აღიარებს, რომ კოდის შემუშავებაში მონაწილეობას იღებდენ ოფიცრები — მაიჩეკი, სოლოდკოვსკი და მიხაილევსკი. კოდს აქვს ორი ნაწილი— ერთი იმნაძესთან მიმოწერისათვის, მეორე, სამხედრო ნაწილი — შედგენილია სამხედრო ცნობების მიღებისათვის. დიდი კონსპირაციის ყველა პირობითი სიტყვები აღინიშნებოდა ქართულად. მიხალევსკის ჩემგან უნდა მიეღო ცნობები ქართულ ენაზე, რაიც უნდა გადაეთარგმნა იმნაძეს, რომელიც ექსპოზიტურის უსაზღვრო ნდობით სარგებლობდა. იმნაძემ სთქვა: სწერე ქართულად, ექსპოზიტურა უჩემოდ ვერ ისარგებლებს, მე ამოვკრეფ ცნობებს, გადავიღებ ასლს, გავუგზავნი ფრანგს პარიზში, და ამით ჩვენ მივიღებთ ფულს ორგანიზაციისათვის, განაცხადა იმნაძემ. ამასთანავე კოლონაშვილი ტრაბახობდა, თუ როგორ მოჰკლა კოლუაშვილთან ერთად ხითაროვი.

შემდეგ ლაპარაკი ეხებოდა ჯაშუშურ მუშაობას. საფრანგეთის მზვერავთა განყოფილებაც მეტ ფულს იძლევა,—სთქვა იმნაძემ. სწუხდენ კიევის ორგანიზაციის ჩავარდნაზე, ამბობდენ, რომ საწყალი პენკოვი დაიღუპა.

შეკითხვაზე: თუ რატომ აიარაღებდენ მათ საზღვარზე გადმოსვლის დროს, გოგორიშვილი უპასუხებს, რომ შეიარაღებული წინააღმდეგობა უნდა გაეწიათ იმ შემთხვევაში, თუ დააპატიმრებდენ. პროცესი განსაკუთრებულ საინტერესო ხასიათს იღებს. ჯაშუშობის ფარგლები ფართოვდება.

გოგორიშვილი, როგორც თითონ ამბობს უპარტიოა. ჩარკვიანი ძველი მენშევიკია. პოლკოვნიკმა მატჩეკმა გოგორიშვილს მისცა „კონი"-ს ფსევდონიმი, როდესაც კიევში წასვლის წინ გოგორიშვილმა მიიღო ორასი დოლარი, ხელი მოაწერა, როგორც „კონი"-მ. ასეთია ახლად გამომჟღავნებულ ჯაშუშ გოგორიშვილის „გულახდილი" აღსარება. საზვერავ ცნობების გაცვლა-გამოცვლა კაპიტალისტურ ქვეყნებს [illegible] დასაშვებია, მით უმეტეს პოლონეთის და საფრანგეთის შტაბებს შორის—საფრანგეთის შტაბი შეფია პოლონეთის.

### ანჯაფარიძე შეუძლოთ გრძნობს თავს

ანჯაფარიძეს ხშირად შემოაქვს რიგს გარეშე განცხადებები, რათა მას მიეცეს ცალკე ოთახში გასვლის ნებართვა, ვინაიდან პროცესამდე მოხდენილ ბრმა ნაწლავის ოპერაციის შემდეგ ცუდათ გრძნობს თავს. სასამართლო ძლევს გასვლის ნებას და ავალებს კომენდანტს, თუ საჭირო იქნა გამოიწვიოს ექიმი. საერთოდ სასამართლო ადგენს გადაიყვანოს ანჯაფარიძე საავადმყოფოს რეჟიმზე.

### „პორაჟენცი" — ფედერალისტი

სასამართლო გადადის ფედერალისტ ბერუაშვილის დაკითხვაზე. ბერუაშვილი ცოლიანია; გაათავა აგრონომიული სასწავლებელი; მისი მშობლები არიან გორის მაზრის გლეხები. ბრალი ედება იმაში, რომ ხელი შეუწყო არალეგალური ფოსტის მიღებას თავისი მისამართის მიცემით.

ბერუაშვილი აცხადებს, რომ ის იყო ფედერალისტი; პოლიტიკურ მუშაობას თავი გაანება იმ შთაბეჭდილების გამო, რომელიც მასზე მოახდინა კერენსკის მიერ გამოცხადებულმა შეტევამ. „ფილიპეს" ბერუაშვილი არ იცნობდა, თუმცა შეხვდა მას შექმეშვილთან სადილზე. ჯარში იყო „პორაჟენცი", ავრცელებდა პროკლამაციებს, რის გამოც ორჯერ იყო მიცემული პასუხისგებაში.

### სოფიო შექმეშვილის დაკითხვა

იწყება სოფიო შექმეშვილის დაკითხვა. ქალი არც თუ ისე ახალგაზრდა; შეხედულებით თავდაბალი; მიღებული აქვს განათლება; დურგლის ქალიშვილია; უპარტიოა; პოლონელი. რა ირჩეოდა შექმეშვილის ბინაზე წარმოებულ თათბირების დროს, ბრალდებულმა არ იცის, ვინაიდან არ ესმის ქართული ენა.

ბრალდებული აღიარებს, რომ მისცა ექიმს ორი ბეჭედი და ერთი სამაჯური, რომლებიც გოგლიჩიძემ დააგირავა და ფული გამოიყენა არალეგალურ პირების საზღვარზე გადასაყვანად. ირკვევა საინტერესო დეტალი: როგორც ბროკონი ადასტურებს, მისთვის უცნობ ქართველთან მან ნახა ბერლინის ბანკის საკრედიტივო წიგნაკი. სოფიო შექმეშვილმა მიიღო მენშევიკების ცეკას წერილი; მე არ ვიცოდი, რომ ეს იყო ცეკას წერილი— აცხადებს ბრალდებული. წერილი გადაეცა გოგლიჩიძეს, რომელიც დასტურებს ამას. წერილი გამოგზავნილი იყო საქართველოდან. კითხულობდენ, წავიდა თუ არა „ფილიპე". იქვე იტყობინებოდენ სტამბის ჩავარდნის შესახებ თბილისში.

ამით თავდება დილის სხდომა. დასაკითხავია რამდენიმე მეორე ხარისხოვანი პიროვნება, რომლებიც საღამოს სხდომაზე დაასრულებენ მენშევიკების კიევის ჯაშუშურ ორგანიზაციის ამარცხვინო ისტორიის სურათს.

აკ. ჭუღნია.

## 27 ივლისის საღამოს სხდომა

(მეთოთხმეტე)

(ტელეგრაფით ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

### ჯაშუშის ხელქვეითი

27 ივლისის საღამოს სხდომაზე სწარმოებს **დრობოტის** დაკითხვა. მას ბრალად ედება ენკოვისთვის ხელის შეწყობა სამხედრო დოკუმენტების მიღებაში. მოკლედ — ეს არის ექსპოზიტურის ჯაშუშის ხელქვეითი. 1924 წელში პასუხისგებაში იყო მიცემული მფლანგველობისათვის. ახალგაზრდა, გახსნილი ხალათით, დგას მაგიდაზე ხელებ-დაყრდნობილი, თავჩაქინდრული. თავის მოღვაწეობის შესახებ მოყოლა არ შეუძლია, სთხოვს სასამართლოს მისცენ შეკითხვები. თავმჯდომარე აძლევს ჩვენებათა სქემას. დრობოტი იწყებს მოყოლას, მაგრამ ხშირად სწყვეტს ლაპარაკს. შემდეგ ხელმეორედ უარს აცხადებს მოყოლაზე. მას ძლევენ შეკითხვებს. ბოლოს დრობოტი უარს ცხადება პასუხის გაცემაზე.

სწარმოებს **ფედოროვის** დაკითხვა. დაწვრილებით ჰყვება მთელ ისტორიას. ფედოროვი უარს აცხადებს თავის პირველ წერილობითი ჩვენებებზე, რისთვისაც იმიზეზებს ავადმყოფობას ამ ჩვენების მიცემის დროს. საერთოდ როგორც კი საქმე მივა მამხილებელ ფაქტამდე, ბრალდებულთა უმეტესობა იმიზეზებს ავადმყოფობას. იქმნება ისეთი შთაბეჭდილება თითქოს საბრალმდებლო სკამზე სხედან ავადმყოფები და არა ჯაშუშების ხროვა.

### საზღვარზე გადაყვანის ოსტატები

სწარმოებს **ბროკონის** დაკითხვა. ეს არის სპეციალისტი—შუამავალი საზღვარზე გადასვლის მოსაწყობად; საშუალო განათლებით; გლეხის შვილი. გერმანელი საზღვრის სანაპირო ოლქიდან. გადაჰყავდა საზღვრებზე მენშევიკები და იღებდა ამისთვის ფულს. ყველა გადაყვანილთა შორის მოასწრო ხუთი ქართველის გადაყვანა.

შემდეგ დაჰკითხეს **ულმერს**, ესეც არის გერმანელი გლეხი სანაპირო ოლქიდან; მოხუცი; უშუალოდ გადაჰყავდა საზღვარზე თავისი ურმით არალეგალური პირები. ამას მისდევს როგორც ხელობას. კულაკი, რომელსაც ჰქონდა 17 დესეტინა მიწა. ამჟამად აქვს შვიდი. ჰყავდა შვიდი შვილი.

შემდეგ **პრიგოვი** დამატებით ეკითხება არეშიძე გოგორიშვილს ჰქონდა თუ არა მას შტაბიდან მიცემული დავალება, რომ გადაეღო საბუთების ფოტოგრაფები?

**გოგორიშვილი** უპასუხებს:— მე დამავალეს გამეგო, რომელი სამხედრო მუშაკი სცხოვრობს ხელგაშლილად, რით სცხოვრობს, უყვარს თუ არა ბანქო, ქალები. დამავალეს მიმეღო ცნობები ვინმე სათიანისაგან ფლოტის და წითელ არმიის შესახებ.

### სასამართლოს ძიების დასრულება

ამით დასრულდა სასამართლოს ძიება. საჭიროა მხოლოდ ანჯაფარიძის დამატებითი დაკითხვა, რომელიც სხდომას ვერ ესწრება ავადმყოფობის გამო ბრმა ნაწლავის ახლად გადატანილი ოპერაციის ნიადაგზე.

სასამართლომ დაადგინა ერთი კვირის ინტენსიურ მუშაობის გამო შესწყვიტოს სხდომები პარასკევს ხუთ საათამდე, რათა მისცეს მხარეებს საშუალება მოემზადონ შემდგომი მუშაობისათვის.

აკ. ჭუღნია.

---

## ვენის მუშების აჯანყება

(წერილი ვენიდან)

ავსტრიის მუშათა კლასის ისტორიაში ყველაზე უფრო ძლიერ მასიურ გამოსვლად უნდა ჩაითვალოს ვენის მუშების 15-16 ივლისის გამოსვლა. ამ გამოსვლის უშუალო მიზეზი გახდა სასამართლოს განაჩენი, რომელიც ამართლებდა ავსტრიის ე. წ. ფრონტელების ფაშისტური კავშირის წევრებს—ჩარმანსა და პინტერს. ამ უკანასკნელების პროცესი გაგრძელდა 10 დღე. მათ 30 იანვარს მოჰკლეს ბურგენლანდის სოფელ შატენდორფში ორი მუშა—რესპუბლიკანურ შუცბუნდის წევრი—ტისმარიჩი და ახალგაზრდა უპარტიო მუშა ბრესსინგი.

სტიქიური გამოსვლის ძლიერმა ტალღამ დაურაზმავი მასიური პროტესტი არაჩვეულებრივი სისწრაფით აქცია მოძრაობად, რომელიც ცალკე მომენტებში ნამდვილ სამოქალაქო ომის ფარგლებს აღწევდა და რომელმაც ავსტრიის მუშათა კლასის წინაშე პირდაპირ დააყენა მისი კლასიური არსებობის ძირითადი საკითხები, საკითხები სამოქალაქო ზავისა და კლასიური ბრძოლის შესახებ, საკითხი სოციალ-დემოკრატიისა და მისი ხელმძღვანელობის შესახებ, საკითხი რეაქციონურ საფრთხისა და მუშათა ძალა-უფლების შესახებ.

### გამოსვლის წინ

უკვე ხუთშაბათს, 14 ივლისს საღამოთი ათასობით იწყეს მუშებმა შეგროვება ვენის საოლქო სასამართლოს შენობის წინ: მოელოდნენ ფაშისტურ მკვლელებისათვის განაჩენის გამოტანას. იმის გამო, რომ ბურჟუაზიულ მოსამართლეებს საქმე მიკერძოებით მიჰყავდათ, ვენის მუშები განსაკუთრებულ ინტერესით მოელოდენ იმ პროცესის უკანასკნელ მომენტს, რომელმაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიიპყრო თანდათანობით, გაძლიერებულ ფაშისტური საფრთხით აღელვებულ ავსტრიის მუშათა საზოგადოებრივობის ყურადღება.

როგორც კი სასამართლოს შენობის წინ შეკრებილმა მუშებმა გაიგეს გამართლების განაჩენის შესახებ, ისინი არაჩვეულებრივმა აღელვებამ მოიცვა. ყვირილი—„მუშების მკვლელები დაუსჯელია", „ძირს ბანდიტი ფრონტელები", „ძირს მკვლელები", „ჩვენ დიდ ხანს გვაკავებდენ",—გაისმოდა ძლიერ ქუხილად; აღშფოთება იმდენად დიდი იყო, რომ მას ცოტა უკლდა მოქმედებაში გადასულიყო. სასამართლოს ეზოში მზად მყოფი პოლიცია დაუყოვნებლივ გამოვიდა დემონსტრანტების წინაამდეგ. პოლიციას, რომელმაც უხეშად გარეკა დემონსტრანტები მუშტებითა და ხმლებით, ამავე დროს არ დაუშლია მუშებთან ერთად შეკრებილ ფაშისტ-ფრონტელებისათვის—განაჩენის „სადღესასწაულოდ" გაემართათ თავისი კონტრ-დემონსტრაცია. პოლიციამ დაიწყო განურჩევლად მუშა-დემონსტრანტების დაპატიმრება.

ცნობა ფაშისტების გამართლების შესახებ ელვის სისწრაფით გავრცელდა ვენის მიდამოებში. სოციალ-დემოკრატიული საინფორმაციო ფურცელი, რომელიც გაფიცვის დროს გამოდიოდა, უკანა რიცხვით 16 ივლისს შაბათს სწერდა: „შატენდორფის მკვლელთა გამართლებამ მუშათა უბნებში ისე იმოქმედა, როგორც გამსკდარმა ყუმბარამ. სტიქიურად და ერთდროულად მუშათა უბნების მოედნებზე და ქუჩებზე გროვდებოდა მუშათა ჯგუფები და უკვე ცხადი გახდა, რომ ხვალ არც ერთი ვენელი მუშა სამუშაოდ არ გავიდოდა". პარასკევს დილით, ე. ი. ხმის შემდეგ, როცა ყველასათვის ნათელი გახდა აღშფოთების ფარგლები და სტიქიური გამოსვლის აუცილებლობა, იმავე სოციალ-დემოკრატების ორგანო „არბეიტერ ცეიტუნგ"-ი სწერდა კიდევ: „აღშფოთება მუშებს შორის დიდი იყო, მაგრამ არავითარ ინციდენტს ადგილი არ ჰქონია", მოწინავე წერილში მხოლოდ ზოგიერთი პლატონიური საწინააღმდეგო აზრები იყო გამოთქმული „უსამართლო" განაჩენის შესახებ. წერილი თავდებოდა შემდეგი სიტყვებით: „სამართლიანობის დარღვევა—ყველაზე უარესი შეურაცხყოფაა, რომელიც შეიძლება მიყენებულ იქნეს მშრომელთა მასებისათვის. თუ ამ უსამართლობას შეიგნებენ მუშები, მაშინ წესწყობილებას საფრთხე მოელის. ჩვენ ვაფრთხილებთ ბურჟუაზიულ წრეებს, რომლებიც ახე ხშირად ლაპარაკობენ სამოქალაქო ომის საფრთხის შესახებ, რომ თვითონ ისინი უწყობენ ხელს ამ საფრთხის გამოწვევას იმ ადამიანების გამართლებით, რომელთაც მოჰკლეს მუშები—იმიტომ რომ მოკლულნი მუშები იყვენ". საჭიროა აღინიშნოს, რომ გარდა ზოგიერთ ფაშისტურ ქუჩურ გაზეთებისა და სამღვდელოების და კულაკების მმართველ პარტიის („ქრისტიანულ-სოციალური" პარტიის) ორგანოს „რეიხსპოსტ"-ისა, მთელი ბურჟუაზიული პრესა აღიარებდა გამართლების ვერდიქტის გამომწვევ კლასიურ ხასიათს.

სოციალ-დემოკრატებმა არ მოუწოდეს აღშფოთებულ მუშათა მასებს პროტესტისაკენ. მათ არ გამოხატეს მუშების განწყობილება ლოზუნგებსა და კონკრეტულ დირექტივებში. მასებმა თვით იწყეს საშუალებების გამონახვა, რომ ეცნოთ ბურჟუაზიისათვის თავიანთი განწყობილება. მხოლოდ კომუნისტურმა პარტიამ, რომელიც ავსტრო-მარქსისტულ პარტიაზე, ამ მე-2 ინტერნაციონალის „მშვენებასა და სიამაყეზე" გაცილებით უფრო სუსტია პოლიტიკური, ორგანიზაციული და მატერიალური მხრით, შესძლო დაუყოვნებლივ გაეთვალისწინებია იმ აღშფოთების ფარგლები, რომელმაც მოიცვა მუშათა მასები. ხუთშაბათს საღამოთი შესდგა თათბირი ფაბქარხკომებისა, რომლებშიაც კომუნისტებს უმრავლესობა ჰყავთ. გადაწყდა სახვალიოთ მასიური საპროტესტო კრებების მოწყობა და ამ კრებებზე საყოველთაო გაფიცვის ლოზუნგების გატარება. ხუთშაბათს ღამით ავსტრიის პროფკავშირების ცენტრალურ საბჭოს დაუკითხავად, ტრამვაის, ქალაქის რკინის გზების და ელექტრონის სადგურის მუშებმა, ე. ი. იმ კომუნალურ დაწესებულებების მუშებმა, რომელთაც ხელმძღვანელობენ სოციალ-დემოკრატები, დაადგინეს პარასკევს დილით ჩაატარონ 1 საათის საპროტესტო გაფიცვა. ამ გადაწყვეტილებას იმავე ღამით შეუერთდენ ქალაქის ყველა დანარჩენ დაწესებულებათა მუშები და მოსამსახურეები, ხოლო დილით კი პროფკავშირების გზაბნეული ბელადების დაუკითხავად პროფესიონალური კავშირების მთელ რიგმა ადგილობრივმა განყოფილებებმა მიიღეს გადაწყვეტილება გაფიცვის შესახებ.

ყოველივე ამის შესახებ პარასკევს დილით გამოსულმა „არბეიტერ ცეიტუნგ"-მა, რომლის თანახმად „ყველაფერი უინციდენტოთ გათავდა", ერთი სიტყვის დაძვრაც კი ვერ შესძლო.

საპროტესტო მოძრაობა და საგაფიცვო ტალღა მოედო რეფორმისტულ ქაოზს და ის გაიშალა სოციალ-დემოკრატების გარეშე და მათი ნება-სურვილების წინააღმდეგ. ავსტრო-მარქსისტები მრავალი წლების განმავლობაში მშობლიურ, საერთაშორისო ბურჟუაზიისა და მე-2 ინტერნაციონალის საერთო მოწონებით, უნერგავდენ ავსტრიის მუშებს რეფორმისტულ სულისკვეთებას, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში ვერ გაუძლეს ბურჟუაზიის მიერ მიცემულ გაკვეთილს.

### პარასკევი

დილიდანვე განაპირა უბნებში მუშები იწყებენ დარაზმვას. დილის 9 საათზე რინგის ფართო ქუჩას, რომელიც ირგვლივ უვლის ქალაქის ცენტრალურ ნაწილს და რომელზედაც მოთავსებულია მთავრობის დაწესებულებათა მეტწილი,—პარლამენტი, ქალაქის თვითმართველობა, თეატრები და სხ.—ავსებს 50-60 ათასი დემონსტრანტი მუშა.

დემონსტრანტებს ყოველ წუთში უერთდებიან რაიონებიდან მოსული გაფიცულთა ახალი რაზმები. ფაბრიკები ერთი მეორეზე აცხადებენ გაფიცვას (სოციალ-დემოკრატები, რომლებიც ერთი დღე-ღამის შემდეგ იძულებული გახდენ უკანა რიცხვით დაედასტურებიათ და „ოფიციალურად" გაეგრძელებიათ საყოველთაო გაფიცვა 24 საათით, პირველად მას უწოდებდენ „ველურ გაფიცვას").

პირველად გაფიცვა გამოაცხადეს ვარხალოვისა და სიმენს-შუკერტის სალითონო ქარხნებმა, სადაც ავსტრიის კომუნისტური პარტიის ყველაზე ძლიერი უჯრედებია.



სასამართლოს შენობა ვენაში, რომელიც აჯანყებულმა მუშებმა დასწვეს.

დემონსტრანტებმა თავი მოიყარეს სამ პუნქტში: პარლამენტის, ქალაქის თვითმართველობისა და სასამართლოს შენობის წინ. ყველა ეს შენობები უკვე ქვეითი და ცხენოსანი პოლიციის რაზმების მიერ ალყა შემორტყმული აღმოჩნდა.

### პირველი გასროლა — პირველი მსხვერპლი

დილის 10 საათზე 50 ათას მუშაზე მეტმა თავი მოიყარეს შმერლინგ პლაცზე სასამართლოს შენობის წინ, რომ განეცხადებიათ პროტესტი კლასიური სასამართლოსა და მუშების მკვლელობის წინააღმდეგ. შენობაში მზად იყო რამდენიმე ასეული პოლიციელი რევოლვერებით. საკმარისი იყო პატარა ინციდენტი მუშებსა და პოლიციელებს შორის, რომ პოლიციის ოფიცრებს დაეძახათ—„ესროლეთ". პოლიციელებმა ორ წუთში ესროლეს უიარაღო დემონსტრანტებს. ხუთი მუშა იქვე მოკვდა, ბევრი მძიმედ დაიჭრა... მაშინ სასამართლოს შენობის წინ შეიკრიბენ ყველა მუშები, რომლებიც აქამდე მეზობელ ქუჩებში იდგენ. მოზღვავებულ მუშათა მასებს წინ შეეგება ცხენოსანი პოლიცია. გაშიშვლებული ხმლებით პოლიცია შეიჭრა მასაში. აღშფოთებულმა მუშებმა პოლიციას დაუშინეს ქვები და სასწრაფოდ იწყეს ბარიკადების აგება იმ მასალიდან, [illegible] იქვე ეწყო ტრამვაის ხაზის შესაკეთებლად და მახლობელ სახლის რემონტისათვის. ამაზე პოლიციამ უპასუხა ახალი სროლით. პირველი მოკლულები და დაჭრილები მოათავსეს პარლამენტისა და ქალაქის თვითმართველობის ეზოში. მუშათა თვითეულ ახალ მოახლოვებულ რაზმს პოლიცია ხვდებოდა ტყვიებით. აღშფოთებულ მუშათა წრიდან გაისმა ძახილი—„ძირს პოლიცია". პოლიციამ ახალი სროლით უპასუხა. მუშები არ შედრკენ. აღშფოთებული დემონსტრანტები ველარ შეაკავა პოლიციამ და შეიჭრენ სასამართლოს შენობაში. პოლიციელები განაიარაღეს და მხოლოდ შუცბუნდის წევრების დახმარების წყალობით პოლიციელებმა თავი დააღწიეს მუშათა რისხვას. დემონსტრანტებმა სასამართლოს შენობას ცეცხლი წაუკიდეს, სასამართლოს აქტებსა და ავეჯს ქუჩაში ყრიდენ.

როცა პოლიციელებმა პარლამენტის მახლობლად მოთავსებულ საუბნო პოლიციის სამმართველოსთან ახლო მომავალ დემონსტრანტებს უმიზეზოდ აუტეხეს სროლა და დაუწყეს ცემა, მაშინ დემონსტრანტებმა, მიუხედავად იმისა, რომ სროლა ჯერ კიდევ არ შეწყვეტილიყო, შეუტიეს საპოლიციო სამმართველოს შენობას და წაუკიდეს ცეცხლი. ზოგიერთი პოლიციელები გააშიშვლეს და სცემეს, ხოლო მათი ტანსაცმელი ჩამოკიდეს მახლობელ ფანრის ბოძებზე.

### შერცხვენილი ბელადები

აღშფოთებულმა მუშებმა არ მიუშვეს სახანძრო რაზმი სასამართლოს შენობასთან. ბურგომისტრი ზეიცი და სოციალ-დემოკრატი დეპუტატი დეიჩი მეხანძრეთა ავტომობილებიდან შეეცადენ მუშების დამშვიდებას და სახანძრო რაზმის გაშვებას ცეცხლის ჩასაქრობად. მუშები ორატორებს შეეგებენ სტვენით და ძახილით:— „ძირს", „სირცხვილი". დეიჩი დემონსტრანტებმა ჩამოაგდეს ავტომობილიდან და ის იძულებული გახდა გაქცეულიყო. ასევე დაემართა შუცბუნდის უფროსს, სოციალ-დემოკრატს, გენერალ კერნერს, ოტტო ბაუერს, შპეიზერს და სხვა სოციალ-დემოკრატ ბელადებს, რომლებიც ცდილობდენ დემონსტრანტების დამშვიდებას. ოტტო ბაუერმა, რომელსაც დემონსტრანტებმა რამდენიმე მუჯლუგუნი შესთავაზეს, საკუთარ ზურგზე გამოსცადა მუშათა მასების განწყობილება.

### ქალაქის „წითელ თვითმმართველობაში"

[illegible] ამავე დროს ქალაქის თვითმართველობის შე[illegible] [illegible] ლამენტთან", როგორც ამას უწოდებს ბურჟუაზიული პრესა ვენის სოციალ-დემოკრატიულ ქალაქის თვითმართველობას, ადგილი ქონდა აგრეთვე კიდევ უფრო დიდ სისხლიან შეტაკებას პოლიციასთან, რომელსაც უნდოდა ქალაქის თვითმართველობის შენობის დაკავება.

შეტაკებას წინ უძღოდა შემდეგი: ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეები აღელვებული იყვენ ისევე, როგორც მუშებისა და მოსამსახურეების სხვა ჯგუფებიც. მუშაობაზე ხომ ფიქრიც ზედმეტი იყო. დილის 9 საათზე ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეები შეიკრიბენ არკადენჰოფენში. რედერი, ვენის მოსამსახურეების კავშირის ვიცე-თავმჯდომარე, გამოვიდა მოხსენებით სასამართლოს პროცესისა და მისი შედეგის შესახებ. კრებამ დაადგინა შეწყვიტოს მუშაობა და მოაწყოს დემონსტრაცია რინგის ქუჩაზე. ქალაქის თეატრის მახლობლად პოლიციამ სავსებით შემოარტყა ალყა ქუჩას. რეისმანმა—მუნიციპალიტეტის წევრმა—რომელიც წინ მიუძღოდა დემონსტრანტ-მოსამსახურეებს, მიმართა პოლიციის მოხელეს თხოვნით: „გაატარეთ პროცესია, მიეცით მას შესაძლებლობა წყნარად გაიაროს"-ო. სანამ სოციალ-დემოკრატი ზრდილობიან მოლაპარაკებას აწარმოებდა, პარლამენტის მხრით დემონსტრანტებს მოულოდნელად შეუტია ცხენოსანმა პოლიციამ. პოლიციელები დაერიენ დემონსტრანტებს. რეისმანი კვლავ მიუბრუნდა პოლიტიკური პოლიციის მოხელეს ტრაუსს, მაგრამ უკანასკნელმა უპასუხა: „თქვენ ჯერ უნდა გვაჩვენოთ, რომ თქვენი ხალხი წყნარად წავა". ამ დროს აქვე მოვიდა სოციალ-დემოკრატი დეპუტატი გლეკკელი და არწმუნებდა პოლიციელ ტრაუსს, რომ ცხენოსან პოლიციისათვის ებრძანებიათ უკან გაბრუნებულიყო. მაგრამ არ გასულა ნახევარი წუთიც, რომ პოლიციამ დემონსტრანტებს აუტეხა სროლა, ცხენოსანი რაზმები სთელავდენ დემონსტრანტებს და ურტყამდენ ხმლებს., უიარაღო დემონსტრანტებს არავინ არ უწევდა ხელმძღვანელობას და ისინი როგორც კი შეეძლოთ თავს იცავდენ ქვებით და ყველაფრით, რაც კი ხელში მოხვდებოდათ.

ორშაბათს, 18 ივლისს გამოსული და პოლიციის მიერ კონფისკაცია ქმნილი მემარცხენე სოცალისტური „აბენდ" გადმოგვცემს ქალაქის თვითმართველობის შენობასთან მომხდარ სისხლის ამბების ერთ-ერთი ეპიზოდის შესახებ დამსწრის შემდეგ მოთხრობას:

„მე ვიყავი ქალაქის თვითმართველობის შენობაში სწორედ იმ მომენტში, როცა პოლიციამ პირველად აუტეხა სროლა დემონსტრანტებს ქალაქის თვითმართველობის ეზოში. მე დავინახე, რომ 500-დე შეიარაღებული პოლიციელი უნივერსიტეტის ქუჩის მხრიდან მოიწევდენ ქალ. თვითმართველობის შენობისაკენ და შლიდენ ფრონტს მახლობელ ქუჩაზე. მარტო პოლიციელების საშინელი გამომეტყველებაც კარგს არაფერს გვიქადდა. მე ვიდექი ალაყაფის კარებთან, რომელიც ლიხტენფელსგასეზე გადიოდა. უეცრად დემონსტრანტები ყვირილით და შიშისაგან დალრეჯილი სახეებით გაჩნდენ ამ შესასვლელში. ჭიშკარი ღია იყო დემონსტრანტების ნაწილმა თავი შეაფარა ქალაქის თვითმართველობის შენობას. ისინი შეგროვდენ დერეფანში იმ დროს, როცა გარედან პოლიციელებმა მოაყენეს ტყვიისმფრქვეველი და ამ რიგად ფრონტის ხაზი გაიმართა უშუალოდ ჭიშკართან. მიუხედავად იმისა, რომ პოლიციელებს არავითარი საფრთხე არ მოელოდათ. მათ ტყვიისმფრქვეველი მოუღირეს ქალაქის თვითმართველობის შენობას. დერეფანში შეგროვილი ხალხი უსიტყვოდ შეუყურებდა ამ მზადებას, ერთი წუთით სამარისებური დუმილი ჩამოვარდა. ყველა ჩვენგანი გრძნობდა, რომ ამჟამად მოხდება რაღაც საშინელი და საზიზღარი. არასოდეს არ დამავიწყდება გამხეცებული სახე ერთი პოლიციელი ვახმისტრისა, რომელიც პირდაპირ ნადირობდა დემონსტრანტებზე, ეძებდა და აიძულებდა იმ დემონსტრანტს, გადასულიყო ერთი მხრიდან მეორე მხარეზე, რომელსაც ის მიზანში ამოიღებდა, და მან სრულიად უმიზეზოდ მოშკლა რამდენიმე მუშა. არასოდეს არ დამავიწყდება, თუ როგორ გაყო მან თოფი ჭიშკარის მოაჯირში და თავში ესროლა ტყვია რომელიღაც ახალგაზრდა კაცს. ხალხი სულ უფრო და უფრო შიგნით ჯგუფდებოდა. უეცრად მოაჯირის წინ გაჩნდა პოლიციის ოფიცრის სახე. მე მგონია, რომ ეს იყო სამართლის დოქტორი, ერთ-ერთ საპოლიციო უბნის უფროსი. მან რაღაც დაიძახა და სანამ მისი ნათქვამის გაგებას მოვასწრებდით, ასტყდა სროლა. გაისმა დაჭრილთა ყვირილი და მომაკვდავთა კვნესა. მე მოვახერხე დიდ სვეტსამოფარებოდი. ქალაქის „წითელი თვითმართველობის" შენობა და მოედანი მის წინ მოიფინა დახოცილთა გვამებით და დაჭრილებით. გონება დაკარგული ხალხი—მამაკაცები, ქალები და ბავშვები, ქალაქის თვითმართველობის ეზოს ერთი თავიდან მეორე ნაწილისაკენ გარბოდენ, ორმხრივი ცეცხლი ყველგან სწვდებოდა უბედურებს. მხოლოდ შემდეგ გავიგე, რომ ჩემ გვერდით მდგომი სოციალ-დემოკრატი მუშა იქვე იქნა მოკლული თავში ნასროლი ტყვიით, გახდა პოლიციის მსხვერპლი ქალაქის „წითელ თვითმართველობის შენობაში".

### პოლიციის „ხრიკი". — მეორე საპოლიციო უბნის დარბევა

როგორც შემდეგ გამოირკვა, პოლიციას უნდოდა ქალაქის თვითმართველობის შენობის დაკავება და ამიტომ მიმართა ხრიკს. დიდ ავტომობილს უნდოდა ქალ. თვითმართველობის ეზოში შესვლა. საჭესთან იჯდა პოლიციელი, ხოლო მის გვერდით მეორე, წითელი ჯვრის არშიით მკლავზე. ქალ. თვითმართველობის შენობის დამცველთა შეკითხვაზე, პოლიციელებმა უპასუხეს, რომ ეს სანიტარული ავტომობილია. რომელიც მოვიდა დაჭრილების წასაყვანად. აღმოჩნდა, რომ ავტომობილი სავსეა პოლიციელებით. ამ ხრიკმა კიდევ უფრო აღაშფოთა ისედაც აღელვებული ხალხი. მუშები გაემართენ საპოლიციო სამმართველოსაკენ მახლობელ ლიხტენფელსგასსეს ქუჩაზე. პოლიციის მცველმა, რომელიც იქ იყო, იძრო იარაღი და გაიწია დემონსტრანტებისაკენ. ამან კიდევ უფრო გააძლიერა მუშების აღშფოთება. როცა ზოგიერთმა პოლიციელებმა ასტეხეს სროლა ფანჯრებიდან. ზომაზე მეტად აღელვებული მასსა შეიჭრა პოლიციის სამმართველოში, სადაც გაიმართა სისხლიანი შეტაკება, რომლის შედეგადაც სამი პოლიციელი მოკლულ იქნა. დემონსტრანტებმა მთელი ავეჯეულობა დაამტვრიეს და პოლიციის სამმართველოს შენობას ცეცხლი წაუკიდეს. აქაც სახანძრო რაზმს არ მისცეს ნება ჩაექრო ცეცხლი. თუმცა, როგორც შემდეგ გამოირკვა, მეხანძრეებს, რომლებიც თანაუგრძნობდენ მუშებს, თვითონ, მიუხედავად მუქარისა, შეგნებულად არ სურდათ ჩაექროთ ცეცხლი საპოლიციო სამმართველოში და იუსტიციის სასახლეში.



„იუსტიციის სასახლე" (სასამართლოს შენობა) შიგნით ხანძრის შემდეგ

### სისხლისღვრა პარლამენტის წინ

ამ დროს კიდევ ასტყდა სროლა. ეს კარაბინებით შეიარაღებული პოლიცია უშენდა ტყვიებს უიარაღო დემონსტრანტებს პარლამენტის წინ რინგის ქუჩაზე. დაიწყო განუწყვეტელი და უწესრიგო სროლა. სულ ახალი და ახალი ტყვიისფრქვეველებით შეიარაღებული საპოლიციო და სამხედრო ნაწილები მიეშურებოდენ ცენტრისაკენ. დრო გამოშვებით ისინი შეჩერდებოდენ და აუტეხდენ სროლას დემონსტრანტებს. ზოგიერთმა საპოლიციო რაზმებმა დაიკავეს კერძო სახლები და დაიწყეს სროლა ფანჯრებიდან. დანარჩენები საბარგო ავტომობილებით იჭრებოდენ დემონსტრანტებში და აყენებდენ სისხლის ტბას. პოლიცია ტყვიებს ესროლდა აგრეთვე სანიტარულ ავტომობილებსაც. ამ სროლაში მოკლულ იქნა 50 მუშა. პარლამენტის ახლოს მდგარი სამგზავრო პუნქტები ვერ ასწრებდენ ყველა დაჭრილებისათვის საჭირო დახმარების გაწევას. ძნელი იყო იმის გამორკვევა, თუ ვინ არის მოკლული და ვისი გადარჩენა შეიძლება კიდევ.

### ქალაქში

იგივე ხდებოდა ქალაქის სხვა ნაწილებშიაც. სახალხო თეატრის წინ, სადაც აგრეთვე შეიკრიბენ დემონსტრანტები. პოლიციამ უიარაღო ხალხს აუტეხა სროლა ტყვიისმფრქვეველებიდან. ის ერეკებოდა უმწეო ხალხს კუთხიდან კუთხეში გადაჯვარედინებულ ცეცხლის ქვეშ, ვინაიდან მოედნის მეორე მხარეზედაც იყო პოლიციის სხვა ნაწილი. ყველგან იყო მოკლულები და დაჭრილები.

დღის 4 საათზე პოლიციამ დაიწყო ახალი შეტევა მარიახილფერშტრასეზე. სრულიად უმიზეზოდ ძლიერად შეიარაღებულ საპოლიციო რაზმი მიერეკებოდა ქუჩაზე მიმავალ მამაკაცებს, ქალებს და ბავშვებს, რომლებიც დემონსტრაციაში არც კი იღებდენ მონაწილეობას. უეცრად ასტყდა სროლა. პოლიციელები, თითქოს სიგნალი მისცესო, გამოცვივდენ ქუჩაზე და გააჩაღეს სროლა. ქუჩები კვლავ შეიღება სისხლით.

### „არაორაზროვანი განაჩენი"

იმ დროს, როცა პარლამენტის ირგვლივ ბრძოლა სწარმოებდა, დემონსტრანტების ნაწილი გაემართა მთავრობის ორგანო „რეიხსპოსტ"-ის შენობისაკენ. იქ ვიტრინაში გამოფენილი იყო გაზეთის დილის ნომერი, რომლის მოწინავე წერილი, სათაურით „არაორაზროვანი განაჩენი", იწონებდა ფაშისტების გამართლებას. დემონსტრანტები შეიჭრენ შენობაში, დაამტვრიეს ავეჯი, დაარბიეს მთავარ რედაქტორის ფუნდერის ბინა და მთელ შენობას ცეცხლი წაუკიდეს. „არაორაზროვანი განაჩენი"—გაისმოდა ქუჩაში.

იგივე ბედი ეწვია პანგერმანელების ორგანო „ვინერ ნეისტე ნახრიხტენ"-ის რედაქციას, სადაც დემონსტრანტებმა დაარბიეს ყველაფერი.

დემონსტრაციები გაიმართა აგრეთვე ფაშისტური ორგანიზაციების ყველა შენობების წინ. დემონსტრანტებმა დაარბიეს ის შენობაც, სადაც მოთავსებული იყო საკენკრეიცლერების (ფაშისტების) იარაღის საწყობი.

### გაფიცვა საყოველთაო ხდება

დღის ორ საათზე მოძრაობა ქალაქის რკინის გზაზე სრულიად შესწყდა. საღამოს 7 საათზე მუშაობა შესწყვიტეს ტელეგრაფმა, ტელეფონმა და რკინის გზებმა. მუშების ზეგავლენით, ზოგიერთი ადგილობრივი პროფესიონალური ორგანიზაციები ბრძანებას სცემდენ გაფიცვის გამოცხადების შესახებ. პროფკავშირების ინსტანციები გაფიცვის დაწყების შემდეგ უკანა რიცხვით გებულობდენ. მუშაობა შესწყდა ყველა წარმოებებში. საყოველთაო გაფიცვა ფაქტიურად იყო გატარებული წინააღმდეგ სოციალ-დემოკრატიის ბელადების ნება-სურვილებისა და მიუხედავად იმისა, რომ ის არ ყოფილა გამოცხადებული.

საღამოთი პოლიციის დეპარტამენტმა, იხელმძღვანელა რა 1851 წელში გამოცემულ მეფის დეკრეტით, გამოაცხადა საალყო წესები. პოლიციამ აკრძალა ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული ყველა კრებები და დემონსტრაციები. პოლიციას მიეცა რწმუნება ებრძოლა დემონსტრანტების წინააღმდეგ ყველა საშუალებებით.

### პარტიების პოზიცია

**სოციალ-დემოკრატიული პარტია** სრულებით პასიურად შეხვდა სისხლიან ამბებს. მთელი მისი მოღვაწეობა იქითკენ იყო მიმართული, რომ დაეცვა „სიმშვიდე და წესრიგი". მიუხედავად იმისა, რომ საყოველთაო გაფიცვა ფაქტიურად უკვე პარასკევიდან ტარდებოდა, სოციალ-დემოკრატიულმა ხელმძღვანელობამ საყოველთაო გაფიცვის გამოცხადება დააყოვნა შაბათ საღამომდე. ერთი მხრით სოციალ-დემოკრატიის ბელადების პასიურმა მოქმედებამ და მეორე მხრით—შუცბუნდის თანამშრომლობამ პოლიციასთან თვით სოციალ-დემოკრატ მუშებში გამოიწვია ღრმა აღშფოთება, რომელმაც გამოხატულება ჰპოვა განუწყვეტელ გამოსვლებში სოციალ-დემოკრატიის ბელადების წინააღმდეგ დემონსტრაციების დროს და მიტინგებზე.

### კომუნისტური პარტია

პარასკევს დილით კომუნისტურმა პარტიამ უკვე წამოაყენა ლოზუნგები: „ყველა ფაშისტურ ორგანიზაციების განიარაღება და დაშლა", „საყოველთაო გაფიცვა", „მუშების შეიარაღება წარმოებებში", „ძირს ვოგუენი" (სამხედრო მინისტრი), „ძირს შობერი" (პოლიციის პრეზიდენტი), „პოლიციის მუნიციპალიზაცია", „ვენის საფაბრიკო - საქარხნო კომიტეტების კონფერენციის მოწვევა". ყველა ეს ლოზუნგები გამოქვეყნებული იყო დღისით გავრცელებულ ფურცლებში.

პარასკევს, საღამოს 11 საათზე, გამოვიდა „როტე ფანეს" სასწრაფო ნომერი აწერილობით: „საყოველთაო გაფიცვა", „შეიარაღება", „ფაშიზმი გადავიდა იერიშზე", „ათასი დაჭრილი, 60 დახოცილი, მთავრობამ მუშათა კლასს ომი გამოუცხადა". მოწინავე წერილში გაზეთი სწერდა: „პროლეტარიატმა დღეს გამოსთქვა თავისი ნება-სურვილი დამოუკიდებელი ბრძოლა გაუმართოს სისხლისმსმელ ფაშიზმს. მთავრობამ თავი მოუყარა პოლიციის ყველა ძალებს, შეაიარაღა ისინი ტყვიისმფრქვეველებით და გაგზავნა მუშა - დემონსტრანტების წინააღმდეგ. შუადღის შემდეგ პოლიციამ დაუშინა ტყვია დემონსტრანტებს. დაჭრილია ათასზე მეტი მუშა. დახოცილთა რიცხვი საბოლოოდ არ არის გამორკვეული. სრულიად შეუიარაღებელმა მუშათა მასებმა იწყეს ბარიკადების აგება. პოლიციის სამმართველომ გამოიყენა 1851 წლის დეკრეტი, გამოაცხადა საალყო წესები და დაუსჯელად დაიწყო მათი დევნა. ფრონტელების მთავრობამ და ავსტრიის ფაშიზმმა დაიწყო ბრძოლა მუშათა მოძრაობის ჩაქრობისათვის. ავსტრიაში გამოცხადებულია სამოქალაქო ომი, მაგრამ ომი ცალმხრივი. ბურჟუაზია იბრძვის მუშების წინააღმდეგ, ხოლო მუშები ჯერ კიდევ არ არიან შეიარაღებულნი. საქმე ეხება მუშათა კლასის მთელს მოწინავ

# პარტიული ცხოვრება

## სოფლის უჯრედების ღია კრების შესახებ

კომუჯრედების ღია კრებების მოწვევას პარტიული ორგანიზაციები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ. ეს ასეც უნდა იყვეს. კომუჯრედის ღია კრებებით ჩვენ ვცდილობთ შემოვიკრიბოთ პარტიის გარშემო უპარტიო მუშები და გლეხები, გავაცნოთ მათ ჩვენი საქმიანობა, დავაყენოთ ისინი ჩვენი უშუალო გავლენის ქვეშ. ეს გვავალებს ჩვენ ღია კრებების მოწყობას მეტი ყურადღება მივაქციოთ. ღია კრებების წესრიგი ისე უნდა იყოს შერჩეული, კრებას ისეთ დროს უნდა ვიწვევდეთ, რომ საშუალება მივსცეთ უპარტიოებს ხალისით დაესწრონ კრებას და აქტიური მონაწილეობა მიიღონ დღის წესრიგში დასმულ საკითხების განხილვაში.

მუშურ უჯრედებს ამ მხრით თვალსაჩინო მიღწევები აქვთ. ბევრგან უპარტიო მუშები ისე შეეჩვიენ უჯრედის ღია კრებებს, რომ პარტიულებთან ერთად მათ თავის მოვალეობათ მიაჩნიათ კრებებზე დასწრება. არის რასაკვირველია ნაკლიც, მაგრამ პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობით ეს ნაკლიც თანდათან სწორდება.

უჯრედების ღია კრებებს სოფელშიაც ექცევა ყურადღება. ზოგ უჯრედს აქაც აქვს მიღწევები, მაგრამ ზოგან ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია გამოსასწორებელი. სოფლად არ ტარდება წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა ღია კრებისათვის დღის წესრიგის შესამუშავებლად, მომხსენებლების დასანიშნავად. რამდენიმე წუთით წინ კრების დაწყებამდი მდივანი შეიმუშავებს დღის წესრიგს, იქვე ნიშნავს მომხსენებელს. ასე საუცბადოდ შეხინხლილი კრება თავისთავად ცხადია ვერ დააინტერესებს და ვერ მიიზიდავს უპარტიო გლეხებს.

ეს დაუშვებელია. ბიურომ რამდენიმე დღით ადრე უნდა შეიმუშაოს დღის წესრიგი, გამონახოს სათანადოთ მომზადებული მომხსენებლები, კრება დიდხანს არ უნდა გაგრძელდეს, რომ არ მოღალონ კრების მონაწილენი. გარდა ამისა საჭიროა, რომ ღია კრების შესახებ რამდენიმე დღით ადრე ცხადდებოდეს. შემდეგ, ღია კრებები ისეთ დღეებში უნდა ინიშნებოდეს, როდესაც გლეხი თავისუფალია და მას შეძლება ექნება კრებას დაესწროს

სამაზრო ინსტრუქტორები სოფლის უჯრედების დათვალიერების დროს განსაკუთრებით უნდა ეცნობოდეს ღია კრებების მუშაობას—რა საკითხები იყო დღის წესრიგში, ვინ იყო მომხსენებელი, რამდენი უპარტიო გლეხი დაესწრო, რამდენმა მიიღო მონაწილეობა საკითხების გარჩევაში და სხ. საჭირო შემთხვევაში ინსტრუქტორი სათანადო დარიგებებს უნდა აძლევდეს უჯრედს. ამ გზით ჩვენ შევძლებთ უჯრედების ღია კრებების გამოცოცხლებას.

ო—ა.

## საბჭ. უჯრედების ბიუროების და სამეურნეო ორგ. ხელმძღვანელ კომუნისტების თათბირი

(წერილი სენაკიდან)

18 ივლისს სენაკის სამაზრო კომიტეტში შესდგა ქ. სენაკის კომუჯრედების ბიუროს წევრების და სამეურნეო პროფესიონალურ ორგანოების ხელმძღვანელ კომუნისტების თათბირი აქტიურ წევრთა მონაწილეობით. თათბირის მიზანი იყო კონკრეტიულად დამუშავება ცენტრ. კომიტეტის ცირკულიარის: საბჭ. უჯრედების და საბჭოთა საზოგადოებრიობის მონაწილეობაზე სახელმწიფო აპარატის აღმშენებლობაში და ბიუროკრატიზმთან ბრძოლის საქმეში.

საკითხის დეტალურად გარჩევის შემდეგ თათბირმა საფუძვლად მიიღო ამხ. მამულიას მიერ წარმოდგენილი პრაქტიკული ღონისძიებანი. თათბირმა საჭიროდ სცნო კონკრეტიული მითითებების მიცემა უჯრ. და დაწესებულებათა ხელმძღვანელ კომუნისტებისათვის.

**თათბირმა სხვათა შორის მიიღო შემდეგი დადგენილება**

1) უჯრედების კრებებზე უნდა დაისვას საკითხი ბიუროკრატიზმის, უყაირათობის და აპარატის სიძვირის შესახებ. პარტიის წევრთა საშუალებით უნდა ხდებოდეს დაწესებულებათა ნაკლოვანების გამომჟღავნება და უჯრედები უნდა ღებულობდენ ზომებს მათი აღმოსაფხვრელად;

2) დაწესებულებათა ხელმძღვანელები აქტიურად უნდა იქნენ მოზიდულნი, უჯრ. მუშაობაში. დაწესებულებათა ხელმძღვანელები და უჯრ. უნდა აწარმოებდენ კონტაქტიურ მუშაობას.

უჯრ. სხდომებზე მოსმენილ უნდა იქნას ხელმძღვანელ კომუნისტების მოხსენება დაწესებულებათა მდგომარეობაზე რომლის გარშემო უჯრედებმა უნდა გამოსთქვას თავისი აზრი და მას სრული უფლება აქვს საჭირო მითითებები მისცეს ამა თუ იმ დაწესებულებების ხელმძღვანელს.

4) განმტკიცებული უნდა იქნეს უჯრ. კავშირი: ადგილკომების ფრაქციებთან, ნებაყოფლობითი საზოგად. და დაწ. არსებულ კომისიებთან. დაწესებულებათა თანამშრომლებზე გაცნობა პარტიის და ხელისუფლების ხაზის ბიუროკრატიზმთან ბრძოლის საქმეში. ბრძოლა ნათლიმობასა და პროტექციებთან.

ყურადღება მიექცეს შემომსვლელთათვის თავაზიანი მოპყრობას. მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს სამუშაოებზე მუშების წამოყენებას. გამოცოცხლებულ უნდა იქნას საწარმოო თათბირები და გაძლიერებული უნდა იქნას მათზე ხელმძღვანელობა პროფკავშირების მხრივ.

აი ის საკითხები, რომლის კონკრეტ. დამუშავებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს თათბირის მონაწილეებმა.

მ. ბარამია.

## ს. კ. პ. (ბ) სამტრედიის რაიკომის პლენუმი

16 ივლისს, შესდგა სამტრედიის რაიკომის გაფართოვებული პლენუმი უჯრედის მდივნებთან ერთად. პლენუმმა პირველად მოისმინა სამტრ. სას.-სამეურნეო საკრედიტო კოოპერაციის მოხსენება.

კამათში გამოსულმა ამხანაგები დადებით მხარეებთან ერთად აღნიშნავდენ ამ კოოპერაციის დეფექტებსაც. მაგ. წელს არ იქნა მომარაგებული შაბიამანი სათანადო რაოდენობით. არ იქნა დროზე იაფი სიმინდი მოტანილი წევრთათვის. სესხის განაწილების დროს არ იყო დაცული მთლიანათ ღარიბ-გლეხთა ინტერესები, თარაღ-მანქანები ცოტა იქნა მოტანილი.

შემდეგ მოსმენილ იქნა „აბრეშუმის“ რწმუნებულის მოხსენება. გამოირკვა, რომ ზოგ რაიონებში მოსავალმა გადააჭარბა შარშანდელს, მხოლოდ ზოგ ალაგას ნაკლები იყო. ამან შექმნა მებრეშუმეებში აზრი, ვითომ თესლი არ იყო კარგი ღირსების. ამხ. მომხსენებელი ჭიის გაფუჭებას აბრალებს თუთის ფოთლის წახდენას, ჰაერის ხშირი ცვალებადობას.

კამათში გამოირკვა, რომ მართლაც წელს ზოგან 50 პროც.-ით გაფუჭებულა აბრეშუმის ჭია.

პლენუმმა მოისმინა რაიონის მიწა - ტყის პროფკავშირის მოხსენება სადაც გამოირკვა, რომ ეს კავშირი აერთიანებს სხვადასხვა სახელმამულის მუშებს, შეგირდებს და სოფლის მოჯამაგირეებს, მაგრამ აღინიშნა, რომ მთლიანათ არ არიან აღრიცხული მოჯამაგირეები.

არაა კულტ. მუშაობა მოჯამ. შორის და სხვა. ყოველივე ამ დეფექტებზე კავშირს მიეცა სათანადო მითითებანი.

დასასრულ პლენუმმა მოისმინა ღანირ-ჭაგანის და დიდი ჯიხაიშის აღმასკომების მოხსენება თემში წარმოებულ აღმშენებლობაზე.

საერთოდ სამრაიკომის პლენუმის მუშაობა შეიძლება ჩაითვალოს ნაყოფიერათ. დამსწრე ამხანაგები აქტიურ მონაწილეობას იღებდენ საკითხების განხილვაში.

სან-კანი.

## პიონერთა მოძრაობა ახალქალაქის მაზრაში

(ჯავახეთი)

პიონერთა მოძრაობა შედარებით ახალი საქმეა ახალქალაქის მაზრაში. კოლექტივების ორგანიზაციული ჩამოყალიბება ჯერ-ჯერობით გრძელდება, ამიტომ ყველა ჩვენს უჯრედს არა ყავს პიონერ-ორგანიზაცია. ბევრი უჯრედი მხოლოდ ახლა ისახავს მიზნათ პიონერკოლექტივების შექმნას.

პიონერთა რაზმები უმეტეს შემთხვევაში არსებობენ თემის ცენტრებში და დიდ სოფლებში, ამიტომ რაზმის ნაწილს შეადგენენ თემის აპარატის მოსამსახურეთა შვილები. ყოველ შემთხვევაში, იქ, სადაც პიონერ-ორგანიზაციები არსებობენ, ხელმძღვანელობას უწევენ მათ კომპარტიის ან კომკავშირის უჯრედები.

სოფ.ჩანდურში პარტიულები ხშირად ესწრებიან პიონერ-ორგანიზაციის მეცადინეობას, ეწყობა ექსკურსიები, და გამოდის კედლის გაზეთი. პიონერები მონაწილეობას ღებულობენ დემონსტრაციებში, გამოდიან მისალმებებით და ნაწილობრივ მონაწილეობენ მინდვრის მავნებლებთან ბრძოლაში.

ზაფხულობით პიონერებთან მეცადინეობა სწყდება, ვინაიდან ისინი უმეტეს შემთხვევაში, წყემსავენ საქონელს; მაგრამ არის შემთხვევა, როდესაც პიონერები ამ მუშაობის დროსაც არ იცილებენ წიგნს და მეცადინეობენ.

ზოგიერთ კოლექტივებს ეტყობა უჯრედების ხელმძღვანელობის სისუსტე, ამიტომ კოლექტივის მუშაობაც სუსტად სწარმოებს. ამის მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ ყველა უჯრედს არ აქვს შეთვისებული პიონერ-ორგანიზაციების მნიშვნელობა. კომპარტიის სამაზრო კომიტეტმა ჯეროვანი ყურადღება მიაქცია ამ მოვლენას და მიიღო ზომები პიონერთა რაზმების მუშაობის გასაძლიერებლათ.

ხ. ისკანდაროვი.

# მუშათა ცხოვრება

## დისციპლინას უმუშევრებიც უნდა დაემორჩილონ

უმუშევრობასთან ბრძოლას ჩვენი პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციები მთავარ ყურადღებას აქცევენ. მთავრობა უმუშევრობასთან წარმატებით ბრძოლისთვის და უმუშევრობისათვის დასახმარებლად საკმაოდ დიდ თანხებს სდებს. სწარმოებს საზოგადო სამუშაოები, არსდება შრომის კოლექტივები, სადაც უმთავრესად უმუშევრებს ეთმობათ ადგილი. გარდა ამისა მთავრობა ბევრ უმუშევარს თვიურ დახმარებას აძლევს ფულად და სხ. ერთი სიტყვით ჩვენი ორგანიზაციები ყოველ ღონეს ხმარობენ რაც შეიძლება მეტი დახმარება აღმოუჩინონ უმუშევარს სამუშაოს შოვნით, თუ ფულადი დახმარებით და ამით შეუმსუბუქდეს მათ მდგომარეობა.

მაგრამ მარტო მთავრობის, პროფკავშირების და სხ. ორგანიზაციების ღონისძიებები დიდ შედეგებს ვერ მოგვცემს, თუ თვით უმუშევრებმა არ დაეხმარენ მათ ამ მნიშვნელოვან საქმეში, არ დაემორჩილენ დისციპლინას. ხშირი შემთხვევაა, რომ უმუშევარი უარს აცხადებს სამუშაოზე წასვლაზე იმის მიზეზით, რომ ესა თუ ის სამუშაო ცოტათი უფრო დაბალია მის კვალიფიკაციასთან შედარებით; ანდა უმუშევარი აცხადებს უარს სხვა ადგილში წასვლაზე, მაგალითად ერთი ქალაქიდან მეორე ქალაქში გადასვლაზე და სხ. გარდა ამისა ბევრი უმუშევარი კავშირის წევრი არ ტარდება შრომის ბირჟაში, რომ ის უმუშევარია. მაშინ, როდესაც კავშირის წევრს დიდი უპირატესობა ეძლევა დაქირავების დროს, უმუშევარ კავშირის წევრს შედარებით უფრო ადვილად შეუძლია სამუშაოს შოვნა.

ასეთი უდისციპლინობა და სხ. ძლიერ უშლის ხელს უმუშევრობასთან წარმატებით ბრძოლას. ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად საქართველოს პროფსაბჭომ ცირკულიარით მიმართა პროფორგანიზაციებს სადაც აღნიშნულია შემდეგი: ყველა უმუშევარი კავშირის წევრი უნდა აღრიცხული იქნეს შრომის ბირჟაში, ვინც ამას არ შეასრულებს. დათხოვნილი იქნება კავშირიდან. უმუშევარი უნდა წავიდეს იმ სამუშაოზე, რომელზეც მას მიუთითებენ; უმუშევარმა, თუ ის დიდი ოჯახით არის დატვირთული, უარი არ უნდა სთქვას სხვა ადგილებში წასვლაზე. ამ განკარგულებას ყოველი უმუშევარი უნდა დაემორჩილოს. დისციპლინა ყველგან საჭიროა. პროფსაბჭოს დირექტივები სრულიად უნაკლოდ უნდა იქნეს გატარებული ცხოვრებაში. ეს ხელს შეუწყობს უმუშევრობასთან წარმატებით ბრძოლას.

ი—ძე.

—:—

## ნახევარი შენ, ნახევარი მე

(ტყიბულის მაღაროები)

უცნაური ხასიათი აქვს ონისიმე ჩიტაძეს. ძალიან უყვარს სხვისი შრომით სარგებლობა. შეიძლება ეს მისი ბრალი არ იყოს; რას იზამთ, მდგომარეობამ გაასათუთა და მოთხოვნილებას ხელი გაუშალა. არ იფიქროთ ძველი დროის ბიუროკრატზე ვწერდეთ? არა, ის თანამედროვეა და მეტად სამწუხაროა, რომ ტყიბულის ქვა-ნახშირის მაღაროების მართველობის კანცელიარიის გამგის მოვალეობას ასრულებს.

იქნება ფიქრობთ, რატომ? მოგახსენებთ. ფაქტი თავის-თავად პატარაა, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ეპიდემიური ხასიათი ეძლევა.

რამდენიმე კვირის უკან საალმშენებლო დარგის უფროსმა ხარჯთ-აღრიცხვა მისცა გადასაბეჭდათ მემანქანეს.

— მე ამას დღეს ვერ მოვასწრებ!—მიმართა მემანქანემ საალმშენებლო დარგის უფროსს.

— საღამოობით იმუშავე! უპასუხა უკანასკნელმა.

რამდენიმე ხნის მუშაობის შემდეგ ხარჯთ-აღრიცხვა მზათ იყო. მემანქანეს ზედმეტი მუშაობისათვის ჯილდოთ გამოუწერეს 10 მანეთი.

— არა, ეს ფული შენ სულ არ გეკუთვნის, ნახევარი მე, ნახევარი შენ, თუ არა—სულ დაკარგავ! დააშინა საწყალი მემანქანე კანცელიარიის გამგემ. მემანქანეც დაჩუმდა, უნებლიეთ დანებდა თავის უფროს. ბ-ნ ონისიმემ კი — 5 მანეთიანს ჯიბისკენ მისცა მიმართულება.

ადგილობრივი კავშირო; მეტი სიფხიზლე.

ელექტრონი.

—:—

## ნუ გააუქმებთ გამგის ადგილს

თბილისის დეპოსთან არსებობს სამკითხველო, რომელიც დიდი ხანია გახსნილია. სამკითხველოს ამ ბოლო დროს ბევრი მკითხველები შეეძინა, ყოველ დღე ესწრება არა ნაკლებ 150 კაცისა. სამკითხველოს გამგის წყალობით მუდამ თვე იწერება სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთები 1000-1200 ცალი, რადგანაც მუშა-მოსამსახურეებს უადვილდება სამკითხველოში გაზეთების გამოწერა. ეხლა განზრახულია სამკითხველოს გამგის ადგილის გაუქმება, იმ მოსაზრებით, რომ არა გვაქვს სალარი. საკვირველი ის არის, რომ დღემდე ქონდათ სალარი და ეხლა კი უცბად მოესპოთ. ჯამაგირი რომ დიდი იყვეს კიდევ შეიძლება კაცმა რამე იფიქროს, მაგრამ გამგის ჯამაგირი არ აღემატება 40-45 მან. აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ადგილის გაუქმებით ძლიერ შემცირდება მუშა-მოსამსახურეებში გაზეთ-ჟურნალების გავრცელებაც.

უმჯობესი იქნება სხვა რამეში გავწიოთ მომჭირნეობა და სამკითხველოს გამგის ადგილი კი დავტოვოთ. ამას მოითხოვს საჭიროება

მუშკორი ძია-ლევან.

## სადელეგატო კონფერენცია

(საყუდი და სარონოდო ფარეხი)

20—21 ივლისს შესდგა სადელეგატო კონფერენცია, რომელზეც მოხსენება გააკეთა ადგილკომის თავმჯდომარემ. 6 თვის მუშაობის შესახებ.

მოხსენების შემდეგ გამოტანილი იქნა პრაქტიკული წინადადებები ადგილკომის მომავალი მუშაობის შესახებ: გამოცოცხლებული იქნეს ცეხ - ბიუროს მუშაობა; დელეგატებს დაევალოს პროფდისციპლინის აღდგენა მუშა-მოსამსახურეებში; ადგილკომს დაევალოს, რომ უფრო მეტის ყურადღებით მოეპყრას კავშირის წევრებს და მიიზიდოს პროფესიონალურ მუშაობაში; აგრეთვე ყურადღებით მოეკიდონ გაზეთებში მოთავსებულ შენიშვნებს და გაეცეს პასუხი; სათანადო ყურადღება მიექცეს შრომის დაცვისათვის და აგრეთვე მოწესრიგებული იქნას მორიგი შვებულების საკითხიც.

შემდეგ კონფერენცია ისმენს რკ. გზის საავადმყოფოს დირექტორის მოხსენებას საავადმყოფოს მდგომარეობაზე, რომელიც სხვათა შორის აღნიშნავს შენობის სივიწროვეს, რის გამო ვერ აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნილებებს, ვერ თავსდება საავადმყოფოში ყველა ავადმყოფები

მუშკორი ძია-ლევან.

—:—

## კულტმუშაობა მოისუსტებს

შავი ზღვის რკინის გზაზე სადგურ ხეთაში და მისი მახლობლად მდებარე ხიდეებზე მუშაობს 90-მდე მუშა. არც ერთ მათგანს არ მიდის ჟურნალ-გაზეთები, არ კეთდება მოხსენებები სხვადასხვა თემებზე, არ არის რაიმე კულტურული გასართობები და სხ. სადგურ ხეთაში მუშების გარდა არიან მოსამსახურეები, რომლებიც აგრეთვე მოკლებული არიან ჟურნალ-გაზეთებით სარგებლობას.

ამისათვის საჭიროა შ. ზ. მუშათა მთლიან კომიტეტმა მიაქციოს ყურადღება ამას და სადგურ ხეთაში თუ სამკითხველოს ვერ გახსნის, ადგილობრივ მუშებს და მოსამსახურეებს გამოუწეროს გაზეთები „კომუნისტი“ და „მუშა“, რაც დიდათ შეუწყობს ხელს მუშების გათვითცნობიერებას.

აკ. ივლიანიშვილი.

## საყურადღებო წვრილმანი

— **არც ეს უბანი უნდა დაივიწყოთ.** ძველი ნავთლუღის უბანი დასახლებულია მუშებით და გლეხებით. აქ არ გააჩნიათ არც კლუბი, არც სხვა რაიმე გასართობი გარდა ქოხ-სამკითხველოსი. ქალაქთან კავშირი და მიმოსვლაც მოუხერხებელია ტრამვაის ხაზის შეუკეთებლობის გამო. კარგი იქნება თბილისის აღმასკომმა ამ უბნისთვისაც მოაწყოს ერთი შესაფერი კლუბი. კლუბათ შეიძლება გადაკეთებულ იქნას ყოფილი სომხის სკოლის შენობა. გარდა ამისა იმედია შეაკეთებენ ტრამვაის ხაზს ,რითაც დაგვიხსნიან ტანჯვა-წვალებიდან.

შ. ნავთლუღელი.

—:—

— **დიდი სიბინძურეა.** (ქუთაისი, სამხედრო ქუჩა). სამხედრო, ქუჩა, სადაც ჯარის ნაწილებია მოთავსებული, აგრეთვე მოსახლეობაც მჭიდროდ არის დასახლებული, სისუფთავის მხრივ ცუდ მდგომარეობაშია. იქ თქვენ ნახავთ მკვდარი საქონლის ძვლების გროვას, ღორების დასაწოლ ტბას და სხვა სიბინძურეს.

ამას წინად ჩამოიარა სანიტარულმა კომისიამ, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევია. იმედი გვაქვს ქუთ. ჯანმრთელ. განყ. გამოეხმაურება ზემოხსენებულს და მიიღებს ზომებს.

— **საჭიროა დაზღვევა.** თანახმად შრომის კომისარიატის დადგენილებისა ყველა სტუდენტი-პრაქტიკანტები უნდა იყვენ დაზღვეული. მაგრამ ეს არ ხდება თამბაქოს ტრესტში, სადაც 14 პრაქტიკანტია. კარგი იქნებოდა შრომის კომისარიატი მიიღებდეს ზომებს პრაქტიკანტ-სტუდენტების დასაზღვევად.

— **ტრამვაის ხაზი გაიყვანეთ.** მომავალ სამოსწავლო წლიდან ყოფ. სასულიერო სემინარიაში სახელმწიფო უნივერსიტეტის მთავარ შენობიდან გადადის ორი აგრონომიული და პოლიტეხნიკური ფაკულტეტი. სტუდენტობას და მასწავლებლებს ფეხით მოუხდებათ ვაკეში სიარული.

კარგი იქნება აქაც გაყვანილ იქნას ტრამვაის ხაზი. ზემოაღნიშნული მიზნის გარდა მცხოვრებლებს მიეცემათ ქალაქთან დაახლოვების საშუალება.

შალი.

**საპარიკმახეროები უნდა მუშაობდენ დადგენილების თანახმად.** პროფსაბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით თბილისის საპარიკმახეროებში უნდა მუშაობდენ ზაფხულობით. საღამოს 6 საათამდის. კვირა-უქმე დღეებში კი მუშაობა არ უნდა სწარმოებდეს. საპარიკმახეროები „ალიოშა“, „შრომა“ და ბალდასაროვი“-სათვის არ არსებობს არც დადგენილება და არც კვირა-უქმე დღეები. გარდა ამისა ღია არის ღამის პირველ საათამდის. საპარიკმახეობი თითქმის ყველა კლუბებში.

№ 17.

## მუშათა ქრონიკა

— **მასიური მომღერალთა გუნდი.** საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყ. ყველა კავშირების ც. გ. მონაწილეობით, ოქტომბრის დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებათ ლოტბარი ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელობით გამართავს დიდ საერთო საკავშირო და საქალაქო შერეულ მასიურ მომღერალთა გუნდს, სადაც მონაწილეობას მიიღებენ დაახლოვებით 600-700 მომღერალი.

## დავით კარიჭაშვილი

26 ივლისს რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში სახადისაგან გარდაიცვალა დავით გიორგის ძე კარიჭაშვილი.

დ. კარიჭაშვილი დაიბადა 1862 წ. გორის მაზრაში, სად. ხიდისთავში. გორის სასულიერო სასწავლებლის და თბილისის სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ შევიდა პეტერბურგის (ლენინგრადის) უნივერსიტეტში, ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. იქედან პარიზში წავიდა და განაგრძობდა მეცადინეობას ამ დარგში.

ჯერ კიდევ საფრანგეთში ყოფნის დროს, 80 წლების მეორე ნახევრიდან, პარიზიდან წერილებს ათავსებდა გაზ. „ივერია“-ში. მისი პირველი მოთხრობა „სამი მსხვერპლი“ გამოვიდა 1888 წ. შემდეგ უმთავრესად საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილებს ბეჭდავდა ჟურნალ-გაზეთებში.

საფრანგეთიდან დაბრუნებისას ფრანგული ენის მასწავლებლად მოიწვიეს თბ. სათ.-აზნაურო სკოლაში,სადაც მერე ქართულს ასწავლიდა. შემდეგ აირჩიეს ქ. შ. -წ.-კ. გ. საზოგადოების მდივნად. ამ საზოგადოების წიგნთსაცავისა და მუზეუმის შედგენა მოწესრიგებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის. განსაკუთრებით აღსანიშნავია დ. კარიჭაშვილის მუშაობა წ-კ. გ. ხელნაწერთა წიგნთსაცავში, რომელიც გადაეცა სახ. უნივერსიტეტს, სადაც ის ბოლოს ირიცხებოდა ასისტენტად და სიძველეთა მუზეუმის გამგედ.

დ. კარიჭაშვილს მრავალი ისტორიული ხასიათის შრომა აქვს ცალკე გამოცემული, მრავალი კიდევ გაბნეულია სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში,

განსვენებულის ცხედარი დასაფლავებული იქნება დიდუბის პანთეონში, პარასკევს, 29 ივლისს.

## 7.600.000 მან. საქართველოს მრეწველობისათვის

(საუბარი ამხ. საკიანთან)

გუშინ მოსკოვიდან დაბრუნდა ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმის წევრი ამხ. **საკიანი**, რომელიც ამ ერთი თვის წინეთ მივლინებული იყო მოსკოვში საკავშირო ს. მ. უ. ს. ორგანოებთან საქართველოს მრეწველობის შესახებ გამომუშავებულ 5 წლიან პერსპექტიულ გეგმის შესათანხმებლად და მომავალი 1927—28 წლისათვის მრეწველობის საკონტროლო ციფრების დასამტკიცებლად.

ამხ. საკიანმა ჩვენს თანამშრომელს გადასცა შემდეგი:

— საკავშირო ს. მ. უ. ს. მიერ შემუშავებული იყო კავშირში შემავალ რესპუბლიკებისათვის მრეწველობის ერთი მთლიანი 5 წლიანი გეგმა, მაგრამ ეს 5 წლიანი გეგმა, საქართველოს ს. მ. უ. ს. აზრით ბევრ რამეში არ შეეფერებოდა საქართველოს პირობებს და ჩვენ საჭიროთ ვსცანით მისი შესწორება ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით. ამის შესახებ ჩვენ მივმართეთ საკავშირო ს. მ. უ. ს. რომელმაც ამის ნება დაგვრთო.

მომავალი საბიუჯეტო წლისათვის საკონტროლო ციფრების გამორკვევის მიზნით, მე დავალებული მქონდა მიმემართა საკ. ს. მ. უ. ს. ორგანოებისათვის. საკონტროლო ციფრების გამორკვევას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენი მომავალი მუშაობისათვის, ვინაიდან ამაზეა დამოკიდებული მომავალი წლისათვის განსაზღვრული ლიმიტების მიღება.

სულ მომავალი წლისათვის საქართველოს მრეწველობისათვის საკონტროლო ციფრად მიღებულია 7.600.000 მანეთი. ამაში შედის უმთავრესად მრეწველობისათვის საჭირო კაპიტალური ხარჯები და მრეწველობის ცალკე დარგებისათვის საჭირო საბრუნავი თანხები. ამ თანხაში არ შედის მხოლოდ ქაღალდის ქარხნისა და ახალი მექანიკური ქარხნების ასაგები ხარჯები.

7.600.000 მანეთიდან — ცემენტის ქარხნის აგების დასაწყებად გათვალისწინებულია — 1.000.000 მანეთი, მაუდის ფაბრიკის მოსაწყობად და ასაგებად — 1.700.000 მანეთი, საფეიქრო მრეწველობისათვის საჭირო მუშახელის მოსამზადებლად — 150.000 მანეთი, ბარიტის ქარხნის დასამთავრებლად — 190.000 მანეთი, ბზიბის სახერხი ქარხნის გასაფართოებლად — 370.000 მანეთი, ტყავის მრეწველობის განსავითარებლად — 100.000 მანეთი, აბრეშუმის მრეწველობის გასაფართოებლად და აბრეშ. სახვევ ფაბრიკებში 168 ახალი აუზის დასადგმათ — 400.000 მანეთი და სხვ.

გარდა ამისა ამავე თანხიდან გადადებული იქნება სატყეო მრეწველობის საჭიროებისათვის 700.000 მანეთი, სამთო მრეწველობისათვის — 141.000 მანეთი, ტყიბულის მაღაროების საჭიროებისათვის — 500.000 მანეთი, ტყვარჩელის რაიონში გამოკვლევების ჩასატარებლად — 200.000 მანეთი, გეოლოგიური გამოკვლევების მოსახდენად — 105.000 მანეთი, ლითონტრესტის საბრუნავი თანხების გასაძლიერებლად 175.000 მანეთი, სატყეო მრეწველობის ტრესტის საბრუნავი თანხის გასაძლიერებლად — 1.100.000 მან., გორის საკონსერვო ფაბრიკის ასაგებად — 664.000 მან., აგურკრამიტის ქარხნების ასაგებად — 197.000 მან. და სხვა.

## საქართველოს მუზეუმი

საქართველოს სახკომსაბჭომ და ეკონომიურმა საბჭომ გაერთიანებულ სხდომაზე დაადგინეს დაწყებული იქნეს მიმდინარე 27 წელში მუშაობა საქართველოს მუზეუმის შენობის დასამთავრებლად. ამ მიზნით მოეწყო კომიტეტი ამხ. ს. ჯუღელის (თავმჯდომარე), დ. კანდელაკის, მარ. ორახელაშვილის, სუხიშვილის, ყურულიშვილის, დუმბაძის, მიქაძის, ბერიას, პროფესორ ჩუბინაშვილის. მხატვარ—შევარდნაძის, ინჟ. სევეროვის და პროფ. ა. ჯანელიძის შემადგენლობით.

ხსენებულ კომიტეტს დაევალა წარუდგინოს სახკომსაბჭოს: ა) სამუშაოთა გეგმა, ბ) მუზეუმის დამთავრების საბოლოო ხარჯთაღრიცხვა და გ) თავისი დასკვნა მუზეუმის ფასადის ვარიანტის შესახებ.

მუზეუმის შენობის დასამთავრებლად საჭირო ხარჯთაღრიცხვა ვათვალისწინებულია 350.000 მანეთის ფარგლებში. სახკომსაბჭოს ფონდიდან გადადებულია 100.000 მან.

## ეკონომიურ საბჭოში

### ადგილობრივი გზების მშენებლობა

ადგილობრივი გზების მშენებლობისათვის ფინანსების მიწოდების მიზნით, ეკონომიურმა საბჭომ საჭიროთ სცნო მომავალი 1927-28 საბ. წლიდან ადგილობრივი ფინანსების დებულების 38 მუხ. გათვალისწინებული რესპუბლიკანური და ადგილობრივი საგზაო ფონდების დაარსება, რის გამო წინადადება მიეცა საქართველოს ფინსახკომს შეიმუშაოს სათანადო დადგენილება სახკომსაბჭოში წარსადგენად.

### ადგილობრივი სახსარის მონაწილეობა რიონჰესის აღმშენებლობაში

ეკონომიურმა საბჭომ მოიწონა ს. ს. რ. კავშირის ფინსახკომის მიერ შემუშავებული რიონის ჰიდროელსადგურის აღმშენებლობაში მონაწილე ადგილობრივი სახსრის დახარჯვის (წლების მიხედვით) განაწილება. ხსენებული სახსარის წყაროებათ ჩაითვალა: ა) ჭიათურის შავი ქვის მრეწველობის სატონო გადასახადის ანარიცხები, ბ) საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის მრეწველობის მოგების ანარიცხები, გ) საქართველოს სახკომსაბჭოს მიერ ზაჰესის აღმშენებლობაში ჩადებული თანხის პროცენტები და დ) ზაჰესის დამთავრების შემდეგ დარჩენილი 500.000 მან. ღირებულების მასალა.

### შენობების დაზღვევა 1927-28 წელში

ეკონომიურმა საბჭომ საჭიროთ სცნო 1927-28 საბიუჯეტო წელში შენობების სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის გატარება საქართველოს ყველა ქალაქებში ქ. ლიუქსემბურგის, შაუმიანის, დუშეთის, ახალქალაქისა და ხონის გარდა.

ყველა დანარჩენ ქალაქში სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევისაგან განთავისუფლებული უნდა იქნეს იმ მოქალაქეთა შენობები, რომელნიც იბეგრებიან მხოლოდ სას.-სამეურნეო გადასახადით.

# ავაშენოთ თვითმფრინავი



შემომაქვს თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ფონდის გასაძლიერებლად 3 მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: **თამარა თევზაძეს**, მარგო ნადირაძეს, აგრაფინა გეგიძეს, კალისტინე პაპავას, მარუსია ნაიდენოვას, თადეოზ პაპავას, ვერიჩკა ბოხუას, ნადია დუნდუას, გულიმჯან მიქელაძეს, ანა რუხაძეს, ცეცილია ჯაშს, ლიუსია ჩაჩუას, ელენა ვაშაკიძეს, რაფიელ ფარცხალაძეს, კაკო ზამთარაძეს, სათო გერბავას, ირაკლი გორდაძეს, ქსენია გეგიას, თამარა ქურიძეს, შუტუ გუგუნავას, ნიტრიფანე გალდავაძეს, ფილიმონ შათირიშვილს, გერმანე პაპავას, პავლუშა პაპავას, გოგუცა კალაძეს; თბილისიდან—კლარა ქოიავას, ნადეჟდა არდიშვილს, ლიუბა კუკურავას, ვოლიჩკა პაპავას, ოლია პაპავას, ტასია შარაბიძეს, ლიუბა ლორთქიფანიძეს, ოლია შარაბიძეს, შალვა პაპავას, გიორგი შარაბიძეს, კოლია ქოიავას.

**მაკრინე დიანოსის ასული შარაბიძისა.**

—:—

თანახმად ამხ. მარო ნანეიშვილის გამოწვევისა შემომაქვს სამი მანეთი თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ფონდის გასაძლიერებლად და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: **დუნდუა მიხეილ ათ-ძე, ბარათელი გიორგი, გრიგოლია ვალოდია, კომახიძე ივანე, გრიგოლია საშა, ხულავა ანტონ, ქანდარია სერაპიონ, კალაძე სერგო, ქანდარია აკაკი,** (მოძრაობის დარგიდან) **წვერავა მიხეილ, ჭანტურაია გიორგი, შილაკაძე შალვა, გიგინეიშვილი ვასილ, გიგინეიშვილი ალექსანდრე, შანიძე აკაკი, ნარსია პარმენ, ფიჩხაია ალექსანდრე, აბდალაძე სერგო, ერისთავი გრიგოლ, ზაქარიაძე შალვა.**

**სერგო ჯანჯალია.**

—:—

ამხ. ოლია სტურუას გამოწვევით შემომაქვს სამი მანეთი თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ფონდის გასაძლიერებლად და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: **ნინა დუნდუას,** (ნიკოლაიშვილი), **ქეთო ახობაძეს, მარო სტურუას, ბაგრატ ბუჭუას, გრიგოლ ნიკურაძეს, ტიტიკო შვანგირაძეს,** ახალ-სენაკიდან—**ნატაშა კორძაიას** (ფრანგიშვილი), **აბესალომ ჩიტიას, აკაკი ჯაიანს და აკაკი ქუთათელაძეს** (საჯევახოდან).

**ლიუბა კალაძე.**

—:—

ამხ. მიხა თურქიას გამოწვევით შემომაქვს სამი მანეთი თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ სასარგებლოდ და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ქუთაისიდან—**ისიდორე ბოხუას, ლ. სხირელს, კოსტა გამგონეიშვილს, კლემენტი აბულაძეს, ნ. თევზაძეს, ნიკო აფხაიძეს, თედორე სანებლიძეს** (ხეზე მომუშავეთა კავშირი), სენაკიდან—**ლეონტი კარტოზიას, ვალოდია დუნწურიას, მიხა თათარიშვილს, სიმონ შურღაიას.**

**ოჩიგავა.**

ამხ. მარო ნანეიშვილის გამოწვევით შემომაქვს სამი მანეთი თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ფონდის გასაძლიერებლად და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: მიქელაძე კოლია, ქანთარია აკაკი, ტაბიძე ბარნაბა, კვანტალიანი პორფილე, მანჯგალაძე ბათლომე, გიგუაშვილი ტიგრან, ნიკურაძე კოწია, ბალანჩივაძე კირილე, აბზიანიძე სპირიდონ, კვანტალიანი აქსენტი, ფიჩხაია საშა, თბილისიდან—კვანტალიანი კოლია. ქუთაისიდან—ძიგუა რაფიელ. ღანირჭაგანიდან—ოდილავაძე ლიდო, ბენდუკიძე ნადია, ლალანიძე აგრაფინა, არსენიძე დიომიდე, არველაძე ისიდორე. ხონიდან—ქუთათელაძე ჟორჟიკა.

**კვანტალიანი თამარა.**

—:—

ამხ. ლოლა ბიბინეიშვილის გამოწვევით შემომაქვს 5 მ. თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატი“-ს ფონდის გასაძლიერებლათ და ჩემის მხრით ვიწვევ ხუთ-ხუთი მანეთით შემდეგ ამხანაგებს: **დათიკო მახარაძე; იასონ კუპარაძე, კოსტა ცაგერაშვილი; მალხაზა კაჯირაშვილი, გიგო კაციევს და ტერუნოვს.**

რაჭის მაზრიდან: პარმენ წულუკიძეს; კანდიდი გობეჯიშვილს; პოპოლა გურგენიძეს; პეტრე ბაქრაძეს; ლუკა ქარაზანიშვილს და კაკო ლოლელიანს.

**ფილიპე გაგოშიძე**

—:—

ამხ. ოლია სტურუას გამოწვევით შემომაქვს 3 მანეთი თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ფონდის გასაძლიერებლათ და ვიწვევ ამავე თანხით შემდეგ ამხანაგებს: **მიშა ხოსელიას შალვა კოპალეიშვილს; თამარა შარაშენიძეს** (ვანიდან) **იუსტინე ხონელიძეს; გრიშა რუხაძეს, ქსენია ელიავას,** (ქუთაისიდან) **კატო მიქაძეს, კაპიტონ ჭანიშვილს; ნონა სურგულაძეს, ალექსანდრე გრიგორისძე ალადინსკის; ალექსანდრე სტურუას, აკაკი მიქელაძეს,** (აბასთუმანიდან) **სიმონ ჯულელს, სანდრო კობალაძეს; ფენია გეგეშიძეს, სევა კუხალეიშვილს; ვასო ანდღულაძეს; აკაკი კალაძეს, აკაკი ხვიჩიას, ეპიფანე კვანტალიანს, პროკოფი გელეიშვილს; გრიშა მაქაცარიას; აკაკი ჩხაიძეს,** (თბილისიდან) **კოლია ებრალიძეს** (ბათუმიდან) **სპირიდონ კიკაჩეიშვილს; პოლიაქტორ მჟონიას;** (ახალციხიდან **კლემენტი ხუჭუას, გელაზონია პარმენს; პოლიკარპე გიგინეიშვილს; იაკინთე ჭახნაკიას, ვლადიმერ ხუჭუას; ნოე რევიშვილს, ბესარიონ კოხრეიძეს; ჟენია გოგოძეს; სამსონ ლეჟავას, ივანე ბურჯანაძეს; ილიკო ქავჯაიას, ლიუბა პაპავას; აგრაფინა ფარულავას, ოლია პაპავას, გრიშა ვაშაკიძეს; ხარდიონ გვირიშიანს; პორფილე ქეიშვილს; ვასო რევიშვილს; ვარდო ყაველაშვლს; ნადია კახიანს; სერგო ახობაძეს; ამბროსი შალამბერიძეს; ვასო გეგუჩაძეს; ქურიძე ისიდორე;** (სამტრედიიდან).

**ლიპა მიქაძე კოპალეიშვილისა.**

დღეს შემოვიდა 23 მანეთი სულ წინეთ შემოსულთან ერთად 5.468—59 კაპ. და ერთი ოქროს მაჯის საათი.

## სამოსწავლო წლის დაწყების წინ

### ს.ს.ს.რ. უმაღლეს სასწავლებლებში მიღების წესი 1927 წ.

1. მიმდინარე 1927 წელში საქ. უმ. სასწავლებლებში სტუდენტთა მიღების ჩასატარებლად განსახკომის პროფგანათლების მთავარმმართველობასთან ეწყობა ცენტრალური მიმღები კომისია, ხოლო თვითეულ უმ. სასწავლებელთან ადგილობრივი კომისია.

2. ახლად მისაღებ სტუდენტთა ადგილების საერთო რიცხვი განისაზღვრება:

ა) სახ. უნივერსიტეტში—500; ამ რაოდენობიდან: პედაგოგიურ ფაკულტეტზე—250, სოც. ეკონომიურზე—75, სამკურნალოზე—75, აგრონომიულზე—50, პოლიტეხნიკუმზე—50.

ადგილების საერთო რიცხვიდან (500) გამოიყოფა.

ა) მუშფაკულტეტ. კურსდამთავრებულთათვის—110 ადგილი,

ბ) ავტონომიურ რესპუბლიკ.—40: აჭარისტანს—25, აფხაზეთს—10, სამხრეთ-ოსეთს—5.

ბ) ლენინის სახელობის პოლიტინსტიტუტში მიიღება სულ 150:

აქედან სასოფ. სამეურნეო ფაკულტეტზე—75, და საინჟენეროზე—75.

ა) მუშფაკულტეტ. კურსდამთავრებულთათვის—50 ადგილი.

ბ) ავტონომიურ რესპუბლიკებისათვის—30, აჭარისტანს—7, აფხაზეთს—13, სამხრეთ ოსეთს—10.

უმ. სასწავლებლებში შესვლის მსურველნი ჩაირიცხებიან მხოლოდ კლასობრივ გადარჩევის შემდეგ, რომელსაც აწარმოებს უმ. სასწავლებელში მიმღები კომისია, და გამოცდების შემდეგ იმ საგნებსა და პროგრამების ფარგლებში, რომელიც გამომუშავებულია პროფ. განათლ. მთავარმმართველობის მიერ.

**შენიშვნა:** მუშფაკულტეტ კურსდამთავრებულნი უმ. სასწავლებლებში მიიღებიან უგამოცდოთ.

4. განცხადებები (განცხადებაში უნდა აღნიშნოს ფაკულტეტი და დარგი. რომელზედაც მთხოვნელი შესვლას აპირებს (უნდა შეტანილ იქნას) შეიძლება გადაგზავნა ფოსტით. მხოლოდ დაზღვეული პაკეტით (უშუალოდ უმ. სასწავლებლის მიმღებ კომისიის სახელზე).

განცხადებას თან დაერთვის დედანი და ორორი პირი შემდეგი საბუთებისა: ა) წლოვანების, ბ) განათლების, გ) სოციალური მდგომარეობისა თვით შემსვლელის ან მის მშობლებისა, დ) სამხ. ბეგარასთან დამოკიდებულების მოწყობა. ე) სწავლის ფულის რაოდენობის განსაზღვრისათვის (შემომსვლელის ან მისი მშობლების ჯამაგირის, გადასახადის რაოდენობის და სხვა) მოწმობა; ვ) სამკურნალო დაწესებულების მოწმობა ჯანმრთელობის შესახებ; გ) ორი სათანადოდ შემოწმებული ფოტოგრაფიული სურათი; ბ) ანკეტა (მიღებული ფორმით), სათანადოდ შემოწმებული.

**შენიშვნა:** 1. უმ. სასწ. შემსვლელი უნდა იყოს არა ნაკლებ 17 წლისა.

2. სოც. მდგომარეობის შესახებ მოწმობა უნდა იყოს გაცემული და შემოწმებული აღმასკომის მიერ, ხოლო პროფწევრთათვის—პროფკავშირ. დაწესებულების მიერ.

5. განცხადებები უნდა შეტანილ იქნენ უმ. სასაწვლებლის მიმღებ კომისიაში პირველ აგვისტოდან იმავე აგვისტოს 25-მდე. 25 აგვისტოს შემდეგ შემოსული განცხადება არ განიხილება.

6. გამოცდები დაიწყება პირველ სექტემბერს და დამთავრდება 17 სექტემბერს. სტუდენტთა ჩარიცხვა მიმღებ კომისიის მიერ უნდა დამთავრდეს 25 სექტემბერს.

7. სტუდენტთა პირობითი ჩარიცხვა, გამოცდების გადადება, ან განმეორებითი გამოცდების ჩატარება არავითარ შემთხვევაში არ დაიშვება.

8. ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა არავითარ შემთხვევაში არ უნდა აღემატებოდეს დაწესებულ ნორმას.

9. ის პირი, რომელიც ჩარიცხულია სტუდენტად უმაღლეს სასწავლებელში და პირველ ოქტომბრამდე არ შეუდგება მეცადინეობას, ავტომატიურად გამოირიცხება უმ. სასწავლებლიდან

განათლების სახალხო კომისარის მოადგილე **მარიამ ორახელაშვილი.**

პროფ. განათლ. მთავარმმართვ.. გამგის მოადგილე **ვ. კანდელაკი.**

საქმეთა მმართველი **ალ. მიქაბერიძე.**

## დებულება

### ს. ს. ს.ს რ. უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტთა მიღების ჩამტარებელ კომისიისა 1927 წელში

1. 1927 წელში უმ. სასაწავლებლებში სტუდენტთა მიღების ჩასატარებლად ყოველ თვითეულ უმ. სასწავლებელთან შესდგება მიმღები კომისია შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე, რომელსაც ნიშნავს პროფგანათლების მთავარმმართველობა, და თითო წარმომადგენელი:

ა) უმ. სასწავლებლის გამგეობიდან: ბ) კომპარტიის ცეკას სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებიდან; გ) ახალგაზრდა კომკავშირ. ცეკადან, დ) საქ. პროფკავშირთა საბჭოს კულტგანყოფილებიდან და ე) პროლეტსტუდის ბიუროდან.

2. მიმღები კომისია.

ა) აწარმოებს უმ. სასწავლებლებში შემსვლელთა კლასობრივ გადარჩევას.

ბ) ადგენს (ფაკულტეტობრივ) იმ სიას მუშფაკელთა, რომლებიც უნდა მიღებულ იქნან უგამოცდოთ.

გ) ადგენს და ამტკიცებს (ფაკულტეტობრივ) სიებს იმ პირთა, რომლებიც დაიშვებიან მისაღებ გამოცდებზე.

დ) ადევნებს თვალყურს საგამოცდო კომისიების მუშაობას.

ე) ადგენს (ფაკულტეტობრივ) სიებს იმ პირთა, რომელნიც გამოცდების შედეგების მიხედვით მიღებულ უნდა იქნან სტუდენტებად.

3. გამოცდებს სწარმოებს (ფაკულტეტობრივ) მიმღებ კომისიის წევრთა ზედამხედველობით, სათანადო საგამოცდო კომისიების მიერ. უკანასკნელ კომისიების წევრებს ნიშნავს განათლების სახალხო კომისარიატი. საგამოცდო კომისიის თავმჯდომარეს ნიშნავს აგრეთვე განსახკომისარიატი.

4. საგამოცდო კომისია აწარმოებს გამოცდებს მხოლოდ იმ პირთა, რომელნიც შეტანილი არიან მიმღებ კომისიის სიებში. გამოცდების შედეგები (დასკვნა) აღინიშნება გამოცდებზე დაშვებულთა პირად ფურცელზე. გამოცდების ყველა მასალას, მათი დამთავრების შემდეგ, საგამოცდო კომისია გადასცემს მიმღებ კომისიას.

5. მისაღები გამოცდები წარმოებს პირველ სექტემბრიდან 18 სექტემბრამდე, შემდეგ საგნებში: სახ. უნივერსიტეტში—მათემატიკა (ალგებრა, გეომეტრია, ტრიგონომეტრია), ფიზიკა, საზოგადოებათმეცნიერება, ქართულსა (წერაში) და რუსულში (ზეპირში), ხოლო ლენინის სახელ. პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში—მათემატიკა, ფიზიკა, საზოგადოებათმეცნიერება და რუსული წერა.

**შენიშვნა:** ხელოვნების უმ. სასწ. შემსვლელმა დამატებით უნდა ჩააბაროს გამოცდები მათი ნიჭის გამოსარკვევად ხელოვნების იმ დარგში, რომელზედაც ის შესვლას აპირებს.

6. სექტემბრის 25 ათვის მიმღები კომისია ადგენს უმ. სასწავლებელში ჩარიცხულთა საბოლოო სიას და გადასცემს გამგეობას.

7. უმ. სასწავლებლის მიმღები კომისია, მუშაობის დამთავრების შემდეგ, ვალდებულია გადასცეს სრულიად მოწესრიგებული სახით უმ. სასწავლებლის გამგეობას ყველა საბუთები, როგორც ჩარიცხულების, აგრეთვე არაჩარიცხულების, აგრეთვე ყველა მასალები გამოცდების ჩატარების შესახებ.

8. ოქტომბრის 15 სათვის უმ. სასწავლებლის მიმღებ კომისია უდგენს ანგარიშს ცენტრალურ კომისიას (პროფგანათლების მთავარმმართველობის მიერ მიცემულ ფორმით). პასუხისმგებლობა ანგარიშისათვის დროზე წარდგენაში ეკისრება მიმღებ კომისიის თავმჯდომარეს.

9) უმ. სასწავლებლის მიმღებ კომისიის დადგენილებით განსაჩივრება შეიძლება 27 სექტემბრამდე განათლ. კომისარიატის პროფ. განათლების მთავარმმართველობასთან არსებულ ცენტრალურ მიმღებ კომისიაში, რომელშიაც შედიან: პროფ. განათლ. მთავარმმართველობის გამგე (თავმჯდომარე) და თითო წარმომადგენელი: უმ. სასწავლებლის გამგეობის, კომპარტიის ცეკას სააგიტაციო-საპროპაგანდო განყ. ახალგ. კომკავშირის ცეკასი, საქ. პროფ. კავშირთა საბჭოს კულტგანყოფილების პროლეტსტუდიის ბიუროსი.

10. ცენტრალურ მიმღებ კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა და არსად არ განისაჩივრება.

განათლების სახალხო კომისარიატის მოადგილე **მარიამ ორახელაშვილი.**

პროფგანათლების მთავარმმართვ. გამგის მოადგილე **ვ. კანდელაკი.**

საქმეთა მმართველი **ალ. მიქაბერიძე.**

2 ივნისი, 1927 წელი.

ქალ. თბილისი.

## ნათესების მდგომარეობა

ამიერ-კავკასიის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს ცნობებით, ივლისის პირველი ნახევარი ხშირი წვიმების, ნიაღვრების და ტემპერატურის დაწევის გამო აღმოჩნდა არახელსაყრელი სასოფლო მეურნეობისათვის. მნიშვნელოვანი ზარალი გამოიწვია სეტყვამ გორის, შორაპანის, ახალციხის და ახალქალაქის მაზრებში,—საქართველოში, ნორ-ბაიაზეთის და ზანგეზურის მაზრებში,—სომხეთში და ამიერკავკასიის სხვა რაიონებში.

გვალვაა მუღანში და აზერბეიჯანის მტკვრის პირის რაიონში.

პურეულების მდგომარეობა გაუარესდა: შემოდგომის ნათესი ხორბლის 3,3 პროც., ქერის 3,1 პროცენტით და გაზაფხულის ქერის 3,6 პროცენტით. გაზაფხულის ხორბლის მდგომარეობა რამოდენიმედ უმჯობესდება. სიმინდი ძლიერადაა.

ცალკე კულტურათა განსაკუთრებული გაუარესება შემჩნეულია საქართველოში.

1926 წლის ივლისთან შედარებით პურეულების მდგომარეობა ამიერ-კავკასიაში გაუარესებულია 14 პროცენტით.

ბამბის მდგომარეობა სომხეთში უკეთესია შარშანდელზე 25,9 პროცენტით და უარესი აზერბეიჯანში 5,6 პროცენტით.

ვენახების მდგომარეობა წარსულ წელთან შედარებით რამოდენიმედ გაუარესდა.

---

ვარს. ფაშისტურ ორგანიზაციებზე დაყრდნობილი მთავრობა საკმაოდ ძლიერად გრძნობს თავს, რომ საბოლოოდ გაუსწორდეს ავსტრიის პროლეტარიატს. ავსტრიის მშრომელი მოსახლეობა ილვიძებს და თავს ართმევს უსაშინელეს სიზმარს. ძირს ფრონტელების მთავრობა, იბრძოლეთ მუშურ - გლეხურ მთავრობისთვის. დაუნდობელი ომი უნდა გამოეცხადოს პროლეტარიატის შეურიგებელ მტრებს. გაუმარჯოს საყოველთაო გაფიცვას მთავრობისა და ფაშისტ - მკვლელების წინააღმდეგ. უნდა განიარაღდენ ფაშისტური ორგანიზაციები. დღემდე მუშების უმრავლესობა ემორჩილებოდა სოციალ - დემოკრატიულ ლიდერებს, რომელნიც მოძრაობის შესუსტების გარდა, სხვა არაფერს არ აკეთებენ. რასაკვირველია, საჭიროა დისციპლინა, მაგრამ დისციპლინა პროლეტარიატის ინტერესების სასარგებლოდ და არა საზარალოდ.

შუცბუნდის წევრებს დღეს გულადათ ეჭირათ თავი, მაგრამ მათმა ხელმძღვანელობამ თავის ამოცანად დაინახა არა მუშების, არამედ პოლიციის დაცვა. ამიტომ მუშებმა უნდა მოაწყონ ნამდვილი მუშური თავდაცვა. მუშებს წლობით ჰქონდათ იარაღი, რომელიც ჩამოერთვათ და გადაეცა ფაშისტებს. უკანასკნელი იარაღი, რომელიც ფაშისტების განკარგულებაში არ იმყოფებოდა, საიდუმლო ხელშეკრულების ძალით, გადაეცა მთავრობას. ყოველმა მუშამ უნდა შეიგნოს დღეს, რომ აუცილებელია მუშების დაუყოვნებლივი შეიარაღება. ნუ მისცემთ ნებას, რომ აღგიკრძალონ ქუჩაში გამოსვლა. ქუჩა მუშებს ეკუთვნის. დღეს ისევ ქუჩაში გამოდით. მთავრობა თქვენს წინააღმდეგ გზავნის არმიაში მყოფ თქვენს ძმებს. მოხსენით ყაზარმებიდან პროლეტარული ჯარისკაცები“.

შაბათს კომუნისტებმა, რომლებსაც არ ჰქონდათ „როტე ფანეს“ გამოშვების საშუალება, იმიტომ, რომ სოციალ - დემოკრატებმა მოახერხეს სტამბისათვის ელექტრო-დენის შეწყვეტა, გამოუშვეს ფურცლები, რომელიც შეიცავს შემდეგ ლოზუნგებს: „მუშებო, იშოვეთ იარაღი და დაიცავით თქვენი სიცოცხლე“, „ძირს ფრონტელების მთავრობა“, „იბრძოლეთ მუშურ-გლეხურ მთავრობისათვის“, „განაიარაღეთ ფაშისტური ორგანიზაციები და პოლიცია“, „დაუყოვნებლივ შეადგინეთ თავდაცვის რაზმები“, „რკინისგზელებო, არ განაახლოთ მუშაობა“, „საყოველთაო გაფიცვა უნდა გაგრძელდეს“, „გაუმარჯოს საყოველთაო გაფიცვას ფაშიზმის განადგურებამდე“, „შეიარაღდით“.

### შაბათი

პარასკევ - შაბათის ღამე კიდევ რამდენიმე მუშას დაუჯდა სიცოცხლის ფასად. პოლიციამ უმიზეზოდ ასტეხა სროლა ქუჩაში, სადაც კი თავს შეიყრიდა ცნობისმოყვარეთა ჯგუფი, წამსვე პოლიცია გაჩნდებოდა იქ და მიმართავდა უსასტიკეს ზომებს. ქალაქის მრავალ კუთხეში ადგილი ჰქონდა ახალ შეტაკებას პოლიციასთან. იმ ღამეს მოკლულია 6 კაცი, ხოლო მძიმედ დაჭრილია — 10 კაცი.

შაბათს დილით, სავაჭროების უმრავლესობა დაკეტილი იყო. საყოველთაო გაფიცვის გამო, ბურჟუაზიულმა გაზეთებმა ვერ მოახერხეს გამოსვლა. ასევე ვერ გამოვიდა სოციალ - დემოკრატიული პარტიის ორგანო „არბეიტერ ცეიტუნგ“. სოციალ - დემოკრატიულმა პარტიამ გამოუშვა საინფორმაციო ბიულეტენი. თუმცა უკანასკნელი ადასტურებს, რომ ვენაში არას დროს არ დაღვრილა მუშების ამდენი სისხლი, რომ „მუშებს კურდღლებივით ხოცავენ ქუჩაში“, მაგრამ მაინც იქვე ათავსებს სოციალ - დემოკრატიული პარტიის ცეკასი და პროფკავშირთა საბჭოს ბრძანებას საყოველთაო გაფიცვის 24 საათში შეწყვეტის შესახებ: ყველა წარმოებებში, გარდა ტრანსპორტის და ფოსტა - ტელეგრაფისა. სოციალ - დემოკრატია თავის უმთავრეს ამოცანად სთვლიდა მასების შეჩერებას შემდეგი დემონსტრაციებისაგან. სოციალ - დემოკრატებმა პირდაპირ განაცხადეს: „ჩვენ აღარ გვინდა დემონსტრაციები. მუშათა კლასის ძალა მდგომარეობს არა იმაში, რომ დიდი საჭიროების გარეშე გამოდიოდენ შეიარაღებული პოლიციისა და სამხედრო ძალების წინააღმდეგ. მუშების ძალა მდგომარეობს უმთავრესად, ბრძოლის ეკონომიურ საშუალებებში. ამ მეთოდს ჩვენ ახლო მომავალში გამოვიყენებთ. ჩვენ არ გვინდა შეტაკება მუშებსა და რესპუბლიკანური არმიის ჯარისკაცებს შორის. ამიტომ — არავითარი დემონსტრაციები, არამედ ღირსებით აღსავსე ჩუმი პროტესტი“. სოციალ-დემოკრატი ლიდერები ამშვიდებდენ მასებს რკინისგზელთა გაფიცვის „უვადო“ გაგრძელებით, მაგრამ უკვე შაბათსვე როგორც ეს ნამდვილად შემდეგში გამოირკვა, მათ დაუწყიათ მომზადება ტრანსპორტელთა გაფიცვის ლიკვიდაციისთვის და თავის მოლაპარაკების დროს მთავრობასთან სპეკულიატური მიზნებით იყენებდენ მას.

ამასთან ერთად სოციალ - დემოკრატები იწყებენ გააფთრებულ ცილისწამების კამპანიას კომუნისტების წინააღმდეგ. სოციალ - დემოკრატიული პარტიის მოწოდება აღნიშნავს, რომ „თუმცა ვენის ამბებში პოლიციაა დამნაშავე, მაგრამ ეს გამოწვეულია ზოგიერთი შეუგნებელი პირის მიერ, რომლებსაც ეკისრებათ მთელი პასუხისმგებლობა ექსცესებისათვის“. სოციალ-დემოკრატები მოუწოდებენ მუშებს, რომ არ მოაწყონ არც დემონსტრაციები და არც კრებები. „კმარა დაღვრილი სისხლი“ — ნათქვამია მოწოდებაში.

იმავე დღეს გამოჩნდა სოციალ - დემოკრატ ბურგომისტრის ზეიცის მოწოდება, რომელშიაც ნათქვამია: „უსაშინელესი უბედურობა დაატყდა ჩვენს ქალაქს. ჩვენი ჩვეულებრივ მშვიდი ქალაქი, ქალაქი, რომელმაც სისხლის დაუღვრელად გაიარა უფრო საშიში წუთები, უკანასკნელ ორ დღეში გადაიქცა გაუგონარ სისხლის მღვრელ ამბების სარბიელად.



იულიუს დეიტჩ

ავსტრიის ფაშისტური „თავდაცვის კავშირის“ ხელმძღვანელი

უდიდესი განსაცდელის ჟამს მე მოვალედ ვრაცხ თავს მივმართო საგანგებო ზომებს. წესრიგისა და მშვიდობიანობის დასაცავად ვაწესებ სათემო პოლიციას. მე მივიღე ზომები სათემო პოლიციისა და სახელმწიფო პოლიციის შეთანხმებული თანამშრომლობისათვის“. დასასრულ ბურგომისტრი მოუწოდებს ვენელებს „საღი აზროვნებისაკენ“.

ამასთან ერთად, ავსტრიის სოციალ - დემოკრატიული პარტიის ცეკამ და ავსტრიის პროფკავშირთა გაერთიანების აღმასკომმა მიმართეს მუშებს მოწოდებით, რომელშიც ისინი სათემო პოლიციას უწოდებენ „წითელ ორგანიზაციას“. მოწოდებაში ნათქვამია: „ჩვენმა ბურგომისტრმა, ჩვენმა ამხანაგმა ზეიცმა გადასწყვიტა იმ დროის განმავლობაში, სანამ საფრთხე იქნება, შეადგინოს შეიარაღებული სათემო პოლიცია, რომელმაც ბოლო უნდა მოუღოს წყევის ღირს სროლას და ჩვენს ქუჩებში აღადგინოს წესრიგი და უშიშროება. მოწოდება მიმართავს სათემო პოლიციას „დაემორჩილოს ბურგომისტრის და მის მიერ დანიშნულ კომენდანტების ყველა განკარგულებებს, დაიცვას სასტიკი დისციპლინა და მტკიცედ და ურყევად იბრძოლონ ყველა უპასუხისმგებლო უდისციპლინო და ბოროტმომქმედ ელემენტების წინააღმდეგ, რომელთა მოქმედებაც ახალ-ახალ სისხლისღვრას იწვევს“. „ამხანაგ ზეიცის“ მიერ რამოდენიმე სტრიქონით ზევით აღიარებულ თანამშრომლობის შესახებ პოლიციასთან,—კრინტიც არ არის დაძრული.

შუადღეს სოციალ - დემოკრატიულმა პარტიამ გამოუშვა ახალი საინფორმაციო ბიულეტენი, რომელშიც ილაშქრებს კომუნისტების მოთხოვნის — მუშების შეიარაღების წინააღმდეგ. „ამ ლოზუნგის ცხოვრებაში გატარება,—სწერენ სოციალ - დემოკრატები,—ნიშნავს სამოქალაქო ომს, შეიარაღებულ კლასიურ ბრძოლას მთელი მისი საშუალებებით: სისხლისღვრით, სიმშილობით, ინტერვენციით, რესპუბლიკის დაღუპვით და სხ.“. ფურცელი მოუწოდებს მუშებს, რომ ისინი „სათანადოთ“ გაუსწორდენ კომუნისტ - აგიტატორებს.

სოციალ - დემოკრატების ყველა ამ ცდამ ემოქმედნათ მუშათა მასებზე და დაეპყროთ მუშათა მოძრაობა, უნაყოფოდ ჩაიარა. მთელი დღე ვენის ქუჩებში თავს იყრიდენ მუშების მრავალრიცხოვანი ჯგუფები, რომლებიც გაცხოველებით, შეუსუსტებელი მოუსვენრობით მსჯელობდენ მომხდარ ამბების გარშემო. პოლიციის ძალებმა თავი მოიყარეს ქალაქის ცენტრში, განაპირა უბნებში ისინი ვერ ბედავდენ ნაწილებით. ქალაქის ცენტრალურ ქუჩებში გამოჩენას. პარლამენტი დაცული იყო ჯარის ნაწილებით. ქალაქის ცენტრალურ ქუჩებში სჩხრეკდენ ყველა გამვლელ - გამომვლელს. იარაღის პოვნა უკვე საკმარისი იყო დაპატიმრებისათვის. თოფებით შეიარაღებულ მოდარაჯე პოლიციელთა პროვოკაციულმა მოქმედებამ მთლად აღაშფოთა მუშები. ნაშუადღევს ქალაქის განაპირა ადგილებში მოხდა ახალი შეტაკება. გერნალსსა და ოტაკრინგში მუშები თავს დაესხენ საპოლიციო საუბნო სამმართველოს. პოლიციელებმა სროლა აუტეხეს მუშებს და აი, ეს გახდა მიზეზი ნამდვილი ხელჩართული ბრძოლისა მუშებსა და პოლიციას შორის. მუშების მხარეზე აღმოჩნდა 6 მოკლული და მრავალი მძიმედ დაჭრილი, ხოლო პოლიციელების მხარეზე — 3 მოკლული. კარგა შებინდებამდე ქალაქის განაპირა ადგილებში არ შეწყვეტილა სროლა და შეტაკებები.

ავსტრიის ყოველი კუთხიდან მოვიდა ცნობა, რომ გაფიცვა მთელს ქვეყანას მოედო. გლაცსა, გლაგენფურტსა და ლინცში მოხდა დიდი დემონსტრაციები. იმ ხმებთან დაკავშირებით, რომ თითქოს ჰუნგრეთის მთავრობა ჯარს უყრის თავს ედენბურგის რაიონში, ბურგენლანდში იწყებს თავმოყრა შუცბუნდის რაზმებმა. ამასთან ერთად, მაიელს საზღვარზე ადგილობრივი მუშები თვითვე ადგენენ სანაპირო რაზმს და თვითვე აწარმოებენ კონტროლს. ტიროლში ჟანდარმები და პოლიცია მოემზადენ ბრძოლისთვის. ზეიპელმა გამოუშვა ბრძანება, რომელშიაც ის მთავრობის სახელით მადლობას უცხადებს პოლიციას მის მიერ „გამოჩენილ ენერგიისათვის“.

შაბათს პირველად გახდა შესაძლებელი მსხვერპლთა რიცხვის გამორკვევა. მიღებული ცნობების თანახმად; დახოცილთა რიცხვი აღწევს 80-ს. სოციალ - დემოკრატიული საინფორმაციო ბიულეტენის მიხედვით, დაჭრილთა რიცხვი აღწევს 400-ს. მაგრამ გამოირკვა, რომ, იმავე საღამომდე მოკლულთა რიცხვი 140-ზე ნაკლები არ არის, ხოლო დაჭრილთა რიცხვი აღემატება 1.500-ს. ყველა ჰოსპიტალები, კლინიკები და ამბულატორიები დაჭრილებით არის გავსებული.

იმ დროს, როდესაც ქუჩაში ბრძოლა სწარმოებდა, სოციალ - დემოკრატიული პარტიის ცეკას გამართული ჰქონდა სხდომა, ეძებდა გამოსავალს შექმნილი მდგომარეობიდან და ამასთან ერთად, ზეიცისა და ბაუერის საშუალებით მოლაპარაკებას აწარმოებდა ზეიპელთან. მოლაპარაკების შინაარსი არ ყოფილა გამოქვეყნებული.

ერთი კი აშკარად ცხადია: სახელდობრ ის, რომ გაფიცვის თანდათანი ლიკვიდაცია გახდა მთავრობასთან მათი მორიგების შედეგი. ამითვე აიხსნება სოციალ - დემოკრატების მიერ თავის „მოთხოვნების ერთი მეორეზე უკან წაღება. სოციალ - დემოკრატებმა ვერ გაბედეს მოეთხოვათ მთავრობის გადაგომა და დაკმაყოფილდენ მარტო პოლიციეპრეზიდენტის შობერის გადაყენების მოთხოვნით „ბრძანების გაცემისთვის სროლის ატეხის შესახებ“. მაგრამ სოციალ - დემოკრატებს ეს მოთხოვნაც მიაქვთ უკან და საბოლოოდ ძირს უთხრიან მთელს გაფიცვას. ყველაფერ ამას ასე ამართლებენ ისინი თავისი საინფორმაციო ბიულეტენში: „მუშათა კლასი უკუაგდებს ბრძოლის ყველა უღირს მეთოდებს და მოითხოვს მის დაკმაყოფილებას“.



ბარიკადები ვენის ქუჩებზე შეტაკებების დროს

### კვირა

კვირას მიმდინარეობს სოციალ - დემოკრატიული პარტიის საქალაქო კონფერენცია. ოტო ბაუერი სიტყვა სიტყვით ამბობს შემდეგს:

„რანაირად მძიმე არ არის ეს, ჩვენ მაინც ამჟამად უნდა აღვიჭურვოთ შეგნებით, რომ ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ მუშათა კლასისა და რესპუბლიკის ბედისთვის. უფრო მეტი: ასეთ ჟამს უნდა შევიგნოთ, რომ მხოლოდ ჩვენ, ან თითქმის სულ მარტო ჩვენ ვგრძნობთ ამ ქვეყანაში პასუხისმგებლობას ავსტრიის სახელმწიფოს ბედისთვის. ამიტომ ჩვენ უნდა დავძლიოთ ჩვენში ყოველი გრძნობა, სიფიცხე და გულდამშვიდებით ვიფიქროთ იმაზე, თუ როგორ მოვიქცეთ ასეთ განსაცდელის ჟამს“.

„ეხლანდელი მომენტი საკმაოდ სერიოზულია იმისთვის, რომ ის გამოვიყენოთ პოლიტიკური აგიტაციის მიზნით“. შემდეგ ბაუერი, ადასტურებს რა პოლიციის დანაშაულს სისხლის ღვრაში, მაინც აცხადებს, რომ ის არავითარ დანაშაულს არ ხედავს იმაში, თუ ხალხის მიერ ალყაშემორტყმული ცალკე პოლიციელები თავდაცვის მიზნით იძრობენ რევოლვერს.

„მაგრამ, — ამბობს ბაუერი,— ვენის ქუჩებში სხვა რამეც ხდებოდა: შუადღეს, როდესაც დემონსტრანტების უმრავლესობა უკვე დაშლილიყო, სროლა აუტეხეს სრულიად უდანაშაულო ხალხს, სანიტარულ რაზმებს, დაჭრილებს.

ამხანაგებო, მე მხოლოდ ერთხელ ვნახე რაღაც ამის მსგავსი, მაგრამ არა ომში, არამედ ფილმაში „ჯავშნოსანი პოტიომკინი“. ამასთან ერთად ბაუერი თავს ესხმის იმ მუშებს, რომლებიც ხელს უშლიდენ მეხანძრეებს ცეცხლის ჩაქრობაში, აგრეთვე იმათ, ვინც დაარბია საზიზღარ მემარჯვენე გაზეთების რედაქციები და საპოლიციო სამმართველოები, და აცხადებს, რომ „სოციალ-დემოკრატია პრინციპიალურად უარყოფს ასეთ ფაშისტურ მეთოდს“.

„რა უნდა ვქნათ ასეთი საფრთხეების პირობებში“?—კითხულობს შემდეგ ბაუერი. „მოთხოვნილება: „მოგვეცით იარაღები“, რომელსაც უყენებენ ყველგან მუშები თავის რწმუნებულთ, —ადამიანური ენით სრულიად გასაგებია. ამხანაგებო, მე უნდა აგიხსნათ, თუ რატომ არ გავბედეთ ჩვენ გააფთრებულ პროლეტარულ მასების უწყრიგოთ, უგეგმოთ შეიარაღება. მასიური შეიარაღება ასეთ დამძაფრებულ გრძნობების ჟამს—იქნებოდა აშკარა სამოქალაქო ომის დაწყება. **ჩვენი უპირველესი მოვალეობაა, რამდენადაც შეგვიძლია, ვერიდოთ ყოველგვარ ისეთს, რასაც შეუძლია გამოიწვიოს სამოქალაქო ომი**“.

ბაუერის სიტყვის გარშემო გამართულ კამათის დროს მაინც გამოირკვა, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტიის კონფერენციაში მონაწილე მრავალი რწმუნებული, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ჩვეულებრივ ინიშნებიან პარტიულ ორგანოების მიერ უფრო „გამობრძმედილ“ რეფორმისტულ ელემენტებიდან, ვერ შერიგებია პარტიის ოფიციალურ ხაზს, რომელიც ასე დაშორებია მასების სულიერ განწყობილებას.

რწმუნებულმა ფიშერმა განაცხადა, რომ მას ვერ გაუგია—„რანაირად შეუძლია სათემო პოლიციას ითანამშრომლოს სახელმწიფო პოლიციასთან?“ „ეს პოლიცია ჯერ კიდევ წინა დღით,—აცხადებს ფიშერი,—ესროდა მუშებს და ეხლა ჩვენ მასთან უნდა ვითანამშრომლოთ? ჩვენ არ შეგვიძლია ასეთ ხალხთან მუშაობა ერთად“. რწმუნებულმა მუხიალმა მოაგონა კრებას, რომ პოლიცია უმიზეზოდ ესროდა შუცბუნდს, მიუხედავათ ამ უკანასკნელის თავდაჭერითი გავლენისა დემონსტრანტებზე.

„მე ოთხი წელიწადი ვიყავი ომში და ერთი წელიწადი ტყვედ,—დაასრულა თავისი სიტყვა მუხიალმა,—დღემდე ჩემს თვალებს არ უნახავთ ცრემლი, მაგრამ როდესაც ცარიელ ხელებიანს დამიპირდაპირდა შეიარაღებული პოლიციელი, მაშინ კი ავტირდი“.

შემდეგ კონფერენციას აცნობებს, რომ უფროსი შემადგენლობა არ ენდობა ყაზარმებში ჩამწყვდეულ ჯარისკაცებს, რომ მათთან ახლო ნათესავებსაც კი არ უშვებენ და რომ მრავალი ნაწილი, განსაკუთრებით იქ, სადაც მრავლად არიან სოციალ-დემოკრატები, თანაუგრძნობენ მუშებს.

ყველა ამან ძალიან იმოქმედა დამსწრეებზე და, ბაუერის დასახმარებლად, პრეზიდიუმმა გამოუშვა იმ დღის ციურიხიდან ჰაეროპლანით ჩამოყვანილი ფრიდრიხ ადლერი. „ამჟამად მთელს ევროპაში,—განაცხადა ადლერმა,—ლაპარაკიც კი არ შეიძლება პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების რაიმე დაპყრობაზე. ამიტომ მღელვარება პატარა ავსტრიაში არაფერ შედეგს არ გამოიღებს. მაგრამ მაინც შეიქმნა რთული მდგომარეობა, რომლიდანაც საჭიროა გულდამშვიდებულად გამოსვლა“. სათემო პოლიციის შედგენა, ადლერის სიტყვით, იქნება მძიმე ტაქტიკური ლახვარი ავსტრიის რეაქციისთვის.

დასასრულ ბაუერი მოუწოდებს ვენის ქალაქის თვითმართველობას „დღეებით მუშაობის“ გაგრძელებისაკენ, რომელსაც ის სთვლის საუკეთესო მაგალითად და პროგრამად საერთაშორისო მუშათა კლასისთვის.

გაფრთხილებით. რომ საგაფიცვო ბრძოლის გაგრძელებას მოჰყვება „საბედისწერო სისხლის მღვრელი შედეგები“, სოციალ-დემოკრატი ლიდერები ახერხებენ რეზოლიუციის გატარებას საყოველთაო გაფიცვის შეწყვეტის შესახებ. დაპირებით ტრანსპორტის და ფოსტა-ტელეგრაფის მუშათა გაფიცვის „უვადო“ გაგრძელების შესახებ სოციალ-დემოკრატ ლიდერებმა განაიარაღეს ოპოზიცია საკუთარ პარტიულ აპარატშივე და შემდეგ ყოველგვარი კონფერენციის გარეშე, მხოლოდ მთავრობასთან შეთანხმებით „ახლო ხანში“ პარლამენტის მოწვევის საკითხზე, სწორედ ერთი დღე-ღამის შემდეგ პროფკავშირების საშუალებით იძლევიან განკარგულებას გაფიცვის შეწყვეტის შესახებ.

### აჯანყება ჩაფუშეს

მოძრაობა ჩაშლილია. ხელისუფლება და სოციალ-დემოკრატები დიდის გაჭირვებით ახერხებენ ქვეყნის „დაწყნარებას“. ხელახლა გამოსული ბურჟუაზიული პრესა, რასაკვირველია, არ ჰკარგავს დროს და ცილისწამების მორევში აგდებს მუშებს, კომუნისტებს და არ უშვებს შემთხვევას, რომ ამ ამბებში გაურიოს „მოსკოვის ხელი“, რისთვისაც ავრცელებს ცნობებს საბჭოთა აგიტატორების დაპატიმრების შესახებ, რაც შემდეგ ტყუილი აღმოჩნდა. ხელისუფლებამ მიმართა ავსტრიის რესპუბლიკის ისტორიაში გაუგონარ რეპრესიებს: 400 მეტი კაცის დაპატიმრება, ჩხრეკა, გაზეთების კონფისკაცია ევროპის „ყველაზე დემოკრატიულ“ ქვეყანაში.

ვენის ბურჟუაზია, რომელმაც ამ დღეებში განიცადა მისთვის უჩვეულო უდიდესი შიში, ეხლა ზეიმობს.

გაზეთ „შტუნდეს“ ცნობით, „ბირჟა კვლავ ოპტიმისტურად არის განწყობილი“.

უცხოეთი ქებას ასხამს ზეიპელის „სიმტკიცეს“ და ბაუერის „გონიერებას“. შიშით ვენიდან გაქცეული უცხოელები ნელ-ნელა ბრუნდებიან უკან.

„წესრიგი ზეიმობს“, მაგრამ ვენის მუშები არ დაივიწყებენ სისხლიანი პარასკევის გაკვეთილებს.

ტ. ს.

ვენა, ივლისი.

# სურებ-ჩოხატაურის გზა

კომპარტიის ამიერ-კავკასიის სალქო კომიტეტს შემოაქვს სურებ-ჩოხატაურის გზის სასარგებლოდ 1.000 მან.

ადგილობრივ თემების მცხოვრებთ უსურვებს წარმატებით მუშაობის დამთავრებას.

**მამია ორახელაშვილი.**

—:—

ამხ. სერგო ქორიძის გამოწვევით შემომაქვს ხთი მანეთი და ვიწვევ: „საქართველოს ღვინიდან": ირ. დავ. ფორაქაშვილს; კოლია შანიძეს, გრიგოლ ჭოჭუას და ზინო კალანდარაშვილს; მუშკოოპიდან": პარმენ თოთიბაძეს; შალვა ჭეიშვილს, გიორგი შეწირულს, ივანე ხუხუნაშვილს და ანდრო თოხაძეს; თბილისიდან: ექ. კალისტრატე; ლევ. შარაშიძეს, ილიკო ფირცხალაიშვილს და იასონ ლუკ. სიხარულიძეს; ბათუმიდან: ვანო არჩ. შარაშიძეს; ქობულეთიდან: ვლადიმერ თოდრიას.

**ბრიშა შარაშიძე.**

—:—

სურებ ჩოხატაურის გზის ფონდის გასაძლიერებლად ამხ. ტატიანა ჩხეიძის გამოწვევით შემომაქვს 10 მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ამხ. დათიკო ფანცულაიას; ფენია გეგეშიძეს; გუდავაძეს, სიმონ საყვარელიძეს, გოგი ოქუაშვილს; საშა ლუკაშევიჩს; ევა იაკობის ასულს ბიბინეიშვილს, ლენა ცილიკს; ვერა მალალოვს; ზაქრო სარდლიშვილს; ჯიოშვილს; ვასიკო სიმონის ძე ბურჭულაძეს, თამარა სილიბისტროს ასულ კოპლატაძეს, იაკიმე უშვერიძეს; ერმილე გერსამიას (რკ. გზ. მ. და გ. ინსპექციიდან), ელენა მაისურაძეს, მარო თაქთაქიშვილს, ლიპა კიკალეიშვილს სანაძისას, ოსკანა კობიძეს, კოკი ებრალიძეს; სოწია თალაკვაძეს (ცაკიდან); მაიკო ვანიძის ასულ ცხომელიძეს; მარიამ თაყაიშვილს; კატუშა ბერეჟიანის ასულ ჩხიკვიშვილს; ფასო ბერეჟიანს, ალვასი ცინცაძეს, მასწავლებელ სალომე ბერეჟიანს, თომა მეგრელიშვილს. ბათომიდან ქალთა განყ. გამგე ალვასი თალაკვაძეს, ოზურგეთის ქალთა განყ. გამგეს ამხ. ჯიბუდს, ზუგდიდის ქალთა განყოფილების გამგეს ამხ. ნადია გვახარიას; ქიათურიდან თედორე შაფათიძეს; სურებიდან იოსებ ძაბუნას ძე ბარამიძეს.

დამატებითი შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: თავსურიბიდან ძმებს სიმონიკა და გუნია მაკარის ძე კიკვაძეებს; მარეხი ვენედიქტე ბიბინეიშვილის ასულს; ლევო ვენედიქტს ძე ბიბინეიშვილს, ლენა სანიკიძეს, ხიდისთავიდან ხუხუნი შალვას ძე ქურციკიძეს, აბასთუმნიდან ამხ. ლილი მოსეს ასულს ღოღობერიძეს.

**ლოლა ბიბინეიშვილი.**

# ქრონიკა

### ამხ. ბურკოვის ჩამოსვლა

თბილისში ჩამოვიდა საკავშირო შრომის სახალხო კომისარიატის მთავარი ინსპექტორი ამხ. ბურკოვი. მისი ჩამოსვლის მიზანია შრომის პირობების და შრომის დაცვის საკითხების შე-

### რამმე და რიხტერი

თბილისში ჩამოვიდა ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი ზოოლოგიურ დარგში რამმე და ბერლინის უნივერსიტეტის სამეცნიერო თანამშრომელი — რიხტერი.

მათი ჩამოსვლის მიზანია ა.-კავკასიაში გავრცელებულ მწერთა შესწავლა.

ამიერ-კავკასიაში პროფ. რამმე და რიხტერი 2 ნახ. თვეს დარჩებიან.

### კომისიის ჩამოსვლა

გუშინ ახალციხის მაზრიდან დაბრუნდა სპეციალური კომისია, რომელსაც დავალებული ჰქონდა გამოერკვია ინფუზორიტის დამუშავების საკითხები.

კომისიამ ამოირჩია ადგილი ინფუზორიტის გადასამუშავებელი ქარხნისათვის.

### პროფ. ლეენევის გამგზავრება

თბილისიდან ბორჯომში გაემგზავრა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი და უროლოგიური კლინიკის დირექტორი ნ. დ. ლეენევი.

ბორჯომში პროფ. ლეენევი იმუშავებს ბორჯომის სანატორიუმში უროლოგიური კლინიკის გასახსნელად.

### ჯანსახკომების წარმომადგენელთა თათბირი

გუშინ საღამოს ჯანმრთელობის სახ. კომისარიატში გაიხსნა ა.-კ. რესპუბლიკათა ჯანმრთელობის სახ. კომისარიატების სამკურნალო განყოფილებათა წარმომადგენლების თათბირი.

თათბირზე გასარჩევათ დასმული იყო ორი საკითხი — სამკურნალო ნორმების გათანასწორება ა.-კ. რესპუბლიკებში და სამკურნალო დარგში 5 წლიანი პერსპექტიულ გეგმების შეთანხმება.

### ავიალატარია

საკავშირო მე-ორე ავიალატარიის 25.000 ბილეთიდან, რომელიც მიღებულია თბილისში, 15.000 ბილეთი გასაღდება თავდაცვა-ავიაქიმის ხაზით, ხოლო დანარჩენ 10.000 ბილეთს გაასაღებს სახელმწიფო ბანკი.

უკვე დაიწყო მოთხოვნილებების მიღება საჰაერო ლატარიის ბილეთებზე; ჯერ-ჯერობით მოთხოვნილია 5.000 ბილეთი. კერძოდ, არმიის მხრივ მოთხოვნილია 200, ლიუქსემბურგიდან (ბორჩ. მ.) 1.000 მანგლისიდან — 600 და თბილისის თავდაცვა-ავიაქიმის მეოთხე რაიონიდან — 3000 ბილეთი.

### ოქტომბრის რევოლუციის 10 წლის თავისთვის

სტატისტიკის ცენტრალური სამმართველო, ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის თავის აღსანიშნავად ამზადებს სტატისტიკურ პოპულიარულ ატლასს დიაგრამებით ფერადებში. ატლასის პროგრამა-შინაარსის დამუშავება დაევალა სპეციალურ კომისიას.

### 10 პროცენტიანი შერჩევითი სას. სამ. აღწერა

სტატისტიკის ცენტრალურმა სამმართველომ ჩატარა საქართველოს ყველა მაზრებში და ავტონომიურ რესპუბლიკებში სასოფლო სამეურნეო 10 პროცენტიანი შერჩევით აღწერა. აღწერა ამჟამად თითქმის ყველგან დამთავრებულია. ამ დღეებში დასრულდება აღწერის მასალების შეკრება ადგილებიდან, რის შემდეგაც ცენტრალური სამმართველო შეუდგა მასალების დამუშავებას.

### თბილისის აღმასკომში

◆ **ჯარისკაცთა ბაზრის** კეთილმოსაწყობად და გადასაკეთებლად გადადებულია 50.000 მანეთი.

◆ **განაპირა უბნებში** ქუჩების მოსაკირწყლავად კეთილმოწყობის კანყოფილებას გადაეცა 22,000 მან.

◆ **ქალაქის ელსადგურები.** დღემდე მაზრებს შორის განაწილებული იქნა ზაჰესის ამუშავების გამო გაუქმებული 16 ელსადგური.

◆ **მუშათა ახალი სახლი.** აღმასკომი წყალსადენის მუშებისათვის ჟორესის ქუჩაზე შეუდგა ახალი სახლის აგებას.

### შრომის სახ. კომისარიატში

◆ **ზედმეტი საათების მუშაობის** მოსასპობათ შრომის სახ. კომისარიატმა შეიმუშავა დებულება, რომლის ძალით დაჯარიმებული იქნება ის ადმინისტრაცია რომელიც დაუშვებს ზედმეტი საათების მუშაობას.

◆ **უმუშევართა კოლექტივი.** ამჟამად თბილისში არსებობს უმუშევართა 9 კოლექტივი რომლებშიაც ირიცხება 400 კაცი.

◆ **პარიკმახერთა კოლექტივი.** შრომის ბირჟასთან არსდება უმუშევარ პარიკმახერთა კოლექტივი.

### განათლების კომისარიატში

◆ **კონფერენცია.** სექტემბერს თბილისში შესდგება სკოლების ინსტრუქტორთა კონფერენცია.

◆ **ლენინის სახელობის** პოლიტეხნიკუმში წელს მიიღებენ 150 მსმენელს, აქედან 50 ადგილი დაეთმობა მუშფაკის კურსდამთავრებულებს.

◆ **სწავლის დაწყება.** ყველა ტიპის სკოლებში სწავლა დაიწყება 15 ენკენისთვეს.

◆ **მოწაფეთა მიღება.** გამოცდები, კოლოკვიუმები, ჯგუფიდან-ჯგუფში გადაყვანა და სხ. იწარმოებს 1 ენკენისთვიდან 15 ენკენისთვემდე.

◆ **მასწავლებლების გამოცხადება.** განათლების კომისარიატის დადგენილებით პირველ და მეორე საფეხურის სკოლების მასწავლებლები სკოლებში უნდა გამოცხადდენ 1 ენკენისთვეს.

◆ **ახალი ტეხნიკუმი.** მომავალ სასწავლო წლიდან თბილისში დაარსდება ქიმიურ-ფარმაცევტიული ტეხნიკუმი, რომელშიაც მიიღებიან ცხრა წლედის კურსდამთავრებულნი. განცხადებების მიღება იწარმოებს 1—25 აგვისტომდე.

### ჯანსახკომში

◆ **თვალის ექიმთა რაზმი.** ჯანსახკომმა სიღნაღის და რაჭის მაზრაში მიავლინა თვალის ექიმთა რაზმები.

◆ **სოფლის „ბებიებთან"** ბრძოლის გასაძლიერებლად შორაპნის მაზრაში და სამხრეთ ოსეთში გაიგზავნა სამშობიარო კაბინეტები საჭირო ექიმებით.

◆ **ტროპიკულ სნეულებებთან მებრძოლ ინსტიტუტისათვის** ჯანსახკომი შეუდგა ახალი შენობის აგებას.

### სხვადასხვა

◆ **ახალი შოფერები.** შოფერების კურსები დაამთავრა 30 კაცმა.

◆ **იურიდიულ ცნობათა კრებული.** ახლო ხანში თბილისში გამოვა იურიდიული ცნობათა კრებული.

◆ **უმუშევრებს** 1 სექტემბრიდან დაურიგდებათ გადიდებული დახმარება.

# შემთხვევები

◆ თეთრ დუქნთან ღამის გასათევათ დაბანაკებულ მეცხვარეს მოსე ბუჩუკურს მოპარეს 26 სული ცხვარი.

◆ **თავის მოწამვლა.** 26 ივლისს ოჯახური უსიამოვნების ნიადაგზე თავი მოიწამლა ევგენია კიმოთეს ასულ ანიკოვმა.

◆ **საფიქრო სინდიკატში.** გლეხს ივანე ჯიჯიკურს 26 ივლისს ჯიბიდან ამოაცალეს 60 მანეთი.

◆ **სახელოსნოს გაქურდვა.** 26 ივლისს ლაზარევის ქუჩა № 76 გაქურდეს არტაშ ასლანოვის ფეხსაცმელების სახელოსნო.

◆ **თათრის მოედანზე** 26 ივლისს ზარო არუთინოვს ჯიბიდან ამოაცალეს 75 მანეთი.

◆ **ღია კარებში შეპარვის** საშუალებით ტროცკის ქუჩა № 26 გაქურდეს იაკობ საფაროვის ბინა. წაიღეს 150 მანეთის ნივთები.

◆ **ფიზკულტურის საბჭოს** შენობიდან 26 ივლისს მოიპარეს ორთქლით მთბობი მანქანის მინომეტრი და ელექტრონის ლამფები.

◆ **სავაჭროს გაქურდვა.** 26 ივლისს ღვინის აღმართი № 21 გაქურდეს ნიკოლოზ ქრისტეფორისძე მეტრეველის სავაჭრო.

◆ **მორგებული გასაღების** საშუალებით 26 ივლისს ვეძინის ქუჩა № 28 გაქურდეს სედრაკ პოღოსოვის ბინა. წაიღეს 180 მანეთის ნივთები.

◆ **ქურდობა.** 26 ივლისს პოდვოდნის ქუჩა № 6 ჰეჭიკო ალხაზიშვილს ჯიბიდან ამოაცალეს 80 მანეთი.

### ბრძოლა ხულიგნობასთან

1927 წლის პირველ იანვრიდან დღემდე მორიგ კამერაში გასამართლებული იქნა 400-ზე მეტი მოქალაქე, რომელთაც ბრალდებოდათ ქუჩებში წესრიგის დარღვევა და დებოშების მოხდენა.

# ხელოვნება

### რევოლუციონური სატირის თეატრი თბილისში

განათლების კომისარიატის ხელოვნების განყოფილებას განზრახვა აქვს თბილისში დაარსოს რევოლუციონური სატირის თეატრი. ამ მიზნისათვის მუშაობა დიდი ხანია სწარმოებდა, მაგრამ საკმაო თეატრალურ ძალების და თანხის უქონლობის გამო ეს საკითხი ვერ იქნა გადაწყვეტილი.

ამ ჟამად კი, როგორც ვიცით, თბილისში იმყოფება ქუთაისის ავიტ-რეველ. სატირის თეატრი „წითელი სარკე", რომლის ხელმძღვანელად მოწვეულია ახალგაზრდა რეჟისორი ნიკ. გოძიაშვილი; ის იმუშავებს „წითელი სარკის" ხელმძღვანელ კ. დოლიძესთან შეთანხმებით.

მუშათა კლუბების თხოვნით ნიკ. გოძიაშვილმა შუამდგომლობა აღძრა ხელოვნების განყოფილების წინაშე, რათა „წითელი სარკე" დატოვებული იქნეს თბილისში და მიეცეს მას საკუთარი შენობა. ამ საკითხის განსახილველად დღეს ხელოვნების განყოფილებაში შესდგება თათბირი—თეატრისათვის სუბსიდიისა და შესაფერ შენობის გამოსანახავად.

აკ.

—:—

## ხელოვნების ქრონიკა

◆ **„სამ ნაძვში".** მედსანშრომის მუშაკთა კლუბში დღეს ლენინგრადის ოპერეტის თეატრის მიერ წარმოდგენილი იქნება „სამ ნაძვში".

◆ **ოპერის მომღერლები ონში.** 29 ივლისს ქ. ონში გაიმართება დიდი კონცერტი მომღერალ გ. ვენაძის, სვანიძის, მრავალის და სხ. მონაწილეობით.

◆ **დიდი საღამო კონცერტი.** პარასკევს 29 ივლისს ბაღ „არტო"-ში გაიმართება დიდი საღამო-კონცერტი

◆ **„ილიადა" ქართულად.** პეტრე მირიანაშვილმა ქართულად თარგმნა ჰომეროსის „ილიადა.

◆ **წითელ არმიელთა და ფლოტის** საზაფხულო კლუბში ხვალ 29 ივლისს გაიმართება ლენინგრადის ოპერეტის თეატრის წარმოდგენა.

◆ **„მაქსიმ მაქსიმესძე".** კინო „ეთერსა" და „დარბაზში" დაიწყო ახალი სურათის „მაქსიმ მაქსიმესძე"-ს ჩვენება დ დგმა ბარსკის.

◆ **აკადემიური დრამის** სეზონის გახსნა განზრახულია 15 ოქტომბრისათვის.

◆ **სამხატვრო აკადემიაში** მსურველთა განცხადებების მიღება დაიწყება 1 აგვისტოდან და გაგრძელდება 1 სექტემბრამდე. მოწაფეები მიიღება არა ნაკლები 17 წლისა.

### დღეს კინოებში

— **მინიონში** — „პროვინციალი"
— **არფასტოში** — „მაქსიმ მაქსიმეს ძე"
— **დარბაზში** — „მაქსიმ მაქსიმეს ძე"
— **ოდეონში** — „ადამიანი კომეტაზე"
— **პალასში** — „ვუ-ფანგის საიდუმლოება"
— **აპოლოში** — „ტარას ტრიასილო"
— **ეთერში** — „მაქსიმ მაქსიმეს ძე"

# მოძრაობის ახალი წესი

### თბილისის ქუჩებზე

გუშინ დილიდან თბილისის აღმასკომის ადმინისტრატიული განყოფ. დადგენილებით თბილისში შემოღებული იქნა ქუჩებზე მოწესრიგების ახალი წესი. ქალაქის იმ მოედნებზე და ქუჩებზე, სადაც გაცხოველებული მოძრაობა სწარმოებს დადგმულია მილიციელის საგუშაგოსთან სემაფორი. სემაფორის საშუალებით საგუშაგოზედ მდგომი მილიციელი იძლევა მოძრაობის მიმართულების გეზს.

სემაფორების გამოყენების შესახებ მილიციელებს მიცემული აქვთ დარიგებები და ინსტრუქციები. სემაფორები ქალაქში ამჟამად დადგმულია რვა სხვადასხვა ადგილას.

ახლო ხანში ასეთივე სემაფორები დაიდგმება ქალაქის სხვა უბნებშიაც.



სურათზე მილიციელი სემაფორის საშუალებით აწესრიგებს მოძრაობას.

# რკინისგზაზე

### შემთხვევა სადგ. თბილისში

26 ივლისს, დაახლოვებით ღამის 11 საათზე, სადგ. თბილისში მატ. № 100-ს შემოსვლის დროს მეექვსე ხაზზე, ისარზე ერთ-ერთ დატვირთულ ცისტერნას გაუტყდა ღერძი. ცისტერნა გადავარდა ლიანდაგიდან. ჩავარდნის დროს ზედ სადგარს მოგლიჯა ქვაბი და დაეცა მიწაზე. ამის გამო სადგ. ნავთლუღის მხრივ რდოებით დაიკეტა მე-5, 6 და 7 ხაზები.

### სადგ. კიურაკ-ჩაისთან

26 ივლისს დაახლოვებით დილის 11 საათზე სადგ. კიურაკ-ჩაისთან მატ. № 114-ს მიახლოების დროს, სემაფორსა და შესავალ ისრის შუა მატარებლის შემადგენლობიდან, ერთ ცისტერნას მოძვრა ღერძის ყელი, რის გამო ცისტერნა ასცდა ლიანდაგს.

ხაზი დაზიანდა 300 მეტრის მანძილზე. ადამიანთა მსხვერპლს ადგილი არ ჰქონია.

განჯიდან შემთხვევის ადგილზე გაიგზავნა დამხმარე მატარებელი, რომლის საშუალებით ცისტერნა ამოიღეს და მოძრაობა აღადგინეს ნაშუადღევის 5 საათზე.

# სასამართლო

### „ქმარი" შეცდომით

— ზაქრო ხარ?

— ჰო, ზაქრო ვარ.

— მერე, სად იყავი აქამდე?

ნუშკა ტ-ძისას გადაწყვეტილი ჰქონდა არ შერიგებოდა თავის ქმარს. მეტად გულმოსული იყო, რადგან ქმართან ერთად დღეობაში წავიდა, ქმარი კი ქეიფს არ მოსცილდა და მარტო გამოისტუმრა თავისი ცოლი. რომ არ ყოფილიყო დღეობაში „კეთილი" მეზობელი სოსიკო მულაძე, გამცილებელიც არავინ აღმოუჩნდებოდა.

— როგორ გამიშვა მარტო! ნუ თუ ამაზე მეტი პატივისცემა არ აქვს ჩემი? რა იქნებოდა ქეიფი დაეთმო ჩემი გულისთვის? — ედავებოდა თავის თავს ნუშკა და ასეთ ფიქრებში გართულს ჩაეძინა.

ძილში სულ გაუქარვდა გულის ჯავრი. ოთახში ფეხის ხმა მოისმა. ქალი გამოერკვა ზეზე შეკრთალი და ათრთოლებული, ერთი საყვედური წამოსცდა, მაგრამ საყვედურის სათანადო სიტყვა არც კი მოუმზეინია, ნახევრად მძინარემ ჩაიკრა გულში „ქმარი" და თავდავიწყებით დაუწყო ალერსი...

„ცოლ-ქმარი" შეცურდენ ვნების ზღვაში, მაგრამ ვნების ზღვაში რომ ნისლი გადაირეკა „ზაქრო" აღარ ჰგავდა ზაქროს.

ქალი გაოცებული დაიცეცებს ხელებს.

ტანისამოსი ზაქროსი არ არის!... აღც ულვაში... არც ცხვირი მიუგავს ზაქროს!

ქალი ცახცახით აფათურებს ხელებს სიბნელეში.

— ზაქრო ხარ? — აცახცახებული ხმით ეკითხება ხელმეორედ ქალი.

— ზაქრო ვარ. მაშ ვინა ვარ?

— არა ზაქრო არა ხარ!

— რას ამბობ, გენაცვალე, ჩემმა მზემ ზაქრო ვარ.

— ღმერთო ჩემო, ეს ულვაში.. ეს ცხვირი.. მეშინია არ გავგიჟდე... შენ არა ხარ ზაქრო!— ქალი თრთის

— ზაქრო ვარ იძახის მამაკაცი და თანაც წელ-წელა მიძვრება ლოგინიდან.

— არა ხარ ზაქრო!...

— კარგი, ვსთქვათ, რომ არავარ ზაქრო. ჰერი რა!.. რა მოხდა!?

— უი, ჩემს დღეს!... ეს რა გაიგონა ჩემმა ყურმა... მიშველე...ე...თ...

ქალი ჰკივის, მამაკაცი გარბის, ქალი დაეწევა მამაკაცი გაუსხლტება ხელიდან და ვაიქცევა. ქალის კივილზე შეიკრიბებიან მეზობლები, ასტყდება ჩოჩქოლი, დაიჭერენ „უკანონო ქმარს", რომელიც აღმოჩნდა ზაქროს მეზობელი სოსიკო მულაძე.

ეს ამბავი მოხდა ა.-წ. 6 ივლისს ღამით სოფელ ტკიცაში (გორის მაზრა).

სოსიკო მულაძე დააპატიმრეს.

საქმე გაარჩია აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სესიამ ამხ. სიჭინავას თავმჯდომარეობით.

ბრალდებულ სოსიკო მულაძეს ქალის გაუპატიურებისათვის მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა ერთი წლით და ექვსი თვით.

გერ.

### შარაშიძის და ჯაბადარის საქმე

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლო უკვე შეუდგა თბილისის სისხლის სამართლის მილიციის ყოფილ თანამშრომლების პავლე შარაშიძის და ალექსანდრე ივანეს ძე ჯაბადარის საქმის გარჩევას. მათ ბრალად ედებათ კავშირი ქურდ-ბაცაცებთან, ბოროტმოქმედების აღმოჩენისათვის გამოწერილი თანხების მითვისება და მთელი რიგი სხვა ბოროტმოქმედებებისა.

გუშინ სასამართლოს სხდომაზე გრძელდებოდა მოწმეების დაკითხვა.

სასამართლოს შემადგენლობა:

თავმჯდომარე — ამხ. **ბერიშვილი**, პროკურორი — ამხ. **კიკაბიძე.**

ბრალდებულებს იცავენ დამცველთა კოლეგიის წევრები: **შ. მესხიშვილი, მ. ღვამიჩავა. პ. საყვარელიძე.**

ც.

### კაცის მკვლელი

გასული წლის ზაფხულში ბორჯომის რაიონში ნახეს მოკლული კაცის გვამი, რომელიც აღმოჩნდა რკინის გზის სადგურის დარაჯი პეტრე ნოზაძე.

ბოროტმოქმედების გამოძიების დროს ეჭვი მიიტანეს მოქ. ალექსანდრე გურგენიძეზე, რომელსაც მუდამ ჩხუბი ჰქონდა ნოზაძესთან მიწის გარშემო.

როცა ალექსანდრე გურგენიძის დასაპატიმრებლად მივიდენ ადმინისტრაციის წარმომადგენლები, ალექსანდრე სახლიდან უკვე გაქცეული იყო. ადმინისტრაციამ დააპატიმრა ალექსანდრეს მამა მათე გურგენიძე, რომელმაც რამდენიმე დღის შემდეგ თავი ჩამოიხრჩო ციხეში.

გავიდა დრო და ალექსანდრე გურგენიძე ჩამოვიდა თბილისში და ცაკში შეიტანა განცხადება, რომ არ მას, არც მის მამას არავითარი ბრალი არ მიუძღვით მოქ. ნოზაძის მოკვლაში.

დაინიშნა საქმის ხელმეორედ გამოძიება. ალექსანდრე დაპატიმრეს. გამოძიებით სავსებით დადასტურდა, რომ მკვლელი არის ალექსანდრე გურგენიძე.

სასამართლომ ბრალდებულს მიუსაჯა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა.

# შრომის ბირჟაში

### მუშა-ხელის მოთხოვნილება

დღეს 28 ივლისს შრომის ბირჟა სამუშაოზე გასაგზავნათ იწვევს შემდეგ უმუშევრებს:

**საწარმოვო კვალიფიციურ მუშათა 1-ლ სექციიდან:** ალექსანდრე ჟურულს, შალვა ელენტს, მარო შენგელიას, სიმზა ინდიაშვილს, სოფიო მეტრეველს ვალენტინა საენკოვას, პარამზემ აირაპეტოვს, მისაკ მინასიანს და მინა ბორტკინს.

**გონებრივ მუშაკთა მე-2 სექციიდან:** ნიკოლოზ ცეცხლაძეს, ივანე ქურთიაშვილს და რაჟდენ უშვერიძეს.

**შავ მუშათა მე-3 სექცია:** ილია გაგრაძეს, ალექსი ჩატალიშვილს, პეტრე ნარსიას, ილია ვიჟიმურელს, იოსებ მუხიგულიშვილს, გ. სანოიანცს, გეორგ დავიდოვს, ლევან ჩაჩანიძეს. ლავრენტი შავერდოვს ოსიფ მარტიროსიანცს, კაზარ კარაპეტიანს, ანტიკა მომცემლიჩეს, იოსებ მინდიაშვილს, დიმიტრი ზხიკაძეს, ილია პილიევს, გიორგი აბუაშვილს, ალექსანდრე ცანავას, მ. მარელაშვილს, გიორგი იგნატიევს, სიმონ სვანიძეს ალექსანდრე ჩანდიევს, ილია ჯურიევს, არტაშეს რუფინოვს, ანდრო მელგონიანს, ხეროფ გასპაროვს, სუმბათ პეტროსოვს, ბენიამინ მახარაძეს და ნესტორ შერმადინს.

**მეშვიდე სექცია:** ნიკოლოზ კელჩევსკის და ნიკოლოზ გრიგორიევს.

# მოდელების შეჯიბრი

24 და 25 ივლისს გაიმართა ჰაეროპლანის მოდელების სრულიად საქართველოს შეჯიბრი. შეჯიბრში მონაწილეობა მიიღეს: თბილისის, სამხრეთ-ოსეთის, ქუთაისის და ბათომის თავდაცვა-ავიაქიმის მოდელისტთა უჯრედებმა.

მიუხედავად შეჯიბრისათვის არახელსაყრელი პირობებისა (ქარი იყო), შეჯიბრმა მაინც კარგი შედეგები გამოიღო. მოდელების უმეტესი ნაწილი გაფრინდა 200 მეტრზე. კერძოდ, ამხ. სუკიასოვის მოდელი ისე შორს გაფრინდა, რომ დაიკარგა ღრუბლებში.

სხვათა შორის, შეჯიბრის მიზანი იყო საქართველოს საუკეთესო მოდელისტების შერჩევა და მათი სრულიად საკავშირო შეჯიბრზე გაგზავნა.

26 ივლისს ამ მიზნით შესდგა საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის საავიაციო-ტეხნიკური სექციის სხდომა, რომელზედაც მოდელისტებიდან გამოყოფილ იქნა შვიდი საუკეთესო მოდელისტები და გაიგზავნა მოსკოვში სრულიად საკავშირო მოდელების შეჯიბრზე.

ამ შვიდ მოდელისტიდან,— 4 თბილისელია, ერთი ბათომელი, ერთი ქუთაისელი და ერთიც სამხრეთ-ოსეთიდან.

# მტრედების

### გამოფენა და შეჯიბრი

ამიერ-კავკასიის თავდაცვა-ავიაქიმი 12, 13 და 14 აგვისტოს წითელი არმიის და ფლოტის სახლში აწყობს მტრედების გამოფენას და შეჯიბრს.

ამისათვის გამოყოფილია სპეციალური კომისია და ჟიური.

გამოფენის კომისიაში შედიან: ამხ. ზემბლევიჩი, ბაჩმანოვი, წილოსანი და ერთი წარმომადგენელი წ. ა. ფ. სახლიდან.

შეჯიბრის ჟიურები — ამხ. ეგიკოვი, როზე, ებანოიძე, წილოსანი, ლუცენკო და წარმომადგენლები ფიზკულტურის საბჭოდან და მონადირეთა კავშირიდან.

გამოფენაში მიიღებენ მონაწილეობას მტრედები ყველა მუდმივ და მოძრავ სადგურებიდან, რომლებიც არსებობენ ამიერ-კავკასიაში და აგრეთვე ყველა მსურველთა მტრედები.

საუკეთესო სადგურისა და მტრედებისათვის ჯილდოს მისაცემად გადადებულია 150 მანეთი.

# ფეხბურთი

### თბილისის „დინამო" უკრაინაში

თბილისის ფეხბურთელთა გუნდ „დინამო"-ს, რომელიც შეჯიბრების გასამართავად გაემგზავრა საბჭოთა კავშირში, პირველი შეჯიბრი ჰქონდა 23 ივლისს ქ. გორლოვკაში (დონის ბასეინი); შეჯიბრი დამთავრდა 4:2 თბილისელების სასარგებლოდ.

მეორე დღეს იქვე გაიმართა მეორე შეჯიბრი ქალაქის ნაკრებ გუნდთან; ეს შეჯიბრიც თბილისელებმა მოიგეს 2:1.

### „არსრაიონი"—„საგზ.-სატრ. სახელ. პ. ს".

პარასკევს, 29 ივლისს, ნაშუადღევის 5 ნახ. საათზე, „დინამოს" სტადიონზე გაიმართება „არსრაიონის" და „საგზაო სატრანსპორტო სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს გუნდის ამხანაგური შეჯიბრი.

ორივე ამ გუნდმა ქალაქის პირველობის გათამაშების დროს ერთეულების ერთნაირი რაოდენობა მოაგროვა და მეორე ადგილზე გამოვიდა.

კალენდარული შეჯიბრი მათ შორის დამთავრდა 6:2 სახელ. პოლიტსამმართველოს სასარგებლოდ.

### კავკავის „დინამო"-ს ჩამოსვლა

ამ დღეებში თბილისში ჩამოვა კავკავის ფეხბურთელთა გუნდი „დინამო", რომელიც აქ გამართავს ორ შეჯიბრს.

შეჯიბრი განზრახულია 2 და 3 აგვისტოს. სტუმრებთან ითამაშებენ საგზაო-სატრანსპორტო სახელმწიფო პოლიტსამმართველოს გუნდი („დინამო" მეორე) და „არსრაიონი".

# იურიდიული დახმარება

სტუდ. ივ. ფუთურიძეს (უნივერს. მოწ.

### პასუხი

სპეციალურ სამუშაოში მისაღებათ საჭიროა სათანადო ცოდნა-გამოცდილება, პროფესიული მომზადება, სამსახურობრივი სტაჟი და სხ. მარტო სიღარიბე არ შეიძლება დაედვას, როგორც თქვენ გგონიათ, საფუძვლად სამსახურში მიღებას. სიღარიბე და სოციალური მდგომარეობა სამუშაოს მთხოვნელს აძლევს უპირატესობას თანასწორ კვალიფიკაციის დროს. ამიტომ ს. მუხიანის პარკის ფარდულის გამგეს ვერ გაამტყუნებთ მხოლოდ იმისათვის, რომ მან მიიღო სამუშაოზე სპეცები და თქვენს განცხადებას არ მიაქცია ყურადღება.

ორულ-ერგეტის (ზუგდ. მაზრა) მცხ. **კონსტანტინე მიქაიას**

### პასუხი

თუ კი ის ბრალდება, რომელიც თქვენ წინააღმდეგ იქნა წამოყენებული, დაკავშირებული იყო თქვენ სამსახურთან და იგი წამოაყენა თქვენმა ადმინისტრაციამ, სასამართლომ კი უარყო ეს ბრალდება და თქვენ გაამართლა სრულიად, ან და საქმე მოისპო წარმოებით, მაშინ ადმინისტრაცია ვალდებულია მოგცეს ხელფასი მთელი გაცდენილი დროის განმავლობაში, დაგაბრუნოს იმ დაწესებულებაში, სადაც თქვენ მუშაობდით და მოგცეს ძველი ანდა თანაბარი კვალიფიკაციის სხვა სამუშაო. (იხ. 1925 წ. 16 იანვრის შრომის კანონთა კოდექ. მუხ. 47 აბზ.„ე"-ხი ა.-კ. შრომის სახკომატის განმარტების მუხ. 3).

კავშირის წევრს (წიგნ. № 21965) **ნესტორ ბიბილაშვილს**

### პასუხი

თქვენი ცოლის ძმის ქვრივს აქვს კომლის ძირითად წევრთა ყველა უფლებები კომლის საერთო მიწის და ქონების სარგებლობაში. მას აუცილებლად უნდა მიეცეს აღნიშნული ქონების მესამედი წილი ობლებთან თანაბრად. აღნიშნული ქვრივი ითვლება გარდაცვალებული ქმრის სამემკვიდრეო ქონების მემკვიდრედ ისე, როგორც მისი სხვა ობლები. ამიტომ ოჯახიდან მისი გაგდება უწილოდ, როგორც თქვენ ეს გსურთ, ყოვლად შეუძლებელი და დაუშვებელია.

(იხ. მიწის კოდექსის მუხ. 40 და მასთან დართული შენიშვნა და სამოქალაქ. სამართლის კოდექსის მუხ. 418).

# ოფიციალ. განყოფილება

### დადგენილება № 57

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლ. სახალხო კომისართა საბჭოსი**

### სისხლის სამარ. კოდექსისათვის $121^1$ მუხ. დამატების შესახებ

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-11 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თათბირისა და 77 ნომრის დადგენილების მე-2 მუხ. თანახმად, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს ს. ს. რ. სისხლ. სამ. კოდექსს დაემატოს $121^1$ მუხ. შემდეგი შინაარსისა:

მუხ. $121^1$ მილიციის სამწყობრო შედგენილობისა, სისხ. სამ. მაძიებელი მილიციის აქტიური შემადგენლობის ან და თავისუფლების აღკვეთის ადგილების საადმინისტრაციო-სამწყობრო შედგენილობის პირთა მიერ თვითნებისად ვადამდე თავისი სამსახურის მიტოვება გამოიწვევს:

თავისუფლების აღკვეთას ექვს თვემდე.

ხოლო, უკეთუ იგივე ქმედობა ჩადენილია ბრძოლის პირობებში ან საკომანდო სამწყობრო შედგენილობის პირთა მიერ— თავისუფლების აღკვეთას არა ნაკლებ ექვსი თვისა.

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე**
**ფ. მახარაძე.**

**საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე**
**ლ. ქართველიშვილი.**

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი—**
**შ. მათიკაშვილი.**

1927 წ. ივნისის 23.
თბილისი—სასახლე.

# პარტიული კალენდარი

პარასკევს, 29 ივლისს, საღამოს 6 საათზე, რაიკომის შენობაში (პლეხანოვის № 96) შესდგება უჯრედების მდივნების თათბირი.

თავდაცვა-ავიაქიმის ხელის შემწყობი საზოგადოების არსენალის რაისაბჭო იუწყება, რომ ხუთშაბათს, 28 ივლისს, საღამოს 7 საათზე, რაისაბჭოს შენობაში მოწვეულია რაისაბჭოს პრეზიდიუმის სხდომა.

საქ. ცენტრ. საკონტრ. კომისია წინადადებას აძლევს ამხ. ლეონტი ტყაბალაძეს, რომ დღეს, 28 ივლისს, 9 საათზე გამოცხადდეს საქართ. ცენტრ. საკონტრ. კომისიაში (რუსთაველის პრ. № 24, მესამე სართული, ოთახი № 11).

საქართველოს რემედასის ცეკა იუწყება, რომ დღეს, 28 ივლისს, საღამოს 6 საათზე, შესდგება პრეზიდიუმის მორიგი სხდომა.

ყველა წევრების დასწრება სავალდებულოა.

---

**განათლების მუშაკთა პროფკავშ. ცენტრ. გამგეობასთან არსებული სამეცნიერო მუშაკთა სექციის ბიურო მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას სექციის წევრის**

**დავით გიორგის-ძის კარიჭაშვილის**

**გარდაცვალებას.** ნ. 1508

---

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობა ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ გარდაიცვალა უნივერსიტეტის სიძველეთა მუზეუმის გამგე

**დავით გიორგის-ძე კარიჭაშვილი**

სამოქალაქო პანაშვიდი ხუთშაბათს, 28 ივლისს, საღამოს 7 საათზე, ბინაზე მელიქიშვილის (ყ. წყნეთის ქ.) 30, გამოსვენება ბინიდან პარასკევს, 29 ივლისს, ნაშუადღევის ხუთის ნახევარზე. დაკრძალვა დიდუბეში. 1507

---

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყება ამავე საზოგადოების დამფუძნებელი წევრის და საზოგადოებისა და საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგის, საზოგადო მოღვაწისა და ისტორიკოსის

**დავით კარიჭაშვილის**

გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი საკუთარ ბინაზე (მელიქიშვილის, ყოფ. წყნეთის ქ., № 30) ხუთშაბათს, ივლისის 28, საღ. 7 ს. გამოსვენება დიდუბის პანთეონში დასაკრძალავად პარასკევს, ივლისის 29, საღ. ხუთის ნახევარზე. 2—1 3424

---

დავით დავითის-ძე კარიჭაშვილი, ქეთევან კარიჭაშვილი, ეკატერინე გულისაშვილისა, ელენე კარიჭაშვილი, მაია ხუხუნაიშვილი, ვასილ გულისაშვილი და თამარ მათიკაშვილი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ მათ უძვირფასეს და უსაყვარლეს მამის, სიმამრის და მამამთილის

**დავით გიორგის-ძე კარიჭაშვილის**

გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს, საღამოს 7 საათზე, საკუთარ ბინაზე მელიქიშვილის (ყ. წყნეთის) ქუჩა № 30. გამოსვენება ბინიდან ხვალ, პარასკევს, 29 ივლისს, ნაშუადღევის ხუთის ნახევარზე. დასაფლავება დიდუბეში. 3423

---

დაობლებული პატარა ნინა და ქეთო ციციშვილები, გაუბედურებული დედა კესარია ტატიშვილი, ღრმად დამწუხრებულნი ელენე და ივანე გომართელები, ძმა გიორგი ტატიშვილი აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ 25 ამ თვეს ტრაღიკულად გარდაიცვალა პირველთა ტკბილი დედიკო, მეორესი დაუვიწყარი შვილი, დანარჩენების კი საყვარელი და

**სოფიო (ჭუკუნია) იოსების ასული**
**ციციშვილი**

სამოქალაქო პანაშვიდი ყოველ დღე 7 საათზე, ვერაზე—პეროვსკის (ყოფ. ანასტასიევის) ქუჩა № 21. 2—1 3411

---

მარიამ დავითის ასული ჯავახიშვილისა, სოფიო დავითის ასული კალანდარიშვილისა, თამარა დავითის ასული ვაჩნაძისა, ივანე, ნიკოლოზი, დიმიტრი, პავლე და ალექსანდრე დავითის-ძენი ციციშვილები თავიანთი ოჯახობით გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, თავიანთი ძვირფასი და დაუვიწყარი რძლის

**სოფიო იოსების ასულის**
**ციციშვილის**

ტრაღიკულათ გარდაცვალებას 25 ივლისს. პანაშვიდი დღეს, ხუთშაბათს საღამოს 7 საათზე. დასაფლავება ვერის ახალ სასაფლაოზე პარასკევს 29 ივლისს საღამოს 5 საათზე. გამოსვენება საკუთარ ბინიდან, ანასტასიევის ქუჩა № 21. 1—1 3422

---

ღრმას მწუხარებაში მყოფნი შვილები: თამარა, სანდრო, ლადო, იოსები, გიორგი; რძლები: მაშო, კატო, თამარა, ნინა, მარო, სიძეები: ალექსანდრე მოსეშვილი, ვასილ ჯანგულაშვილი, შვილიშვილები: ანეტა, ვასილი, ვახტანგი, ქეთო, ზაქარია, ირაკლი, რუსუდანი, გენრიეტა, ნიკოლოზი (ცაცო), ელიკო, ციალა, ელენე, ვახტანგი, დათიკო, რობიზონი, ვალენტინა და დომენტი აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი პირველთა დედა, მეორეთა დედამთილი, მესამეთა სიდედრი და უკანასკნელთა საყვარელი—ბაბო

**ელენა (ელენე) კრაწაშვილი**

დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, 28 ივლისს, სოფ. ჭოტორში. 3416

---

ღრმად დამწუხრებულნი საქართველოს მებამბეობის კომიტეტის დირექცია და თანამშრომლები იუწყებიან ძვირფასი ამხანაგის, დაუღალავი მშრომელის და სპეტაკი ადამიანის, კახეთის ბაზის შემსყიდველი პუნქტის გამგის

**გიორგი (გიგა)**
**შაიშმელაშვილის**

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, 28 მკათათვეს, ნაშუადღევის 4 საათზე, სოფ. მაღაროში (სიღნაღის მაზრა). 1—1 3420

---

საზაფხულო კინო „აპოლო" (არტოს ბაღში)

დღეს და ყოველდღე

პირველად თბილისში მხატვრული კინო-პიესა აღმოსავლეთის ცხოვრებიდან

**არაბი**

მთავარ როლში ამერიკის პოპულიარული მსახიობი **რამონ ნავარო** მსოფლიოში განთქმული სურათის „სკარამუტი"-ს გმირი

დადგმა ცნობილი რეჟისორის **რექს ინგრამისა**

შ ე ნ ი შ.: ვინც კინოს ბილეთს იყიდის, იგი არ იხდის არტოს ბაღში შესასვლელ ფასს და სარგებლობს უფლებით. დაესწროს ყველა გასართობებს ბაღში. ნ. 1506

**ეთერი** (სახელმწ. ოპერის ბაღში)

**დარბაზი** (ბაღში, პლეხანოვ. № 91)

**აპოლო** (არტოს ბაღში).

უკანასკნელი სურათი სერიიდან „ჩვენი დროის გმირი"

**„მაქსიმ მაქსიმიჩ"**

რეჟ. ვ. გ. ბარსკის დადგმა.
ოპერატორები: ა. პოლიკევიჩი, ვ. პოზნანი.
მთავარ როლებში: ვიშნევსკაია, ობოლენსკი, პროზოროვსკი და სხვ.

პირველად თბილისში მხატვრული კინო-პიესა აღმოსავლეთის ცხოვრებიდან

მთავარ როლში რამონ ნავარო **„არაბი"** საუკეთესო სურათის სკარამუტი-ს გმირი

დადგმა ცნობილი რეჟისორის რექს ინგრამისა.

შენიშ.: ვინც კინოს ბილეთს იყიდის, იგი არტოს ბაღში შესასვლელ ფასს არ იხდის და სარგებლობს უფლებით დაესწროს ყველა გასართობებს ბაღში.

ანონსი: მალე „დარბაზ„-ში საუკეთესო სურათი „ბოროტმოქმედების დაღი".

0—23 ნ. 13 88

ფინსახკომის გამგებლ. მყოფი სათანადო უფლებით აღჭურვილი **ორწლიანი ეკონომ-ფინანსიური კურსები.**

**უმზადებს მუშაკებს:** კომისარიატებს, აღმასკომებს, ტრესტებს, ბანკებს, კოოპერატივებს და ყოველგვარ კომერციულ დაწესებულებებს.

**საგნები:** ფინანსები (ზოგადი კურსი, ფინანსიური პოლიტიკა, ადგილობრივი ფინანსები, რესპუბლიკანური ბიუჯეტი, პირდაპირი გადასახადი, არაპირდაპირი გადასახადი, არასაგადასახ. შემოსავალი, სახელმწიფო კრედიტი), პოლიტიკური ეკონომია (ზოგადი კურსი, ეკონომიური პოლიტიკა, ეკონ. მოძღვ. ისტორია, ფული, კრედიტი, ბირჟა), სტატისტიკა, ეკონ. გეოგრაფია, კომუნალური მეურნეობა, კოოპერაცია, ვაჭრობის თეორია და პრაქტიკა, საქონელთ—მეტყველება, კომერციული კორესპონდენცია და საქმის წარმოება, ბუხჰალტერია (ზოგადი, სპეციალური), სავაჭრო და საფინანსო გაქონგარიშება, იურიდიული საგნები და სხვა.

**მიიღებიან:** 1. საშუალო სასწავლებლის კურსდამთავრებულნი. 2. დაწესებულებათა თანამშრომელნი—კურს დაუმთავრებელნი—კოლოკვიუმით.

**გადასახადი: წლიურ. 120 მ. სემესტრში 60 მ.**

**განცხადება** მიიღება დილის 10—1 ს-დე, გარდა უქმეებისა. **განცხადებასთან სავალდებულოა** 30 მან. შეტანა, შეიძლება ფოსტით. **მისამართი:** თბილისი, წულუკიძის ქ. (ყოფ. კრუზენშტეინის) № 10. **ადმინისტრაცია.**

10—1 ნ. 1435.

„კომუნისტი"-ს რედაქციაში **საჭიროა** კარგი, გამოცდილი **მემანქანე**

**გაზ. „კომუნისტი"-ს ხელისმომწერთა საყურადღებოთ**

გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა **დაბეჯითებით სთხოვს** ხელისმომწერლებს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა მისამართებში ცვლილებების შეტანა ან სრულიად გამოცვლა, პროვინციის ხელისმომწერლებმა გამოგზავნონ ის მისამართი, რომლითაც გაზეთს იღებენ, ხოლო თბილისელებმა აუცილებლად წარმოადგინონ ის ქვითარი (ან ქვითარის №-რი), რომელიც მიღებული აქვთ „კომუნისტი"-ს კანტორიდან ხელის მოწერის დროს.

წინაამდეგ შემთხვევაში ყოველგვარი კორესპონდენცია, მისამართებთან დაკავშირებული, უყურადღებოთ იქნება დატოვებული.

ხარჯების დასაფარავად, მისამართების შეცვლის მსურველები მოვალენი არიან წარმოადგინონ კანტორაში 25 კაპ.

0—1 **მთავარი კანტორა**

---

**ქუთაისის მე-2 უბნის სახ. სასამართ. აღმასრულებელი ვლ. კანდელაკი**

ამით აცხადებს, რომ 8 აგვისტოს 1927 წ. დილის 11 საათზე, ქ. ქუთაისში ნინოშვილის ქუჩის მე-4 შესახვევში დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა**; გაიყიდება ონისიმე ფარსადანის-ძე თედორაძის ერთი თვალი ხის სახლი № 10 სამზარეულოთი დახურული ქესტით და ყავრით, აგებული საეზოვე ნაკვეთ მიწაზე, ზომით მიწა დაახლოვებით 50 კვად საჟენი, ნიკიფორე ფხაკაძის მემკვიდრეების ვალის 110 მანეთის დასაკმაყოფილებლად. სახლი დაფასებულია 120 მანეთათ, საიდანაც დაიწყება ვაჭრობა. ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს საჯარო ვაჭრობაში უნდა წარმოადგინოს ცნობები აღნიშნული 311 და 312 მუხ. სამ. საპ. კოდ. და საწინდარი 10% ნ. 1509

---

**ექიმი ი. ი. ბერიშვილი**

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს", პირდაპირ „ჩოდრიშვილის" შესახვევი, (ყოფ. პლეხანოვის შესახვევი) № 8). 25—1

**ექიმი ა. დ. კეკელია**

სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.

მიღება 8—12 დილ. 7—9 საღამ. პლეხანოვის პრ. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ.

**პროფესორი მ. წინამძღვრიშვილი**
იღებს ავადმყოფებს ბორჯომში.
13—1

**პროფ. ზ. მ. მუხაძე დაბრუნდა**
და განაახლა ავადმყოფების. მიღება პლეხანოვის პრ. № 58
13—1

გამოვიდა და იყიდება ყველგან

**გიორგი ლაფანაშვილი**

**დუშეთის აჯანყება 1918 წ.**

**შინაარსი:**

წინასიტყვაობა. 1. შესავალი, 2, ჩვენი პარტ-მუშაობის დაწყება, 3. აჯანყების დაწყება, 4. დუშეთის მაზრაში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადება, 5. „დემოკრატიულ" რესპუბლიკის აგონია, 6. მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის მუშაობა, 7. აჯანყებულ მაზრაში მთავრობის ჯარის შესევა, 8. აჯანყების დამარცხება და მისი შედეგები, 9. აჯანყებაში მონაწილეთა პასუხისგებაში მიცემა და სასამართლოს პროცესის შექმნა, 10. საბრალმდებლო აქტი, 11. სასამართლოს სხდომის ოქმი, 12. დასკვნა, 13. შენიშვნები.

დამატებანი: 1. ვ. ჯუღელის დღიურიდან. 2. დუშეთის მაზრის გლეხთა დეპუტატების საბჭოების მე-2 ყრილობის ოქმი. წიგნი დაბეჭდილია სუფთა და მაღალი ღირსების ქაღალდზე, მოთავსებულია აჯანყებაში მონაწილეთა მრავალი სურათები, შეიცავს 375 გვერდს და ღირს 2 მან. 50 კაპ. კოლექტიურად ნაღდზე შეძენა შეიძლება 20% დაკლებით. დაკვეთა და ცნობების მიღება ყოველდღე შეიძლება თბილისის აღმასკომის განათლების განყოფილების მომარაგების ქ | განყოფილებაში. შესავალი ყ. განოვის ქუჩიდან, ოთახი № 269. 3392 2—1

**ექიმი ჯალალოვი**

**სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.**

ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—1

**წაღვერში**

**ექიმი მეგრაბიანი**

**ფილტვების, ჭლექის და გულის სნეულებანი**

ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით სამკურნალო კაბინეტში **ხელოვნური მთის მზე.** იონნოტერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ. აფთიაქის თავზე. 25—18

**ქუთაისის მე-2 უბნის სახ. სასამართ. აღმასრულებელი ვლ. კანდელაკი**

ამით აცხადებს, რომ 4 აგვისტოს 1927 წ. დილის 10 საათზე, ქ. ქუთაისში ბუაჩიძის, ყოფილ აგარაკის ქუჩაზე, დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა:** გაიყიდება იოსებ სოლომონის-ძე ედიგაროვის უფლება ნახევარ ნაწილზე აგურის და ზედ მოდგმული ხის სამზარეულოსი სახლისა № 26 | 31, აგებული საეზოვე ნაკვეთ მიწაზე ზომით მიწა სულ დაახლოვებით 150 კვად. საჟენი, პასიკო სიმონის ასულის ჩირგაძის ვალის დასაკმაყოფილებლად. სახლი და სამზარეულო დაფასებულია 480 მანეთ. საიდანაც დაიწყება საჯარო ვაჭრობა. ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს საჯარო ვაჭრობაში უნდა წარმოადგინოს ცნობა აღნიშნული 311 და 312 მუხ. სამ. საპ. კოდ. და საწინდარი 10%
ნ. 1504

**მიხეილ გედევანიშვილის** სახელობის **სამკურნალო**

სხივებით **ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი**

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—1

**ე. მ. მძინარიშვილი**

**სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი**

ავადმყოფების მიღება 1—2 ს. და საღამოთი 6—8ს. ქალების და ბავშვების 5—6 ს.

რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი წულუკიძეს ქუჩიდან ყოფ კრუზენშტერნის ქ.) 25—5

**დაიკარგა** უვადო პასპორტი № 10232 ლეონ მარკარის-ძე ნაზარეტიანის სახელზე, ჩ. გ. 3818

**დაიკარგა** პირადობის მოწმობა ალექსანდრა მიხეილის ას. აბესაძეს სახელზე, ჩ. გ. 3417

**დაიკარგა** საწევრო წიგნაკი № 370 გაცემული სახალხო კვების კავშირის მიერ მარგარიტა წერეთლის სახელზე ჩ. გ. 341

**დაიკარგა** კავშირის წიგნაკი № 25053 დიმიტრი ილიას-ძე თუხარელის სახელზე, ჩ. გ.

ალმასკომის სტამბა, კამოს ქ. 6ა.